

მუშაობა ჩართულობა

2020

რედაქტორი: მეგი კავთუაშვილი

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

მანანა ჯინჭარაძე

გიორგი გახელაძე

თამარ ილურიძე

ლიკა ბაალიშვილი

სალომე ხურციძე

როზა დვენოზაშვილი

ილუსტრატორები: ეთო გზირიშვილი, ნიკა კვარაცხელია

დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

სახელმძღვანელო შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ მიერ, კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები.



სარჩევნი

„ფუმბლები განათლებისთვის“ შესახებ	6
სახელმძღვანელოს შესახებ	7
შესავალი.....	8
ფუმბელთა ჩართულობის ქვედითი მოდელი საქართველოს სკოლებისთვის.....	9
სკოლებში ფუმბელთა ჩართულობის ქართული გამოცდილება.....	35
სკოლებში ფუმბელთა ჩართულობის გერმანული გამოცდილება.....	57
სკოლებში ფუმბელთა ჩართულობის ავსტრიული გამოცდილება.....	77
სკოლებში ფუმბელთა ჩართულობის ესტონური გამოცდილება.....	84
სკოლებში ფუმბელთა ჩართულობის ამერიკული გამოცდილება.....	100

„მშობლები განათლებისთვის“ შესახებ

აიპ „მშობლები განათლებისთვის“ მშობლების პირველი ღირებულებითი გაერთიანება საქართველოში. წევრობაზე დაფუძნებული ასოციაცია 2018 წლის იანვარში დაფუძნდა. ორგანიზაცია აერთიანებს ნამდვილ და მხარდამჭერ წევრ მშობლებს, ასევე, მართავს მუნიციპალური კოორდინატორი მშობლების ქმედით ქსელს ქვეყნის 9 რეგიონში.

მიზანი

ასოციაციის მიზანია განათლების სისტემაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება მშობელთა შესაძლებლობების განვითარებით და მათი ჩართულობის ხელშეწყობით.

აპოხანავი

- ▶ მშობელთა და ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.
- ▶ მშობელთა განათლება და დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება.
- ▶ განათლების პოლიტიკაში ბავშვების საუკეთესო ინტერესების ადვოკატირება.
- ▶ განათლების მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

მისია

ორგანიზაციის მისიაა, შექმნას საგანმანათლებლო სივრცეში მშობელთა აქტიური მონაწილეობისთვის საუკეთესო დემოკრატიული გარემო, სადაც თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, კრიტიკულად მოაზროვნე, თანასწორუფლებიანი საზოგადოება გავლენას მოახდენს მომავალი თაობის განათლებაზე საქართველოში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებგვერდი www.mshobeltaskola.ge

Facebook გვერდი – მშობლები განათლებისთვის/Parents for Education

E-mail – georgianp4e@gmail.com

TEL – 032 219 60 80

სახელმძღვანელოს შესახებ

სახელმძღვანელოს საშუალებით გაგაცნობთ სკოლებში მშობელთა დემოკრატიული მონაწილეობის სხვადასხვა ქვეყნის მოდელებს; გაგიზიარებთ, იმ შესაძლებლობებს, რაც საქართველოს სკოლებში მშობელთა ჩართულობის გაზრდისა და სტრატეგიული დაგეგმარებისთვის არსებობს.

მშობელთა ასოციაცია „მშობლები განათლებისთვის“ მზაობას გამოთქვამს, დაეხმაროს სასკოლო საზოგადოებას საგანმანათლებლო პროგრამებით, რათა მათ შეძლონ სკოლებში მშობელთა დემოკრატიული მონაწილეობისთვის სასურველი გარემოს შექმნა. ასოციაციისა და სკოლების თანამშრომლობის ფარგლებში, შესაძლოა ჩატარდეს სასკოლო პრაქტიკის სრულყოფილი კვლევა, გამოკვეთილი საჭიროებების პასუხად შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა, რომლის დასაწერგად სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეთა მშობლებისთვის ჩატარდება ტრენინგები, მასტერკლასები, სემინარები, ლექციები და ვებინარები.

მადლობას ვუხდით

ააიპ „მშობლები განათლებისთვის“ გუნდი მადლობას ვუხდით **კონრად ადენაუერის ფონდს საქართველოში**, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა, შეგვეკრიბა მშობელთა ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკა მსოფლიოში, შეგვესწავლა ადგილობრივი სკოლების გამოცდილება და დაინტერესებული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

შესავალი

მშობლების ჩართულობას მათი შვილების სასკოლო ცხოვრებაში გრძელვადიანი სარგებლის მოტანა შეუძლია. კვლევები აჩვენებს, რომ მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში ძლიერ კავშირშია მათ სოციალურ-ემოციურ განვითარებასთან, აკადემიურ წარმატებასთან, სწავლის გაგრძელების მაჩვენებელთან.

მშობლები მოსწავლეთა განათლებაში სხვადასხვა გზით შეიძლება ჩაერთონ. მაგალითად, მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა ყოველდღიურ საშინაო აქტივობებში, როგორებიცაა კითხვა, ხატვა, მათ პროგრესზე დაკვირვება, კულტურის ცენტრებში წაყვანა და ა.შ. ასევე, იყვნენ მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულნი – ჰქონდეთ მასწავლებელთან აქტიური კომუნიკაცია ბავშვის პროგრესისა და ქცევის შესახებ, ჩაერთონ მონაწილეობრივ აქტივობებში და სხვ.

მშობლები ძირითად როლს თამაშობენ სკოლის ანგარიშვალდებულების ზრდაში. მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სკოლის პოლიტიკაზე, მიღწევების გაუმჯობესებაზე. მათ შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა ლიდერის როლი და იქცნენ გავლენის აგენტებად, როგორც არაფორმალური (დირექტორთან, სკოლის ლიდერებთან, სხვა მშობლებთან კომუნიკაცია), ისე ფორმალური გზებით (მშობელთა ასოციაციების შექმნა, მმართველ რგოლებში მონაწილეობა).

ქვეყნების უმრავლესობა მშობლებს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის სხვადასხვა საშუალებას აძლევს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სავალდებულოა სკოლის მმართველ საბჭოში მშობლების წარმომადგენლობა. მშობლებს აქვთ გასაჩივრების მექანიზმები, როდესაც ისინი უკმაყოფილონი არიან სწავლების ხარისხით.

ტიპური ბარიერები მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად დაკავშირებულია დროის სიმცირესთან, ინფორმაციის ნაკლებობასთან სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის გზების შესახებ, ასევე სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის სიმცირესთან. მშობელთა ჩართულობის ხარისხი, ასევე დამოკიდებულია მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც კიდევ უფრო ზრდის უთანასწორობას განათლებაში.

გეოგელთა ჩართულობის ქველითი მოღვლი საქართველო სკოლები სკოლები

კულტურული ცვლილებები სკოლებში

მშობლები ქმნიან განსხვავებას. სახლის პირობებში ოჯახის მიერ მართულ საგანმანათლებლო პროცესს უდიდესი გავლენა აქვს ბავშვის განათლებაზე. ეს მშობელთა ჩართულობის კონცეფციის მთავარი აზრია.

მშობლების ჩართულობის წარმატებული კულტურის შექმნის გასაღები მდგომარეობს იმაში, რომ შეირჩეს მართებული სტრატეგიები მოსწავლეთა და სკოლის თემის საჭიროებების მიხედვით.



ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) პარტნიორობის სკოლების ეროვნული ქსელის დირექტორმა დოქტორ ჯონს ეპშტეინმა შეიმუშავა ჩარჩო-დოკუმენტი “ნარმატებული პარტნიორობის გასაღები”.

ეპშტეინის ჩარჩოში ასახულია თუ როგორ შეიძლება სკოლებმა გააძლიერონ მშობლების ჩართულობის კულტურა ექვსი სახეობის მიხედვით:

1. მშობლებთან სწავლისთვის ახალგაზრდა გაცემის კომუნიკაციისთვის

ოჯახების მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმავს საგანმანათლებლო აქტივობებს მშობლებისთვის საინტერესო და აქტუალური საკითხებზე – მაგალითისთვის, სთავაზობს მშობლებს სემინარებსა და ტრენინგებს მშობლობის სტილის, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, სკოლაში მშობელთა ჩართულობის, ბავშვების ციფრული უსაფრთხოების ან სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. საგანმანათლებლო აქტივობებში მშობლებთან ერთად ერთვებიან მასწავლებლები და სკოლის სხვა თანამშრომლებიც.

2. სკოლასა და მშობლებს შორის უწყვეტური ორგანიზაციის კომუნიკაციის აწყობა

ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით, სკოლა მოსწავლეთა ოჯახებისადმი მეგობრულ გარემოს ქმნის. სკოლის პერსონალი გადის ტრენინგებს, რათა გაიუმჯობესოს მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის უნარები. სკოლა ამცირებს ბარიერებს, თანამდებობაზე ნიშნავს მშობლებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, წინასწარ ათანხმებს მშობლებთან მთელი წლის შეხვედრების განრიგს, რათა მოსწავლეთა ოჯახებმა შეძლონ და დაგეგმონ თავისი დრო. სასკოლო სივრცეში აკრავენ, ხოლო ვებ გვერდებზე აქვეყნებენ მშობლებისთვის მამოტივირებულ პოსტერებს. სკოლის მიზანია, დაარწმუნოს მშობელი, რომ სკოლაში მათ სიხარულით ელოდებიან და მზად არიან, თანამშრომლობისთვის სასურველი გარემო შექმნან. სკოლის თანამშრომლები იყენებენ შეტყობინებების, შეხვე-

ნებების, სატელეფონო ზარების, E-mail-სა და კომუნიკაციის სხვა არხებს, რათა რეგულარულად მიანოდონ ინფორმაცია მშობლებს, მათი შვილების პროგრესის და წარმატების შესახებ.

3. გეოგრაფიის მონიტორინგის სისტემა

მშობელთა მონიტორინგის სისტემის ასანწყობად სკოლები ქმნიან სტრატეგიებს. განვიხილოთ სტრატეგიის ფარგლებში, ყოველწლიურად ატარებენ გამოკითხვებს, რათა მოიძიონ ინფორმაცია მონიტორინგის მშობლების შესახებ. ასევე, მათი ინტერესები, ნიჭი და ხელმისაწვდომობა. გამოკითხვის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში აკუმულირდება და მონიტორინგის აქტივობები ამის მიხედვით იგეგმება. იქმნება არაფორმალური ხასიათის მხარდაჭერის ქსელი, რომელშიც ყველა კლასიდან ერთი მშობელი მინც არის ჩართული. სკოლის შენობაში გამოყოფილია მშობლების ოთახი ან საოჯახო სივრცე მონიტორინგის მუშაობისთვის, შეხვედრებისთვის და საოჯახო რესურსებისთვის. რეგულარულად ტარდება მოსწავლეთა წინსვლის, თამაშების, შეკრებების მიმოხილვების შესახებ შეხვედრები, რომლებზე დასასწრებადაც მოსწავლეებს უგზავნიან მშობლებს. ეს მოსწავლეები პერსონალური სახისაა და არა ზოგადი.

4. სასკოლო მონიტორინგის დახმარება

სკოლის თანამშრომლები ასწავლიან მშობლებს, როგორ დაეხმარონ მოსწავლეს საშინაო დავალების მომზადების პროცესში და როგორ გახადონ ეფექტიანი სახლში სწავლა. მაგალითად, როგორ მოაწყონ სამეცადინო სივრცე. აწვდიან ინფორმაციას თითოეულ საგანში საჭირო უნარების შესახებ, თუ როგორ დაეხმაროს ოჯახი მოსწავლეს იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომელთა გაუმჯობესებაც სჭირდება; ასევე, როგორ დააკვირდნენ და განიხილონ შვილთან საშინაო დავალება. სკოლაში ბავშვებს ეძლევათ ინტერაქციული საშინაო დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს წარმოაჩინოს, რა ისწავლა სკოლაში ყოფნის დროს.

5. მუშაკლავის მოწოდებები გადამწყვეტილების მიღების პროცესში

სკოლა მშობლებს თანაბარუფლებიან პარტნიორებად მოიაზრებს და ცდილობს, ჩართოს ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სასკოლო პოლიტიკის ცვლილებების მიღებამდე აწყობს საკონსულტაციო შეხვედრებს მოსწავლეთა ოჯახებთან და თემთან. სკოლა ახალისებს მშობელთა გააზრებულ ჩართულობას ოფიციალურ მშობელთა ორგანიზაციებში, სკოლის სამეურვეო საბჭოში, მრჩეველთა საბჭოში ან მშობელთა ლიდერობისა და მონაწილეობის კომიტეტებში. სკოლა ეხმარება მშობლებს, რათა სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მშობლები იცნობდნენ და თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან.

6. სკოლისა და თემის თანამშრომლობა

მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, სკოლა ქმნის თემთან თანამშრომლობის სტრატეგიას. სკოლა, ოჯახი და თემის წარმომადგენელი აწყობენ დისკუსიებს, ამყარებენ კავშირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ჯანდაცვის ცენტრებთან, რათა სასკოლო საზოგადოებისთვის მათი სერვისები ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს. სკოლა თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან, კულტურულ ჯგუფებთან, ახალისებს თემში სკოლის რესურსების გამოყენებას, როგორც არის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და სხვა.

როგორ დავიწყეთ სკოლაში გზოგზალთა ჩართულობის გაზრდასა და გზოგზალთა გეგმვა?

იმისთვის, რომ შეისწავლოთ მშობლების ჩართულობის პრაქტიკა თქვენს სკოლაში, მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობის ხასიათისა და მასშტაბის გააზრება.

სასარგებლო იქნება, მოიძიოთ პასუხები შემდეგ შეკითხვებზე:

- ▶ მშობელთა ჩართულობის საკითხზე საუბრობთ თუ არა მასწავლებლებთან შეხვედრებისას, პროფესიული განვითარებისა და ახალი პედაგოგების მიღების პროცესში?
- ▶ აქვს თუ არა სკოლას მკაფიო წარმოდგენა საკუთარი თემის შესახებ? რა არის მათი საჭიროებები და როგორ მიემართება ეს საჭიროებები სკოლას?
- ▶ როგორ მონაწილეობენ მშობლები და თემის წევრები სკოლის საქმიანობებში? როგორ შეუძლია სკოლას მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა სწავლის პროცესზე ორიენტირებულ აქტივობებში?
- ▶ აღნიშნავს თუ არა სკოლა სკოლის თემისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორცაა გამორჩეული კულტურული დღეები?
- ▶ ჰყავს თუ არა სკოლას მოხალისეები და თუ უჭერს მათ მხარს? როგორ შეიძლება მოხდეს მოხალისეების მუშაობის ორიენტირება სწავლა-სწავლების პროცესზე?
- ▶ როგორ შეიძლება სკოლებმა გაამარტივონ მშობლების ჩართულობის პროცესი? მაგალითად, როგორ შეიძლება სკოლამ დაგეგმოს და შეატყობინოს მშობლებს თავიანთი ღონისძიებებისა და საქმიანობების შესახებ?
- ▶ როგორ უნდა დაიგეგმოს კომუნიკაცია მშობლების ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ?
- ▶ როგორ შეუძლია სკოლას თემის გავლენიანი წევრებისა და მშობლების მობილიზება თემის სხვა წევრებისა და მშობლების პროცესში ჩასართავად?

- ▶ როგორ შეიძლება შეარჩიოს სკოლამ შესაფერისი და ეფექტური საკომუნიკაციო არხი, რათა მიწვდეს მშობლებსა და თემის წევრებს? რა დახმარება სჭირდებათ სკოლის თანამშრომლებს, მშობლებს და თემს, მედიის სხვადასხვა ფორმის (ონლაინ და სოც-მედია) სათანადოდ და ეფექტურად გამოყენებისას?

„მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ისინი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, გახდებიან მოკავშირეები.“

მანანა ჯინჭარაძე,
განათლების დარგის ტრენერი და
ასოციაციის „მშობლები განათლებისთვის“ თანადამფუძნებელი



ოჯახი საგანმანათლებლო სტრუქტურაა. რაც უფრო მკაფიოდ გაიაზრებს ამას სკოლა, მით უფრო ადვილად შეძლებს კომუნიკაციის დამყარებას, საერთო ხედვების ჩამოყალიბებას, ერთი მიზნისკენ სვლას, ბავშვის კეთილდღეობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მრავალფეროვანი სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე სკოლებში მშობლების მხარდაჭერას შეუძლია გაზარდოს სკოლებში დასწრება, გააუმჯობესოს მოსწავლეების ურთიერთობა, დადებითად იმოქმედოს ბავშვის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე.

დროა, საქართველოს სკოლებმა დაამსხვირონ ძველი სტერეოტიპი და ოჯახი სკოლის საიმედო პარტნიორად მოიაზრონ. დღეს მშობლების მონაწილეობა ბავშვის განათლებაში უფლებაცაა და მოვალეობაც და წახალისებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ბუნებრივია, მშობელთა ჩართულობის ნებისმიერ ახალ მოდელზე გადასვლა მტკივნეულია სკოლისთვის, როცა მას ვთავაზობთ, რომ მშობელი მოიაზროს, როგორც სპონსორი, დამკვეთი, პარტნიორი, ექსპერტი და ა.შ. და იწვევს პრობლემებს. ყველა მცდელობას ბოლოს მივყავართ ერთ უნივერსალურ მოდელამდე, მშობლები უნდა გახდნენ სკოლის, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მოქმედი სუბიექტები.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა გააჩნია. ესენია: მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, ამავე პროგრამებისა და მისი განხორციელების მეთოდებისა და ტექნოლოგიების განხილვა მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ, მშობელთა საზოგადოების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კომპეტენციების ჩამოყალიბება, მშობლებთან პარტნიორობის დამყარება და ურთიერთდახმარების ატმოსფეროს შექმნა.

პარტნიორობის პროგრამა სამ მთავარ ამოცანას უნდა ითვალისწინებდეს:

1. მშობელთა ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლება
2. მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში
3. მშობელთა მონაწილეობა სკოლის მენეჯმენტში

გეოგრაფიკული გეოლოგიური და კალკულაციური გეოლოგია

ყველაზე მთავარი, რაც მასწავლებელმა ბავშვის შესახებ უნდა იცოდეს არის მოსწავლის განვითარებისა და ქცევის კანონები, – შინაგანი, – დაფარული, მისი ქცევის მოტივები. მასწავლებელს არ ევალება და არც შეიძლება იყოს დაკავებული ბავშვის აღზრდით, მართო იმიტომ, რომ მოსწავლე ერთდროულად იმყოფება, როგორც მასწავლებლის, ისე მშობლების გავლენის ქვეშ. თუმცა სასურველია, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება მშობელს გადასცეს და მოსწავლესთან თანამშრომლობა გააიოლოს.

გთავაზობთ რამდენიმე აპრობირებულ ხერხს მშობელთა ცნობიერების ამაღლებისთვის. ესენია:

ტრენინგი, კონსულტაცია, სემინარი, ლექცია, შემთხვევის განხილვა, დიაგნოსტიკა, გამოკითხვა, კვლევა, პროფესიული განხილვები და სხვ.

ლექცია – ფორმა, რომელიც ხელს უწყობს და დეტალიზებულად ამუშავებს კონკრეტული გადასატარებელი პრობლემის არსს. ლექციაში მთავარია სიტუაციის ანალიზი. ლექცია ეხმარება მშობელს განსაზღვროს თეორიული ცოდნის არსი და თუ საჭიროება შეიქნა მოძებნოს რესურსი დასახმარებლად. საყურადღებოა, რომ მშობლებთან ჩასატარებელი ლექციური კურსი იყოს მარტივად გადმოცემული, არ იყოს გადატვირთული პედაგოგიური ტერმინოლოგიით, გაჭერებული იყოს მაგალითებით და შემთხვევები ახლოს იყოს რეალურ ცხოვრებასთან. ასევე აუცილებელია, ლექტორმა ხაზი გაუსვას თემის აქტუალობას და რამდენჯერმე მიანიშნოს მსმენელი, რაში დაეხმარება ჩატარებული ლექციური კურსი მას.

ტრენინგი – სასურველია ჩატარდეს როგორც მხოლოდ მშობლებისათვის, ასევე მშობლებისა და ბავშვებისათვის, სადაც ერთობლივი კომუნიკაციის შესაძლებლობა ექნებათ; იგი ხელს უწყობს ახალი ურთიერთობების დამყარებას, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვთა საჭიროებები და ინტერესები;

ტრენინგის ჩატარების უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ სპეციალისტს /ტრენერს. სწავლება აუცილებელია ეხებოდეს გარკვეულ პრობლემას, რომლის გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს და ყველა მათგანი იქნას შეთავაზებული მშობლისათვის. სწავლებისას ეტაპობრივად იქნას დალაგებული პროცესები, განმარტებული, – რაში წაადგება, თითოეული მათგანი, პრობლემის გადაჭრისას მშობელს და თუ ეს არ იმუშავებს, რა იქნება ალტერნატიული შეთავაზება. სასურველია ტრენინგის თემები იყოს ლოკალური, ეხებოდეს ერთ საკითხს და არ იყოს მოცულობითი. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მშობლის ძვირფასი დრო და ტრენინგის ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს ორ საათს.

სემინარი – სწავლების პრაქტიკული ნაწილია, სადაც მშობლები სპეციალისტთან ერთად განიხილავენ პედაგოგიურ სიტუაციებს, ბავშვის აღზრდის ფორმებს, აღზრდის ტექნიკებს და სხვ. ეფექტური იქნება და სწავლის პროცესს წაადგება, თუ სემინარების კურსს ჩატარებს განათლების სპეციალისტი/მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სხვადასხვა დარგის საჭირო მუშაკი, რომელსაც შეუძლია სასწავლო პროცესში განიხილოს ტიპური შემთხვევა და ყველა კუთხით გააანალიზოს ის.

კონფერენცია – ამ ტიპის სწავლებას ცოდნის გაფართოებისათვის, მშობელთა მონაწილეობისათვის ბავშვთა აღზრდის საკითხებზე, მწვავე პრობლემებზე შეუცვლელი როლი აკისრია. მიღებული პრაქტიკა და მოტივაციას სძენს მშობელს, როცა კონფერენცია მის მიერ არის მომზადებული, საკითხების შერჩევისას მისი სურვილებია გათვალისწინებული ან თავადაა საკითხის წარმდგენი მშობელთა წინაშე.

კონსულტაცია – აქ იგულისხმება თემატური ინდივიდუალური კონსულტაცია/ქოუჩინგი მშობლის მოთხოვნით, საკითხზე, რომლის მოგვარება მას არ შეუძლია; შესაძლებელია, ცალკე ჩატარდეს თემატური კონსულტაცია კლასის პრობლემებზე ყველა ან მსურველი მშობლებისათვის; კონსულტაცია მოიცავს პრობლემის განხილვასაც და პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც; კონსულტაცია აუცილებლად უნდა ტარდებოდეს კლასის მასწავლებლის, მშობლის ან ბავშვის

თხოვნით; კონსულტაციის მონაწილეები, რომლებიც ცდილობენ მშობლის დახმარებას, კომპეტენტური უნდა იყვნენ პრობლემის გადასაჭრელად; კონსულტაცია უნდა ჩატარდეს მეგობრულ ატმოსფეროში, სადაც ყურადღება მიექცევა მოზარდის ყველა დადებით თვისებას. კონსულტაციის დროს უადგილოა ბავშვების ერთმანეთთან შედარება, მხოლოდ წარმატებაზე ან მხოლოდ ნაკლოვანებებზე საუბარი. კონსულტირებისას მშობელმა უნდა მიიღოს რეალური დახმარება/რეკომენდაციები. კონსულტაციის დროს, სწორი კომუნიკაციის პირობებში, მშობელი უფრო გახსნილია, მისანვლოში და მიმღები.

ოჯახში ვიზიტები – ეს ძველი ფორმა ძალიან მოსახერხებელია მოსწავლის ოჯახის გასაცნობად და დასაახლოებლად. იგი მასწავლებელს ხელს უწყობს ინდივიდუალური მუშაობა აწარმოოს მშობელთან და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საკითხებში მის გაცნობიერებას, ასევე – საცხოვრებელი პირობების, სამეცადინო ოთახის/კუთხის გაცნობას.

სკოლაში მოსულ პიროვნებას, პატარა ადამიანს აქვს საკუთარი წარმოდგენები სამყაროზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ავსა და კარგზე. მნიშვნელოვანია, არა მარტო ის, როგორ მოხდა ამ ბავშვში ამის ჩამოყალიბება, არამედ რა პირობებშიც. ამიტომაც აუცილებელი მჭიდრო კონტაქტის დამყარება მშობელთან, ოჯახთან და ზოგადად თემთან, სადაც ბავშვები ცხოვრობენ. ეს გაცილებით უფრო მაღალეფექტური იქნება, ვიდრე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მხოლოდ მასწავლებელზე გადაბარება.



მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

ყველაზე რთული ეტაპი სკოლისა და მშობლის ურთიერთობისას, სასწავლო პროცესში, მისი ჩართულობაა. თანამშრომლობის ამ ფორმას მომხრეც ჰყავს და მონინააღმდეგეც. ერთი, რაც შეიძლება თამამად ითქვას, არის, რომ იგი სწორად უნდა იქნეს დაგეგმილი და ბოლო ნიუანსამდე დეტალიზებული, რათა შეცდომისაგან დაზღვეულები ვიყოთ.

ნებისმიერი მონაწილეობა ბავშვების განათლებაში არის მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტი, სადაც შედის მშობლების მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში, სასკოლო აქტივობების ნებაყოფლობითი დაფინანსება, სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება, დისკუსია განათლებისა და აღზრდის კუთხით და სხვ.

მეორე მხრივ ამ კონსტრუქტს აქვს საშინაო კუთხე: სახლში საშინაო დავალებებში მიხმარება, საგამოცდო და სხვა ტესტური დავალებების მომზადება, მშობლებისა და ბავშვების დიალოგი სასკოლო საკითხებთან დაკავშირებით, პროფესიული ორიენტაციისა და შემდეგი საგანმანათლებლო მიზნების დასახვა, რასაც მასწავლებელი ვერ ხედავს.

ჩართულობის ამ ორ სახეს შორის კავშირი სუსტია და ზოგჯერ არც ჩანს. არადა გადამწყვეტია, რომ სახლში ჩართვა ჩანდეს სკოლაში და სკოლაში ჩართულობა გავლენას ახდენდეს სახლში აქტიურობაზე.

პირველი საყრდენი, რომელიც მშობლის ჩართულობას განაპირობებს არის არა სოციალური ან დემოგრაფიული მახასიათებელი, არამედ არაფორმალური ურთიერთობის, კომუნიკაციის მახასიათებელი მასწავლებელსა და მშობელს შორის. ამის საფუძველზე მშობლები ინფორმირებულ გადანწყვეტილებებს იღებენ მათი შვილის პროგრესის ან აკადემიური და სხვა საჭიროებების შესახებ.

კომუნიკაცია – მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე, ისე, როგორც თავად მშობლის ქცევებზე, გავლენას ახდენს სკოლის ნებისმიერი სეგმენტის შეგნებული და/ან გაუცნობიერებელი დამოკიდებულება, საკანონმდებლო ნორმები, აგრეთვე ყოველდღიური რეალობა, რომელიც ქმნის ბარიერებს, ან პირიქით მოტივაციას აძლევს მშობლების ჩართულობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ დაბალი შემოსავლის მქონე მშობლებს ამ ურთიერთობების დეფიციტი აქვთ, ისინი აღზრდა-განათლებას სკოლის პრეროგატივად მიიჩნევენ და ამ პროცესებში თავს ნაკლებად ეფექტურად გრძნობენ. ამის საპირისპიროდ მაღალი დასაქმებაც, შეიძლება ხელს უშლიდეს ჩართულობას. დაბალი შემოსავალი და მაღალი დასაქმება ორივე მშობელთა ჩართულობის შეზღუდვის მიზეზად გვევლინება. შეზღუდვა იზრდება იმ შემთხვევაშიც, როცა მშობელი უმაღლესი განათლებით არ არის და თავს უსიამოვნოდ გრძნობს სასკოლო სისტემაში, არ აქვს ენერჯია საკმარისად გაუმკლავდეს გამონვევებს და არც მოტივაცია ჩაერიოს და განსაზღვროს საგანამანათლებლო პერსპექტივები საკუთარი შვილისათვის.

ამ შეზღუდვების გადასაღებად აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციამ იმოქმედოს ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიებით, მოთმინებით, ტაქტიანად და კეთილგანწყობით. ჯერ მათთან ერთად უნდა მოსინჯოს რა ტიპის ღონისძიებებში შეეძლებათ ჩართვა, თანაც ამას თავისი ნებით როცა გააკეთებენ, მერე კი შეათასონ მათი შესაძლებლობები და იქიდან გამომდინარე შესთავაზონ სხვადასხვა ტიპის პროექტები.



მშობლებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი

სკოლის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს თავისი მოსწავლეების ოჯახების მონაცემთა ბაზა, სადაც განსაზღვრული ექნება, შესწავლის ნიადაგზე და არა მშრალი სტატისტიკური მონაცემებით, ამ ოჯახების რესურსები, შეფასებული ექნება მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემთა ბაზაში გამოყოფილი უნდა იყოს ის ოჯახები, რომელთაც ორი ან მეტი შვილი ჰყავთ სკოლაში. ასეთი ოჯახები მზად არიან მეტი ინვესტიცია ჩადონ სკოლაში სხვადასხვა ტიპის რესურსების სახით.

რა უწყობს ხელს კომუნიკაციის გაუმჯობესების ხარჯზე მშობელთა ჩართულობის გაზრდას?

დაგეგმილი და წინასწარ განვრილი ღონისძიებები, რომელიც სკოლაში უნდა შეიმუშაოს.

ნაბიჯი 1. მომავალთა ჩართულობაზე პასუხისმგებელი პირი

მშობლების ჩართვა მოითხოვს ხედვას, პოლიტიკას და ჩარჩოს. უნდა გვახსოვდეს, რომ წესებს მხოლოდ იქ იცავენ, სადაც ეს წესები არსებობს. თანამშრომლობის წესები მშობლების აქტიური ჩართულობით უნდა შეიქმნას, გავრცელდეს და მისი შესრულების მონიტორინგი განხორციელდეს. ეს პროცესი კი მართვას საჭიროებს. მნიშვნელოვანია სკოლას ჰყავდეს კონკრეტული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მშობლებთან და თემთან ურთიერთობაზე. ეს გამართივებს საქმეს და შეამცირებს შეცდომის დაშვების რისკებს. თუ სკოლას არ ჰყავს მშობლებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი ან ხარისხის მართვის მენეჯერი, ცალკეულ მასწავლებელსაც შეუძლია კლასის ფარგლებში მოამზადოს მშობელთა ჩართულობის გეგმა და თავად უმზუნველყოს მისი აღსრულება.


ნაბიჯი 2. მოგაგალი მოსწავლეების მომავლის მიღება

მშობლებს სკოლის შესახებ წარმოდგენა ჯერ კიდევ მანამდე ექმნებათ, ვიდრე შვილს სკოლაში მიიყვანენ. ამიტომ სასურველი იქნება, სკოლამ მომავალი პირველკლასელებთან და მათ მშობლებთან შეხვედრა სასწავლო წლის დადგომამდე დაგეგმოს. დაათვალიერებინოს მათ სკოლის შენობა, შეუქმნას დადებითი განწყობა, რომელიც მომავალში ჯანსაღი კომუნიკაციის წინაპირობაა. შესაძლოა, ამ ღონისძიებას ეწოდოს ღია კარის დღე სკოლაში.

ნაბიჯი 3. რეპუტაციული შეხვედრები მომავალთან

იმისათვის, რომ მშობლებმა შეძლონ შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა, მნიშვნელოვანია, სკოლამ წლის დასაწყისში მიანოდოს მთელი წლის განმავლობაში სავალდებულო კომუნიკაციის გეგმა-გრაფიკი. საუკეთესო შემთხვევაა, თუ მშობლებს მიეცემათ საშუალება, შეთავაზებულ ჩარჩოში აირჩიონ მათთვის სასურველი თარიღები და დროები, როცა ისინი ნამდვილად შეძლებენ სკოლაში მისვლას ან შეთანხმებული ფორმატით მასწავლებელთან კომუნიკაციას.

რა აუცილებელი ღონისძიებები უნდა დაგეგმოს სკოლამ მშობლებთან კომუნიკაციისთვის?



აქტივობა 1. – დამრიგებლების შეხვედრა მშობლებთან – კლასის მშობელთა შეხვედრა უნდა ტარდებოდეს წელიწადში 4-5 – ჯერ, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის ამოცანები, დაიგეგმება ახალი თანამშრომლობა, შეჯამდება წლის შედეგები, განიხილება სკოლისა და მშობლის თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის კომუნიკაციის ფორმები. მოსწავლეთა პროგრესის განხილვა ან აკადემიური წარმატება-წარუმატებლობა არ უნდა იყოს კლასის მშობლებთან შეხვედრის მიზანი. მშობლებთან შეხვედრები შეიძლება იყოს ორგანიზაციულ საკითხებზე, მიმდინარე ან თემატურ სიახლეებზე, წლის დასრულებასა და მომავლის გეგმებზე, ზოგადად სკოლაზე ან კლასზე.

დაგეგმვა – მშობელთა კრების მომზადებისას მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს იგი ეტაპობრივად: მოახდინოს კრების ორგანიზება, განსაზღვროს დღის წესრიგი, კლასის დამრიგებელი გაესაუბროს საგნების მასწავლებლებს, სასკოლო საქმიანობაში მოსწავლეთა მონაწილეობის ძირითადი აქცენტების გაზიარების მიზნით, არა კერძოდ რომელიმე მოსწავლის, არამედ ზოგადი საკითხების აქცენტუაციისათვის.

მშობლის დასწრების ორგანიზებისათვის დამრიგებელმა, სასურველია, პერსონალური მოსაწვევები დააგზავნოს მათთან, ალბომები და ვიდეოები მოამზადოს ბავშვების კლასგარეშე ცხოვრებაზე, წა-

ხალისების წერილები დააგზავნოს იმ მშობელთათვის, რომელთა შვილებმაც მონაწილეობა მიიღეს კონკურსებსა და ოლიმპიადებში. წერილები, რომლებიც საკითხთან მიმართებით ბავშვის მიმართ რეკომენდაციებს შეიცავენ, მშობლებს ეგზავნება ინდივიდუალურად და არ განიხილება სკოლის კრებაზე.

კლასის დამრიგებელმა უნდა გაითვალისწინოს კლასის დიზაინცი, სადაც შეხვედრა მოენწყობა, – მშობელთა განწყობა გაცილებით ამალღებული იქნება, როცა სუფთად დალაგებულ საკლასო სივრცეში მეგობრულად განწყობილი მასწავლებელი შეხვდება.

ზოგადი ანალიზი – კლასში მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების ანალიზზე საუბარი ზოგადი უნდა იყოს. კლასის დამრიგებელმა წინასწარ უნდა გაათვლილოს მშობლები იმის თაობაზე, რომ პირად კითხვებზე პასუხს მხოლოდ პირადი შეხვედრის დროს მიიღებენ. მშობელთა შეხვედრის მონაწილე საგნების მასწავლებლებს სასურველია ახსოვდეთ, რომ განსჯისას სუბიექტურ ინტერპრეტაციებზე უარი თქვან და ზოგადად მიმოიხილონ საგნის სწავლების ხედვები და პრობლემები, – გამოიტანონ ტიპური პრობლემა და მშობლებთან ერთად იმსჯელონ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მშობელი დიპლომის სრულყოფილებიანი მონაწილეა და მოსმენა ჭირდება.

კლასის დამრიგებელმა შესაძლებელია მშობლებს, ასევე, გააცნოს კლასის სოციალური და ემოციური კლიმატი, განაზოგადოს ბავშვების ქცევაზე დაკვირვება კლასში, დერეფანში, ექსკურსიებზე, ეზოში, სასადილოში და ა.შ. საუბრის თემა დასაშვებია იყოს კომუნიკაცია, მეტყველება, მოსწავლის გარეგნობა ზოგადად და სხვა საკითხები. შეხვედრის დროს ონავარ მოსწავლეთა ქცევები ან მათი წარმოჩენა არ განიხილება.

მნიშვნელოვანია, შეხვედრების დროს კლასის დამრიგებელმა გაითვალისწინოს და მშობელთა ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კომპეტენციის დონის ასამალღებლად საგანმანათლებლო ლიტერატურის განხილვა მოაწყოს, ან ესაუბროს საინტერესო გამოფენაზე, ფილმი ან წიგნი განიხილოს მათთან ერთად და ა.შ.

ერთერთი საუკეთესო თემა, მშობელთა შეხვედრების დროს, ექსპერსების, საკლასო და სასკოლო საღამოების დაგეგმვაა.

შეხვედრის ოქმის შედგენა – მშობელთა შეხვედრების ასახვა კლასის დამრიგებელმა შეხვედრისთანავე უნდა დაიწყოს, რადგან მშობლები აკეთებენ დასკვნებს, ფორმულირებას უკეთებენ საჭირო გადაწყვეტილებებს, სთავაზობენ წინადადებებს, რეკომენდაციებს და ა.შ. სასურველია ოქმში ასახული იქნას მშობელთა ყველა გამოთქმული სურვილი, რომელიც შემდეგ გაეცნობა პედაგოგიურ საბჭოს და ადმინისტრაციას.

უკუკავშირი – უკუკავშირი აუცილებელი პირობაა ასეთი და არა მხოლოდ მსგავსი ტიპის შეხვედრებისას. კარგი იქნება, თუ კლასის დამრიგებელი მშობელს უკუკავშირსაც გააკეთებინებს და გაარკვევს მის დამოკიდებულებას შეხვედრისადმი, მიმდინარე მოვლენებისადმი, საერთო პრობლემებისადმი.

თემა, რომელსაც კლასის დამრიგებელი განიხილავს შეხვედრებზე აქტუალური უნდა იყოს თავისი არსით, აინტერესებდეს მშობელთა უმეტესობას მაინც; უნდა ჩატარდეს შესაფერ დროს, – წინასწარ განსაზღვრული გეგმით, – პედაგოგიურად სასარგებლო უნდა იყოს და კარგად მომზადებული. შეხვედრის დაგეგმვისას, მონვევისას, უშუალოდ კრების მსვლელობისას, კომუნიკაცია, კლასის/საგნის მასწავლებელსა და მშობელს შორის უნდა იყოს ტაქტიანი და თავაზიანი.

აქტივობა 2 – მშობლებისა და საგნის მასწავლებლების გაცნობა. ამ შეხვედრაზე საგნის მასწავლებლები მშობლებს აცნობენ: ესგ-ის მიხედვით წლის განმავლობაში მისაღწევ შედეგებს. სასწავლო პროგრამების შინაარსს, ძირითად მეთოდოლოგიას, ექნებათ თუ არა და რა ტიპის საშინაო დავალებებს მოსთხოვს მასწავლებელი, როგორ დაეხმარონ მშობლები შვილებს საშინაო დავალების მომზადებაში, რამდენი შემაჯამებელი თუ სატესტო სამუშაო უნდა განახორციელონ და როგორი იქნება შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები.

აქტივობა 3. მშობლებისა და მასწავლებლების პირისპირ შეხვედრების ორგანიზება.

სკოლამ და კლასის დამრიგებელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და გაითვალისწინოს პირადი საუბრების დაგეგმვაც მშობლებთან, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს სწავლისა და განვითარების სირთულეებზე, ქცევით პრობლემებზე და ა.შ. მშობლები, კრიტიკის შიშით თავს არიდებენ ასეთ შეხვედრებს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოების განცდა, მშობელს განუმარტოს, რომ მათ დახმარების განწვევა სურთ და არა კრიტიკა, ასევე ყურადღება მიაქციოს საგნების მასწავლებლებთან მშობელთა პირად შეხვედრებს და ვიზიტებს. მშობლებისა და მასწავლებლების პირისპირ შეხვედრები შეიძლება წელიწადში 3-ჯერ ან 4-ჯერ ჩატარდეს. ამისთვის სკოლა უნდა მოემზადოს, ინფორმაცია ყველა მშობელს მიანოდოს, საგნის მასწავლებლების განსათავსებლად სასკოლო სივრცის ორგანიზება მოახდინოს და მშობლებსაც მკაფიოდ აუხსნას, რამდენი დრო შეიძლება დაჰყოს თითოეულ მასწავლებელთან. შეხვედრაზე მასწავლებელი უნდა იზღუდოს მომზადებული. შესაძლებელია, თან იქონიოს იმ მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოები, რომელთა მშობლებსაც ხვდება. ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ამ შეხვედრაზე შეიძლება დაუშვას მასწავლებელმა – 1. ვერ გაიხსენოს, რომელი ბავშვის მშობელს ესაუბრება. 2. მშობელს შვილის შესახებ მხოლოდ უარყოფითი მახასიათებლები გაუზიაროს.

ჩამოთვლილი აქტივობების გარდა, მშობლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის სკოლის თანამშრომლებს შეუძლიათ დაგეგმონ:

სასკოლო შეხვედრები მშობლებთან – ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობისა, რომელზეც სკოლის დირექციის მონვევით მშობლები გაეცნობიან ახალ გეგმას, სწავლების მეთოდებს, მასწავლებლის მოთხოვნებს. პედაგოგთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ჩართულობის ეს ტიპი არაეფექტურია, რადგან მშობელმა არაფერი იცის სასწავლო პროცესის შესახებ და შეიძლება საუკეთესოს წარმოჩენის მცდელობა საპირისპიროდ აღიქვას. სასურველია, ამ პროცესს, წინ უძღოდეს მშობელთა მომზადება და ჩართულობის გაზრდა პედაგოგიური განათლების მიზნით, ე.წ. მშობელთა პედაგოგიზაცია და ასევე

აუცილებელია გაკვეთილის ჩატარების შემდეგ მასწავლებელმა 5 ნუთიანი რეზიუმირება გააკეთოს სწორი აქცენტებისათვის, სპეციალურად მშობელთათვის.

სწორად წარმართული კომუნიკაციით, ღია გაკვეთილები ბევრ კონფლიქტურ სიტუაციას შეამსუბუქებს ან ჩაახშობს, რადგან გაუგებრობისა და მშობელთა უგულებელყოფის პრობლემა მოხსნილი იქნება.

სასურველია სკოლამ/მასწავლებელმა ღია გაკვეთილი დაგეგმოს ახალი მეთოდოლოგიის დანერგვისას, რაიმე მოდელის შემუშავებისას, მიღწევების საჩვენებლად, ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოსაჩენად, რაც ხელს შეუწყობს სკოლის ავტორიტეტის ზრდას და მშობელსაც გაარკვევს სიახლეებში.

აქტივობების ჩამონათვალი:

- ▶ მშობლებისა და ბავშვების წინასწარ გაცნობა სკოლაში – შეიძლება ამას რამდენიმე გაკვეთილი დაეთმოს დასაწყისში, მაგრამ ეს არ იქნება გაცდენილი დრო; საწყის ფაზაში, პირველი გაცნობისას ვლინდება მშობლების დამოკიდებულებები და ხასიათი მასწავლებლის მიმართ, აქვე დგინდება ოჯახთან ურთიერთობის საზღვრებიც. მასწავლებელი იღებს ინფორმაციას ბავშვის განვითარების, ოჯახის პოტენციის შესახებ აღზრდის საკითხებზე და სხვ.
- ▶ მშობლებს უნდა აჩვენოს მასწავლებელმა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია მათი გაცნობა და ხანგრძლივი თანამშრომლობა და შეხვედრა ზრუნვისა და თბილი კლიმატის გარემოში ჩაატაროს;
- ▶ მორგებულია შეხვედრები არაფორმალურ სიტუაციებში, სადაც ხდება ბავშვის პოზიტიურ ასპექტებზე ხაზგასმა და მათი განმამტკიცებლების ერთობლივი ძიება;
- ▶ წერილობითი კომუნიკაციის ამუშავება, მათ შორის ინტერნეტმესიჯებითაც და მეილბოქსებითაც, სადაც შეიძლება მასწავლებელმა მაღლიერება გამოხატოს არა მარტო აკადემიურ მაჩვენებლებზე

ზე და პროგრესზე, არამედ ბავშვის საქციელზე, თავაზიანობაზე, თუნდაც მონდომებასა და ძალისხმევაზე, ასევე მშობლის მონაწილეობაზე კლასისა და სკოლის საქმეებში;

- ▶ ტელეფონით დარეკვა მშობელთან, სადაც მასწავლებელი არა რაიმე დავალების შესრულებას მოითხოვს, არამედ უბრალოდ ეკითხება განწყობას და სასაუბროდ იწვევს;
- ▶ მაღლიერების, პატივისცემისა და სიხარულის გამოხატვა თანამშრომლობის დროს, ასევე მოთმინება კომუნიკაციისას, იმ მშობლებთან, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო აქტიურად არ არის პროცესებში ჩართული ან პირიქით, ჰიპერჩართულობით გამოირჩევა.
- ▶ ნახალისება კონსულტაციებსა და შეხვედრებზე დასასწრებად; ნახალისებლად არ არის აუცილებელი ძვირად ღირებული ნივთების შექმნა ან ზედმეტად თავის შეწუხება. მასწავლებელმა ეს შეიძლება უბრალო გულით დანერგილი ბარათითაც მოახერხოს.
- ▶ ერთობლივი იმედებისა და პერსპექტივების განხილვა – დაგეგმოს და მშობლებს გააცნოს გეგმები;
- ▶ საჭირო ბიბლიოთეკის შექმნა მათთვის, ვისაც ხელი არ მიუწვდება ბიბლიოთეკაზე. საჭირო წიგნების მიწოდება გასაცნობად და მერე ერთობლივი განხილვა; ამ ტიპის აქტივობები შეიძლება ჩაატაროს იმ ოჯახებისთვის, რომლებიც დამატებით ლიტერატურას ვერ იძენენ. ადამიანებმა, რომ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნონ, სასურველია წიგნების გამოყენებას გაცვლითი ხასიათი მისცენ მასწავლებლებმა და მშობლებმა და ნაკითხული ლიტერატურა თუ ნაშრომი გაუცვალონ ერთმანეთს.
- ▶ საუკეთესო იქნება მშობელთა კლასიფიკაცია მათი შესაძლებლობების მიხედვით, რაც მასწავლებელს დაეხმარება ჩააყენოს ისინი სხვადასხვა როლში: კლასის სტუმარი, მთხრობელი, მხატვრული კითხვის ოსტატი, მომღერალი, სამეურვეო საბჭოს წევრი, დამრიგებლის თანაშემწე, მოხალისე და ა.შ.

- ▶ მთელი ოჯახის ჩართვის გამოწვევა და მათი წახალისება, მაგალითის განზოგადება სხვა მშობლებისათვის; მასწავლებელი ხშირად ხდება ოჯახური ურთიერთობების უნებლიე მოწმე ან მოსურნე, რომლის დროსაც მან ოჯახის შესახებ მთელი ცოდნა უნდა გამოიყენოს, რათა ტაქტიკურად შეძლოს მშობლების დახმარება შვილების აღზრდაში.
- ▶ ბებია-ბაბუების ჩართვა – სასურველია, სკოლამ ურთიერთობა დაამყაროს არა მხოლოდ ბავშვის მშობლებთან, არამედ მათ ბებია-ბაბუებთან, რადგან აღზრდისა და სწავლა-განათლების პროცესის მონაწილეები, ნებისთ თუ უნებლიეთ, ისინიც არიან; სკოლამ შეიძლება მოიწვიოს ისინი სკოლაში, აზრი ჰკითხოთ, ძველი სააღმზრდელო სისტემა გაიყნოს მათი საშუალებით, დაასაქმოს, როგორც მოხალისეები, გამოიყენოს მათი ცხოვრებისეული წარმატებები და მარცხიც სანიმუშოდ, სააღმზრდელოდ და სხვ.
- ▶ ურთიერთდობის ამაღლება და გაფრთხილება; მასწავლებლის კომუნიკაცია უნდა იყოს მშობლისთვის უბრალო, მისთვის გასაგებ ენაზე და საერთო საჭირობორტო საკითხებით დატვირთული, თან მის დამოკიდებულებისას, საუბარში, ურთიერთობაში უნდა იგრძნობოდეს მოსწავლის სიყვარული. ბავშვის ოჯახებთან მასწავლებლის დამოკიდებულებების საჭიროა სიფრთხილე. თითოეული ოჯახის საცხოვრებელი პირობების, მშობლების ასაკის, წარმომავლობის, განათლების საკითხებში მზაობის დონის, კონფიდენციალურობისა და მგრძნობელობის დაცვა და ტაქტის გამოჩენა;
- ▶ პარალელურად ოჯახები შეიძლება სკოლასთან და ბავშვებთან ერთად მონაწილეობდნენ მასწავლებლის ან მის მიერ ორგანიზებულ აქციებში, ექსკურსიებში, პროექტების შედგენასა და განხორციელებაში, სპორტულ ღონისძიებებში, მასტერკლასებში, მრგვალი მაგიდების მონაწილასა და დისკუსიებში.

მშობლების უფლებამოსილების გაძლიერება გამორიცხულია დიდაქტიკური, მორალიზებული და კატეგორიული ტონით. იგი უნდა

ვერდობდეს პატივისცემას, პასუხისმგებლობას, სამოქალაქო მოვალეობის შეგრძნებას და კომპეტენტურობას, რაც პირველ რიგში მასწავლებლის მიმართვებში და დამოკიდებულებებში უნდა ჩანდეს.

გეოგრაფიკული გეოგრაფიის სკოლის გენეზისი

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს. იმისთვის, რომ მშობლებმა შეძლონ და გააზრებულად ისარგებლონ ამ უფლებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორ აცნობს სკოლა მშობელს ამ უფლებას.

სამეურვეო საბჭოს არჩევნების წესს სკოლას უნდა ჰქონდეს დაგეგმილი საინფორმაციო კამპანია, რომლითაც აუხსნის და წაახალისებს მშობლებს, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, სასკოლო საზოგადოებას წარმოუდგინონ თავინთი ხედვა, განვითარების გეგმა, რომლის განხორციელებასაც გამარჯვების შემთხვევაში შეეცდებიან.

ამის გარდა, მშობლები ან მშობლების წარმომადგენლები ყველა კლასიდან უნდა მონაწილეობდნენ **შიდა დოკუმენტაციის შემუშავებასა და პოპულარიზაციაში**. აუცილებელია მშობლები აქტიურად ებმებოდნენ, მოსწავლეებთან ერთად, ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების შექმნაში, როგორცაა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლის ოპერატიული გეგმა, სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, საკათედრო მუშაობის გეგმა, სადამრიგებლო პროგრამა, ბიბლიოთეკის წლიური გეგმა, უსაფრთხოების წესები, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა დამატებითი ფუნქცია-მოვალეობები, რაც საკანონმდებლო ბაზით არ არის განსაზღვრული და სხვ.

სკოლის დირექციამ უნდა გაითვალისწინოს და დოკუმენტების შექმნაზე მოიწვიოს სამივე საფეხურის მოსწავლეთა მშობლები და აქტიურად ითანამშრომლოს მათთან. შესაძლებელია, შემუშავდეს მშობელთა რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელშიც აღრიცხული იქნება მშობელთა მიერ, სხვადასხვა დროს მიწოდებული რჩევები

და რეკომენდაციები, თუნდაც სურვილები, რომელთა განხილვას და დანერგვას წლის ბოლოს, ანგარიშის ერთ ნაწილში, წარმოადგენს დირექტორი ან პასუხისმგებელი პირი. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სერვისის მომხმარებელი სულ ჰყავს სკოლას და იგი განათლების მოქნილობასაც შეუწყობს ხელს.

საგანმანათლებლო პროგრამების მართვა – მშობლის ინტერესებში შედის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების მართვაში მონაწილეობა და/ან ხელშეწყობა მისი დანერგვის მიზნით. მშობელთა კრებებზე გამოთქმული მოსაზრებები, სურვილები, რეკომენდაციები თავისუფლად შეიძლება ახალი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო პროექტის იდეად იქცეს, რომელსაც ადმინისტრაცია პროგრამად აქცევს და დანერგავს. არ არის აუცილებელი პროგრამის ხელმძღვანელად მოაზრებული მშობელი მაინცდამაინც რომელიმე საგნის სპეციალისტი იყოს ან შესაბამისი განათლება ჰქონდეს. საკმარისი პირობაა ინიციატივიანი და საბაზო უნარებით აღჭურვილი ადამიანი იყოს და თვალყური ადევნოს მის განხორციელებას და რეზულტატს მასწავლებლებთან ერთად. ეს გაზრდის მშობლის მონდომებას და მოტივაციას მოიტანოს ახალი იდეები სკოლაში, ეძებოს და იკვლიოს ანალოგიური პროგრამები და ადამიანები, რომლებიც მის განახორციელებას შეძლებენ და სხვ. ასეთ დროს, ბუნებრივია, არსებობს რისკი, რომ ვერ მოიცალოს მშობელმა, დრო ვერ დაუთმოს სკოლას და პროგრამა ჩავარდეს, მაგრამ ადმინისტრაციას, კარგი დაგეგმარებით შეუძლია მინიმუმადე დაიყვანოს ეს რისკები და ინოვაციების დანერგვა მშობლებთან ერთად შეძლოს.

მაგალითად, სკოლამ მშობლებთან ერთად შეიმუშავა თანასწორობის პროგრამა და დაიწყო განხორციელება. შეიძლება მართვის ტვირთი რამდენიმე მშობელზე გადაწარილდეს და ყველამ თავის ვიწრო, ლოკალურ მიმართულებას მიაქციოს ყურადღება. ერთმა – რელიგიური უმცირესობის ინტეგრაციას, მეორემ – ეროვნული უმცირესობის, მესამემ – მონაცვლადი ჯგუფების მონიტორინგი აიღოს საკონტროლოდ და ა.შ. თითოეული მათგანი შერჩეული უნდა იქნას სწორი ღირებულებებისა და ფასეულობების პირობით. სემესტრში ერთხელ, ამ მშობლებს შეუძლიათ დაიხმარონ სხვა მშობლებიც და



საერთო ღონისძიება მოაწყონ, განსაკუთრებით ბავშვების აქტიურობითა და ჩართულობით. ან საკლასო დონეზე დააგეგმონ თუნდაც მცირე აქტივობა.

ნახალისების სისტემა მშობელთათვის – სკოლამ, სასურველია, შეიმუშაოს მშობელთა ნახალისების დინამიკური სისტემა, რომელიც იმოქმედებს წლიდან წლამდე და წლის ბოლოს ახლით, უფრო ინოვაციურით შეიცვლება. შეიძლება ამ სისტემამ დიდი მატერიალური საჭიროებები არ მოითხოვოს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მორალური ნახალისება მშობელს გულგრილს არ ტოვებს და სკოლისადმი კეთილად განაწყობს. სემესტრის ან წლის ბოლოს აქ-

ტიურ, ჩართულ, დაინტერესებულ, მოტივირებულ, კეთილგანწყობილ, ცნობისმოყვარე მშობელს შეიძლება სკოლამ მოუწყოს მიღება და ამ მიღების ცერემონია და რიტუალი დოკუმენტურად განწეროს შინაგანაწესში, როგორც ტრადიცია, სკოლის კულტურის გამდიდრების აუცილებელი ნაწილი. მიღებაზე შეიძლება მიწვეული იქნას რამდენიმე მშობელი, სადაც ადმინისტრაციასთან და კათედრების ხელმძღვანელებთან ერთად ისაუბრებენ სკოლის მომავალ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. სასურველია, მიღებას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს წევრები. მიღების ოფიციალური სახისათვის კარგი იქნება, თუ ადამიანები რამდენიმე დღით ადრე, წერილობით, ოფიციალურად მიიღებენ მიწვევას.

აუცილებელი პირობა არ არის, რომ მშობელი, რომელსაც ადმინისტრაცია მიღებაზე მიიწვევს, სანიმუშო აკადემიური მოსწრების მოსწავლის მშობელი იყოს. მისაღებია და ორმაგად ეფექტური, თუ მიღებაზე მიწვეული მშობელი საშუალო და/ან დაბალი აკადემიური მოსწრების მშობელთა რიგებიდან იქნება. ამ უნდა მათ შვილებს გაცილებით გაუმრძედათ მოტივაცია და სკოლის ღირსეულ და დაფასებულ წევრებად იგრძნობენ თავს.

სკოლის განვითარების ფონდი – დაფასებული და ღირსებით სავსე მშობელი, აბსოლუტურად მოსალოდნელია, სპონსორების მოზიდვის მთავარი აქტორი გახდეს და შესაძლებლობების მიხედვით, დამფინანსებელიც.

მშობელთა გაერთიანებამ, საბჭომ, ჯგუფმა, შესაძლებელია, იზრუნოს და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, შექმნას სკოლის განვითარების ფონდი, რომელთა რიგებში მოიწვიოს სკოლის ორბიტაზე მოძრავი ორგანიზაციები, ადამიანები, კურსდამთავრებულები, მშობლები, ქველმოქმედი პირები და ა.შ. სკოლის განვითარების ფონდმა შეიძლება იმუშაოს იმ ინოვაციური პროცესების მხარდასაჭერად, რომელთა საშუალებითაც სკოლა შეძლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებას, მშობელთა სურვილების გათვალისწინებას, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვას, აღზრდის ელემენტების გააქტიურებას და სხვ.

სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობით აუცილებელია მშობელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლება და არა მარტო უფლება-მოვალეობების გაცნობა, არამედ სასკოლო საზოგადოებაში სპეციალური პროგრამების ამუშავება და დანერგვა.

მშობელთა ჩართულობის სტრატეგიული გეგმის არსებობის და მისი სწორად განხორციელების შემთხვევაში მშობლები მეტად მოტივირებულები, მეტად მონდობილები ხდებიან, რომ მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში. ამგვარი აქტივობები მათ იმის გაცნობიერებაში ეხმარება, რომ სკოლის თანასწორუფლებიანი პარტნიორები არიან და შესაბამისად მათ აქვთ პასუხისმგებლობები.

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა:

Parental Involvement; Education GPS; OECD <https://gpseducation.oecd.org/revieweducationpolicies/?fbclid=IwAR2ZQQM1qwyMXp9Hz9rzsBSvP7VF-gEMGCz5cf7ceqhBj8OcrMhd4FQIMJYk#!node=41727&filter=all>

ACT Government. (2014). მშობელთა ჩართულობის სასკოლო საინფორმაციო ფურცელი. https://www.education.act.gov.au/_data/assets/pdf_file/0005/807431/150897-Building-a-Strong-Culture-of-Parent-School-Engagement_2.pdf

მშობელთა ჩართულობა http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

სკოლებში მშობელთა ჩართულობის ქართული გამოცდილება

კვლევის შედეგები

საქართველოს სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა 2020 წლის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ ჩაატარა. (კვლევის სრული შედეგები იხილეთ ვებგვერდზე www.mshobeltaskola.ge)

კვლევის მიზანი იყო, საქართველოს საჯარო სკოლებში მშობელთა დემოკრატიული ჩართულობის მასშტაბისა და ხარისხის შესწავლის საფუძველზე, მშობლებისა და სკოლების სხვადასხვა დონის მმართველებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანაა სკოლაში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა შემდეგი მიმართულებებით:

1. მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა
2. მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა
3. მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა
4. მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი

ინფორმაცია კვლევის შესახებ:	
პროექტის სახელწოდება	სკოლაში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა
პროექტის დაწყების პერიოდი	ოქტომბერი. 2020წ.
პროექტის მიმდინარეობის ხანგრძლივობა	ოქტომბერი- ნოემბერი. 2020წ.
პროექტის ბენეფიციარები	მშობლები, კლასის დამრიგებლები, სკოლის დირექტორები
პროექტის განხორციელების ადგილი	3 საჯარო სკოლა: დიდი ქალაქის სკოლა A (1939 მოსწავლე), მცირე ქალაქის სკოლა B (585 მოსწავლე) და სოფლის სკოლა C (362 მოსწავლე)
პროექტში მონაწილეების რაოდენობა	61 მონაწილე (6 ფოკუს ჯგუფი), 3 მონაწილე (ჩაღრმავებული ინტერვიუ), 970 მონაწილე (ანკეტირება)
მონაწილე სკოლების შერჩევის კრიტერიუმები	კვლევაში მონაწილე სკოლების შერჩევა მოხდა დასახლების ტიპის მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური, გეოგრაფიული რეპრეზენტაციის კრიტერიუმის დაცვით.
კვლევის განხორციელების ეტაპები	კვლევა განხორციელდა 4 ეტაპად: 1. მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი; 2. ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში; 3. ჩაღრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან; 4. მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება.
პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი	ააიპ მშობლები განათლებისთვის: გიორგი გახელაძე; როზი დევნოზაშვილი
დონორი ორგანიზაცია	კონრად ადენაუერის ფონდი

ნაერთი კვლევის შედეგები

ქირითადად მიხედვით

წინამდებარე კვლევის ნაერთი შედეგები, სამი სხვადასხვა ტიპური საჯარო სკოლის შემთხვევაში, გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ▶ სკოლისა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი ურთიერთობები რეგულირდება მკაცრად ცენტრალიზებული მართვის ვერტიკალით;
- ▶ მშობელთა უფლებამოსილებების შესახებ ცოდნის უფლების სავალდებულო განხორციელება ვერ ფარავს კანონით დადგენილი უფლებების უმეტეს ნაწილს;
- ▶ სკოლისა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი ურთიერთობების უდიდესი ნაწილი არ არის ინსტიტუციონალიზებული საჯარო სკოლებში მათი ავტონომიურობისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით;
- ▶ საჯარო სკოლების თანამშრომლებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უმრავლესობამ არ იცის კანონით დადგენილი საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ;
- ▶ სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობებში ძალაუფლების სიმძიმის ცენტრი არის სკოლაში.
- ▶ სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობები უპირატესად დამოკიდებულია: 1. სკოლის დირექტორის მოტივაციაზე, პიროვნულ თვისებებზე და კომპეტენციაზე; 2. კლასის დამრიგებლების პიროვნულ თვისებებზე და კომპეტენციაზე;
- ▶ მშობელთა რეალური ჩართულობა და ინიციატივები სკოლის ცხოვრებაში შეზღუდულია მხოლოდ: სკოლის მიერ ინიცირებულ კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობით; მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმირებულობით;
- ▶ მშობელთა ინიციატივიანი ჩართულობა სკოლის მართვის სხვადასხვა საკითხში ნეგატიურად აღიქმება სკოლების მხრიდან;

- ▶ მშობლების უმრავლესობამ არ იცის, როგორ შეიძლება ჩაერთოს სკოლის ცხოვრებაში.
- ▶ მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამართლებრივი ურთიერთობები სკოლასთან გასაუმჯობესებელია და მათი ინიციატივები სასარგებლოა მოსწავლეთა განათლებისათვის.
- ▶ სკოლასა და მშობელს შორის რეგულარული, სტრუქტურირებული კომუნიკაცია შეზღუდულია ფორმებითაც და შინაარსითაც. ძირითადი კომუნიკატორი არის კლასის დამრიგებელი.
- ▶ სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაცია უპირატესად მიმართულია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის მეთვალყურეობაზე.
- ▶ მშობელთა უმეტესობისათვის სასურველია კომუნიკაციის მეტად პერსონალიზაცია.
- ▶ სკოლების მხრიდან მშობლების პროაქტიური ინფორმირება მათი უფლებამოსილებებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ არ არის სისტემური და უფრო ფრაგმენტული ექსპერიმენტების ხასიათი აქვს.
- ▶ მოსწავლეთა რიცხოვნობის მატებასთან ერთად მცირდება სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაციის ხარისხი.
- ▶ სკოლების მიერ მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის სისტემის ჩამოყალიბებას აფერხებს სკოლის შეზღუდული ადმინისტრაციული ავტონომია – საჯარო სკოლის მმართველობა მეტად დამოკიდებულია სამინისტროზე და შესაბამისად მის კონტროლზე, ვიდრე მშობელასა და ადგილობრივ თემზე
- ▶ მშობლები მცირედ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებამოსილებებისა და სკოლაში ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ.

გეოგრაფიის ფორმალური უფლებამოსილებები და კანონის დაცვა

საჯარო სკოლებისა და გეოგრაფიის უფლებამოსილების გარეგანი დაცვის ანალიზი

სკოლაში მშობლების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს აღწერს საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. კანონში ხშირად არის ნახსენები სკოლის უფლებამოსილება, დაანესოს აღნიშნული უფლებების, თავისუფლებებისა და მათი შეზღუდვების გამოყენების გონივრული ფარგლები.

სკოლის წესდება:

საქართველოს საჯარო სკოლების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ავტონომიურობის ფუნქციონირების გამოხატულება არის სკოლის წესდება. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლას (რამდენიმე ერთეულის გამოკლებით) და მათ შორის, კვლევაში მონაწილე სკოლებსაც აქვთ იდენტური წესდებები. ამ წესდებაში კანონის ზემოთქმული ნორმების მხოლოდ მცირედი დაზუსტებაა. კერძოდ, **საჯარო სკოლის წესდება აღწერს მშობლების უფლებებისა თუ თავისუფლებების მხოლოდ დარღვევასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებსა და მექანიზმებს, როგორც არის, მაგალითად, საჩივრების განხილვის წესი.**

სკოლის შინაგანაწესი:

საქართველოში საჯარო სკოლების შინაგანაწესები წარმოადგენს, სკოლის საერთო ფუნქციონირების დოკუმენტებს შორის, ყველაზე ავტონომიურს. **თითოეული სკოლის შინაგანაწესის შესწავლისა და შედარების შედეგად მივიღეთ, რომ სამივე სკოლის შინაგანაწესი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთმანეთს – ერთი და იგივე ტექსტია, უმცირესი ცვლილებებით. სხვადასხვა მახასიათებლების მქონე სკოლების შინაგანაწესებში, მცირე გამოწვევების გარდა, სხვა განსხვავებები არ არსებობს. შინაგან-**

ნაწესში ყველაზე მოცულობითად და დეტალურად აღწერილია სკოლისა და მშობლების ურთიერთობის ნეგატიური მხარე, რაც გამოწვეულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებითა და შესაბამისი პასუხისმგებლობებით. ასევე აღწერილია მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, რომელიც ხშირად დაკავშირებულია: მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებასთან, მათთან შეთანხმებულ გადაწყვეტილებებთან ან/და მათ უშუალო მოქმედებებთან. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, რომელიც არ არის სკოლის თვითმმართველობის რომელიმე ორგანოს წევრი, **სასკოლო ცხოვრებაში ლეგიტიმურად ჩართვის საშუალებებად აღწერილია მხოლოდ რეგისტრირებული განცხადებით ან საჩივრით მიმართვა სკოლისათვის. აღნიშნული განცხადებების განხილვის წესი აღწერილი არ არის.** სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი აღწერილია მხოლოდ მოსწავლის გაკვეთილებიდან გათავისუფლების პირობებში.

ხელშეკრულება სკოლასა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის:

რაც შეეხება, ხელშეკრულებას სკოლასა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის – სამივე სკოლის მშობელთან დასადე-ბი **ხელშეკრულებები სრულად იდენტურია, გარდა სკოლისა და მშობლის საიდენტიფიკაციო ინფორმაციისა.**

- ▶ ხელშეკრულების საგანია სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთობების რეგულირება;
- ▶ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და მისი გაცნობა უნდა დადასტურდეს მხარეთა ხელმოწერით;
- ▶ ხელშეკრულება ძირითადად აღწერს სკოლის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებსა და უფლებებს.
- ▶ სკოლის ვალდებულებები მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობაში შემოიფარგლება მხოლოდ შინაგანაწესისა და მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.

- ▶ ხელშეკრულების თანახმად, სკოლას აქვს ცალმხრივი უფლება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში დაშვების თაობაზე.
- ▶ ხელშეკრულება ყველაზე მეტად და დეტალურად აღწერს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს.
- ▶ ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის ურთიერთობებში არის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ცალმხრივი ვალდებულებები სკოლასთან კომუნიკაციის სფეროში. უმეტეს შემთხვევაში, ეს კომუნიკაცია სკოლის მოთხოვნებისამებრ ხდება.
- ▶ ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის ურთიერთობის ეთიკური (თავაზიანობა, პატივისცემა, კეთილგანწყობის შენარჩუნება და ა.შ.) ვალდებულებები აქვთ მხოლოდ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და მოსწავლეს. ანალოგიური შინაარსის ვალდებულებები სკოლის მხარეს საერთოდ არ არის ნახსენები. ამგვარი მოპყრობის მოთხოვნის უფლება აქვს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს
- ▶ ხელშეკრულების თანახმად, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვს უფლება მოითხოვოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვა. მაგრამ ხელშეკრულება არ აღწერს ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ (თავი II.), ამავე კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ სკოლის ვალდებულებას ინფორმირების შესახებ.

საჯარო სკოლებისა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტები (წესდება, შინაგანაწესი და ხელშეკრულება) არ შეიცავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლების განხორციელების პირობებსა და მექანიზმებს, გარდა გასაჩივრების და დისციპლინის საკითხებისა.

ფოკუს-ჯგუფების ანალიზი

კვლევის აღნიშნული მიმართულებით ფოკუს ჯგუფებში ჯგუფური ინტერვიუებით გამოჩნდა, რომ:

- ▶ სამივე სკოლაში დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე უკითხავენ დამსწრეებს ხელშეკრულებას და შინაგანანგვის შესაბამის ნაწილებს, ურიგებენ მათ იქვე და ინდივიდუალურადაც ხელშეკრულებას და ითხოვენ ხელმოწერილის დაბრუნებას.
- ▶ სამივე სკოლაში დამრიგებლებს არ ჰქონიათ საჭიროება, რომ განემარტათ მშობლებისათვის კანონით გათვალისწინებული უფლებები. მხოლოდ სკოლა B-ში გაიხსენეს, რომ გასულ წელს დირექტორმა ამოებჯდა ეს ინფორმაცია, ხოლო დამრიგებლებმა დაურიგეს მშობლებს.
- ▶ სამივე სკოლაში დამრიგებლებს უჭირთ მშობლების უფლებების კონკრეტული დასახელება, თუმცა იციან მათი მოვალეობები. მშობლების უფლებებიდან მკაფიოდ იხსენებენ სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში მათი მონაწილეობის უფლებას.
- ▶ სამივე სკოლაში დამრიგებლები აფასებენ, რომ მშობლებთან ურთიერთობაში მათი ვალდებულებები მეტია, ვიდრე უფლებები. ისინი ასახელებენ მოსწავლის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირებას, მშობელთა კითხვებზე რეაგირებას.
- ▶ სამივე სკოლის დამრიგებლების შეფასებით, მშობლების უმეტესობა ყურადღებით არ ეცნობა ხელშეკრულებას და ფორმალურად ეკიდება მას.
- ▶ მშობლები სამივე სკოლაში საკუთარი უფლებებიდან მკაფიოდ გამოყოფენ მხოლოდ პედაგოგებისა და დირექციისათვის მიმართვის უფლებას, რაიმე სახის პრეტენზიის შემთხვევაში.
- ▶ სამივე სკოლის მშობლებმა იციან, რომ მათი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები აღწერილია ხელშეკრულებასა და შინაგანანგვში.
- ▶ სამივე სკოლის მშობლები ასახელებენ, რომ უმეტესად ხელშეკრულებას სკოლიდან სახლში ატანენ მოსწავლეს და ანალოგიურად აბრუნებენ ხელმოწერილს სკოლაში.

- ▶ სამივე სკოლის მშობლების შეფასებით, მათი უმრავლესობა ყურადღებით არ ეცნობა და ინტერესდება საკუთარი უფლებამოსილებებით.
- ▶ სამივე სკოლის მშობლები ასახელებენ საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ნაწილს, რაც უკავშირდება: სასკოლო ქონების მოფრთხილებას, მოსწავლის დასწრებას გაკვეთილებზე, მოსწავლის აკადემიური მოსწრებითა და დისციპლინით დაინტერესებას.

სამივე სკოლაში როგორც დამრიგებლებს, ისე მშობლებს კანონიერი უფლება-მოვალეობებისა და მათი განხორციელების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირთ: აყვანებენ, ასახელებენ ან ძალიან ზოგად დებულებებს, ან ძალიან იშვიათ ფრაგმენტულ გამოხატულებას

რეკონსტრუქციის ინტერვიუები გენდერულ სკოლების დირექტორებთან

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ სკოლის დირექტორებთან ჩატარებულ ინტერვიუებიდან.

კვლევის აღნიშნული მიმართულებით სკოლის დირექტორებთან ინტერვიუებით გამოჩნდა, რომ:

- ▶ ყველა მონაწილე სკოლის დირექტორს უჭირს შესაბამის კითხვებზე პასუხი და მეტწილად შემოიფარგლებიან ხელშეკრულების გაცნობის შესახებ საუბრით.
- ▶ სამივე დირექტორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შაბლონი გადაეცათ და ჰქონდათ ფორმალური ერთჯერადი განხილვა მშობლების მცირე ჯგუფთან, თუმცა ეს არ ასახულა ხელშეკრულების შინაარსზე.
- ▶ სკოლის დირექტორებიდან მხოლოდ ერთს გაახსენდა ზოგადი განათლების შესახებ კანონით დაცული შეკრების თავისუფლება.

- ▶ სამივე სკოლის დირექტორი არ არის დარწმუნებული მშობლების მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ კარგ ცოდნაში.
- ▶ სამივე სკოლის დირექტორს მიაჩნია არასაკმარისად მშობელთა უფლებამოსილებების შესახებ ცოდნის გავრცელების სამუშაოები.
- ▶ მხოლოდ ერთი სკოლის დირექტორს მიაჩნია, რომ მშობელთა უფლებები სკოლასთან ურთიერთობაში შემღუფლებულია.

გეოგრაფიკული ანკეტირება

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ მშობელთა ანკეტირებიდან. ამ გზით მიღებული ინფორმაცია ასახავს შესაბამისი გამოცდილების სტატისტიკურ სურათს.

კვლევის აღნიშნული მიმართულებით მშობელთა ანკეტირებიდან გამომდინარე, რომ:

- ▶ გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ინფორმირებულია საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. აქედან, ნახევარზე მეტი (52.3%) ფიქრობს, რომ სრულად ინფორმირებულია.
- ▶ მშობლების უმრავლესობისათვის საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის წყარო არის მასწავლებლები (61.9%) და სკოლის დირექცია (27.7%).
- ▶ გამოკითხულ მშობელთა უპირატესი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მათი უფლება-მოვალეობები აღწერილია სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში (72.7%).
- ▶ გამოკითხულ მშობელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ სკოლის ხელშეკრულება აღწერს შემდეგ საკითხებს: მოსწავლის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (69.9%), დისციპლინა (44.2%), სასწავლო პროგრამები (34.3%), სწავლის რეჟიმი (22.9%) და მოსწავლეთა შეფასება (22.6%).
- ▶ სკოლასთან რეალურად დადებული ხელშეკრულება აქვს მშობელთა ნახევარზე მეტს (66%), თუმცა თითქმის მეოთხედმა (23.2%) არ იცის (ან არ ახსოვს) ამის შესახებ.

- ▶ გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მშობელსა და სკოლას შორის უფლება-მოვალეობების ბალანსი სამართლიანად არის განაწილებული.
- ▶ ამავდროულად მშობელთა 2/3-ზე მეტის (67.9%) აზრით, სკოლასა და მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობები გასაუმჯობესებელია.

მომავლთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა

სასკოლო ცხვრებაში მშობელთა ჩართულობის რეალური გამოცდილების შესასწავლად გამოვიყენეთ ფოკუს ჯგუფებიდან, დირექტორის ინტერვიუებიდან და მშობელთა ანკეტირებიდან მიღებული მონაცემები.

კლასის დაგრიგებულებისა და მომავლთა ფოკუს ჯგუფებში განხორციელებული ჯგუფური ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ:

- ▶ ორივე ტიპის ფოკუს ჯგუფის წევრებს მშობელთა ჩართულობის გამოცდილებაზე საუბარი არ უჭირთ, თუმცა მეტწილად იხსენებენ ცალკეულ, არარეგულარულ შემთხვევებს.
- ▶ სამივე სკოლის, როგორც დამრიგებლების, ისე მშობლების ფოკუს ჯგუფებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკა უპირატესად უკავშირდება კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებში ან/და კონფლიქტური ვითარების განმუხტვაში მონაწილეობას.
- ▶ მშობლების ჩართულობა მოსწავლის სასწავლო პროგრამების ნაწილში სახელდება მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში.
- ▶ სამივე სკოლაში დამრიგებლები და მშობლები ვერ ასახელებენ მშობლების ჩართულობის მაგალითებს: სკოლის წესების შემუშავებაში, სკოლის ქონების განკარგვაში, სასწავლო პროგრამებისა და მეთოდების განხილვაში. ასეთ მაგალითებს უკავშირებენ მხოლოდ სამეურვეოს საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და მშობელთა კომიტეტის (სკოლა A-ს შემთხვევაში) წევრებს.

გაღრმავებული ინტეგრირებული სკოლის დირექტორებთან აქვენებს, რომ:

სკოლის მართვაში მშობელთა ჩართულობას სამივე დირექტორი განიხილავს და უკავშირებს სამეურვეო საბჭოს, მათ წევრებს. აქვე, დირექტორები მსგავსად აფასებენ სამეურვეოს საბჭოს ინერტულობას.

ორი სკოლის დირექტორი აღნიშნავს მშობლების ბევრით მონაწილეობას სკოლის დისციპლინურ კომიტეტში.

სხვადასხვა მიმართულებით მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში სამივე დირექტორი აფასებს ნაკლებშედეგიანად. სამივე მათგანი ამ მდგომარეობას ხსნის მშობელთა უმეტესობაში ინტერესის უქონლობით ან/და არაკომპეტენტურობით. მათ მიერ გახსენებული კონკრეტული მაგალითები ძირითადად ნეგატიურ გამოცდილებას აღწერს.

სამიდან ორი სკოლის დირექტორი არასაკამრისად მიიჩნევს სკოლის მხრიდან გატარებულ ღონისძიებებს მშობელთა ჩართულობის გააქტიურებისა და შედეგიანობის ამოღებისაკენ.

გეოგრაფიკული ჩართულობის რეალური პრაქტიკის უმსაჯავაზ გეოგრაფიკულ ანატირეკტივით გამოავლინა, რომ:

გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ ჩართულობას სკოლის მართვის შემდეგ საკითხებში: მოსწავლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ბავშვის უფლებების დაცვა და დისციპლინური წესების შემუშავება-დაცვა.

სკოლის მართვის რაიმე საკითხებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს გამოკითხულ მშობელთა მათხიმუმ 36.5%-ს – მესამედზე ოდნავ მეტს.

გამოკითხული მშობლების სკოლის მართვაში მონაწილეობის მთავარი გამოცდილება არის საკუთარი მოსაზრების გაცნობა კლასის დამრიგებლისათვის (ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 41.2%). მხოლოდ 3%-ს გაუცვნია საკუთარი მოსაზრება დირექციისათვის. ამ ტი-

პისა და სიხშირის მონაწილეობის შედეგიანობა სრულად დამაკმაყოფილებელია მესამედზე ოდნავ მეტისათვის (35.5%).

მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათი ინტერესების ყველაზე შედეგიანი დამცველები არიან დამრიგებლები (75.2%).

სკოლაში მშობელთა რაიმე თვითმმართველობის ორგანოს შესახებ წარმოდგენა აქვს გამოკითხულთა ნახევარზე ოდნავ მეტს (55%). სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებას ეთანხმება გამოკითხულთა მესამედზე ნაკლები (29.7%).

გეოგრაფიის ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

მშობელთა ჩართულობის მოტივაციისა და მისი ნახალისების გამოცდილების შესწავლისას გამოვლინდა ქვემოთ მოტანილი შედეგები.

ჯგუფური ინიციატივები კლასის დაგრიგებელთა და გეოგრაფიის ფოკუს ჯგუფებში

მონაწილე სკოლების ორივე ტიპის ფოკუს ჯგუფებში მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების აღწერა გაუჭირდათ. გაიხსენეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რაც ძირითადად უკავშირდება კლასგარეშე აქტივობების/ღონისძიებების ორგანიზებას.

ჩამოყვანილი ინიციატივები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

სამივე დირექტორს მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების აღწერა გაუჭირდათ. გაიხსენეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რაც ძირითადად უკავშირდება კლასგარეშე აქტივობების/ღონისძიებების ორგანიზებას.

სკოლა C-ს დირექტორმა გაიხსენა ერთი შემთხვევა, როდესაც მშობელთა ერთი მცირე ჯგუფის ინიციატივით მოწვეულ საქველმოქმედო აქცია სოფელში მცხოვრები გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად.

გეოგრაფიული სკოლების გეოგრაფია ანაკტირება

მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების რაოდენობრივი მაჩვენებლები მწირია. სკოლისათვის რაიმე სახის ინიციატივა ჰქონია მშობელთა მხოლოდ 16.7%-ს.

მშობელთა უმცირესობის ინიციატივები ძირითადად უკავშირდებოდა: სკოლის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, კლასგარეშე აქტივობების სიხშირის გაზრდას, მოსწავლეთა შეფასების დროულ შეტყობინებას.

მშობელთა შორის ინიციატივების უქონლობის მიზეზებს შორის დანაშაულებულია იდეის დეფიციტი. ამავდროულად, გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა (3/4-ზე მეტი) დარწმუნებულია, რომ მშობლების ინიციატივები მოსწავლის განათლებისა და სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის სასარგებლოა.

გეოგრაფიულ კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი

მშობლებთან კომუნიკაციის ფორმებსა და შინაარსზე რაოდენობრივად მეტ ინფორმაციას გვაძლევს მოპოვებული მონაცემები. მათი ანალიზის შედეგები კი ასეთია:

გეოგრაფიული საჯარო სკოლებისა და გეოგრაფიის ურთიერთობის გაკავშირებული დოკუმენტები

მონაწილე სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახულია კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი. როგორც შინაგანაწესებში, ისე მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაში მეტწილად ვხვდებით პირის-პირ შეხვედრის ფორმებს, რომელთა ინიციატორი შეიძლება იყოს სკოლა. თუმცა, ამგვარი შეხვედრებისა და განხილვების შინაარსი უმეტესად უკავშირდება მოსწავლის დასწრებასა და დისციპლინარულ გადაცდომებს.

მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და პროგრესთან დაკავშირებული კომუნიკაციის ინიციატივა გადატანალია მშობლის მოვალეობათა ნაწილში.

სასწავლო პროგრამებთან, სკოლის სამოქმედო გეგმებთან, სკოლის რესურსების მართვასთან, სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული შინაარსის რეგულარული კომუნიკაცია საერთოდ არ არის ნახსენები აღნიშნულ დოკუმენტებში.

ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და გეოგრაფიის ფოკუს ჯგუფებში

სამივე სკოლის კლასის დამრიგებლების შეფასებით, მშობელთა მხრიდან კომუნიკაციის მთავარი მოტივია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და შესაბამისი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღება.

სამივე სკოლის დამრიგებლები აღნიშნავენ, რომ ინდივიდუალური და ხშირი კომუნიკაციისათვის იყენებენ სატელეფონო კავშირსა და სოციალურ ქსელებს ინტერნეტში. მათი თქმით, ამ საშუალებებით კომუნიკაციის სიხშირე და შინაარსი დამოკიდებულია მშობლის ან დამრიგებლის საჭიროებაზე.

სკოლებში A და B მშობლებთან რეგულარული, სტრუქტურირებული კომუნიკაციის პრაქტიკა ძირითადად გამოხატულია კვირაში ერთი დღის დანესებით მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. ასევე, სემესტრში მინიმუმ 2-ჯერ მშობელთა კრებების მოწვევა (ძირითადად სემესტრის დასწყისსა და ბოლოში). აღნიშნულ ორ სკოლის კლასის დამრიგებლების საერთო გამოცდილებას თვალსაჩინოდ გამოხატავს ერთ-ერთი რესპოდენტი:

„მშობლების მხრიდან ძირითადი ინტერესი აკადემიური მოსწრება და შეფასებაა. ჩვენც გვაინტერესებს, რა თქმა უნდა, ეს შედეგები, თუმცა ამავე დროს ჩვენი ინტერესი გადის დისციპლინაზე, მოსწავლეთა შორის ურთიერთობაზე, კონფლიქტებზე. რის გამოც ვუკავშირდებით ხოლმე მშობლებს. არის ასევე გარკვეული პროექტები,

ღონისძიებები, როცა მშობელთა ჩართულობაც გვჭირდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიც ვუკავშირდებით. ჩვენი მხრიდან უფრო ფართო სპექტრი კომუნიკაციის, ვიდრე მშობლების მხრიდან, სამწუხაროდ. ინიციატივები რაღაც პროექტებზე და იდეები ნაკლებად მოდის ხოლმე. ძირითადად, სწავლა, შეფასება, მოდი ასე ვიტყვოდი, არა მაინც და მაინც განათლების ხარისხი“.

მშობლებთან პოზიტიური მიზნით დამრიგებლებიდან ინიცირებული შეხვედრების მხოლოდ ერთეული შემთხვევები გაიხსენეს სკოლებში A და B. ასევე, სკოლაში A მშობლებმა გვიპასუხეს, რომ გვემყურე შეხვედრები თვეში ერთხელ ჰქონდათ დანიშნული.

განსხვავებული ვითარებაა სკოლაში C – აქ მშობლებთან ინდივიდუალური, რეგულარული შეხვედრებისათვის გამოყოფილია თვეში ერთი დღე, თუმცა კრებებსაც ამავე სიხშირით იწვევენ, მიაჩნიათ რომ ამის საჭიროება არის:

„კრებაზე განვიხილავთ მაგალითად, როგორ შევუწყოთ ხელი რომ ბავშვი იყოს აქტიური. რა არის მოსწავლის მოვალეობები. სისუფთავის, ჰიგიენის დაცვა სკოლაში. მოსწავლის კოდექსს ვაცნობთ სწავლის დასაწყისში. რამდენად უნდა იყოს მშობელი ჩართული ბავშვის აღზრდა-განათლებაში. არის სხვა საკითხებიც და არ მახსენდება ახლა. თუ მაგალითად გაცდენები კლასში ტენდენციად იქცა, ზოგადი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა კრებაზეც ვმსჯელობთ. კონკრეტულ დროს დღის წესრიგში რაც არის და რისი საჭიროებაც დგას, იმ საკითხებზე ვმსჯელობთ. იქ მშობელიც რაღაცას იტყვის, რაღაც ამრიგად იქნება. ექსპურსიებთან დაკავშირებით ვგეგმავდით ხოლმე კრებებზე“.

მხოლოდ სკოლა C -ს დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლის დაბარება სკოლაში არ ხდება მხოლოდ ნეგატიური მოტივით:

„მაშინაც ვიბარებთ მშობლებს, როცა კარგად იქცევა მოსწავლე. მაგალითად ახლა რაც მახსენდება, არის ბავშვი, რომელიც ძალიან მოწესრიგებულია. არ აგვიანებს, გაკვეთილებს სწავლობს და შესაბამისად პედაგოგები მის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი

მისი საქციელის და სწავლის გამო. მადლობის სათქმელად დავიბარეთ მისი მშობელი. ცელქი ბავშვების შექცების შემთხვევებიც გვქონია, რომელიც მათ დიდ სტიმულს აძლევს“.

ქალაქების სკოლებისგან განსხვავებით, სოფლის სკოლის დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლები არ ერიდებიან როგორც კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმას სკოლის მიმართ, ისე ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით დახმარების თხოვნას.

დამრიგებლები სამივე სკოლიდან აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში გამართულ მშობელთა კრებაზე ისინი აცნობენ მშობლებს შინაგანაწესსა და ხელშეკრულებას, განუმარტავენ მოსწავლეებისა და მათ უფლებამოსილებებს. თუმცა, ამ პასუხებს ისინი იძლეოდნენ დამაზუსტებელი შეკითხვის შემდეგ. ხოლო თავდაპირველ შეკითხვაზე უფრო ხშირად პასუხობდნენ, რომ აცნობენ სასკოლო წესებსა და ხელს აწერიდნენ წიგნებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას. მშობლებიც სამივე სკოლაში ამას ადასტურებენ: „ძირითადად სასწავლო წლის პროცესი. წიგნები. რა წიგნები გვექნებოდა, რომ უნდა მოვუფროთხილდეთ მათ. შინაგანაწესს გვაცნობდა დამრიგებელი. ერთი პერიოდი ჩაქმულობის საკითხიც იდგა დღის წესრიგში და მერე აღარ“.

სკოლაში A მშობლებმა გვიპასუხეს, რომ დირექტორის მოადგილე მართავდა ყველა კლასის მშობლებთან ცალკე შეხვედრებს ბუღინგთან დაკავშირებით.

სკოლაში B მშობლების მიერ საკომუნიკაციო სიხშირე სხვადასხვანაირად ხასიათდებოდა. ყველა შემთხვევაში, ძირითადი კომუნიკატორი კლასის დამრიგებელია და ისინი საკმარისად მიიჩნევენ სკოლის მხრიდან განეულ ძალისხმევას.

სკოლაში C მშობლები დამრიგებლების მსგავსად აღწერენ კომუნიკაციის სიხშირესა და შინაარსს. ამას გარდა, ხშირად ახსენებენ მათთან სკოლის დირექტორის კომუნიკაციას, ძირითადად სასწავლო გარემოს, სასკოლო ფორმის შერჩევასა და კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

სამივე სკოლის მშობლები ადასტურებენ სოციალური ქსელების გამოყენებით დამრიგებლებთან კომუნიკაციის სიხშირესა და მოხერხებულობას.

სამივე სკოლის დამრიგებლები და მშობლები რიგგარეშე საჭიროებით გამოწვეულ კომუნიკაციას უკავშირებენ რაიმე სახის კონფლიქტურ სიტუაციას, რაშიც აღმოჩნდა მოსწავლე ან კლასი.

სამივე სკოლის დამრიგებლები და მშობლები ვერ იხსენებენ კომუნიკაციას სასკოლო წესებისა თუ სასწავლო პროცესის კომპონენტების (პროგრამა, სახელმძღვანელო, დატვირთვა და ა.შ.) შეთანხმების შესახებ: „თვითონ საგანმანათლებლო სისტემიდან მოდის გადაწყვეტილებები ასეთ საკითხებზე და ჩვენ ვერ ვერევით“.

ჩაღრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში სამივე სკოლის დირექტორი მსგავსად ახასიათებს მშობელთა დაბალ მოტივაციას. მათი დახასიათებით, მშობლები ძირითადად ინტერესდებიან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებით (ნიშნებით) და მცირე ნაწილი კლასგარეშე აქტივობებით. სამივე სკოლის დირექტორის დახასიათებით, მშობლები არ ინტერესდებიან სკოლის მართვაში მათი უფლებამოსილებებითა და შესაძლებლობებით. თუმცა, ისინი ადასტურებენ, რომ ამ მხრივ სკოლის მხრიდან მშობლების აქტიური ინფორმირება არ ხდება.

სკოლა C-ს დირექტორის ინიციატივით, შექმნილია მშობელთა ნებაყოფილობითი მცირე კლუბი. ამ კლუბთან მას აქვს ყოველთვიური შეხვედრები, რათა ჰქონდეს მშობელთა საზოგადოებასთან რეგულარული უშუალო კავშირი. ამას გარდა, ხშირად თავად მონაწილეობს ხოლმე დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა საერთო შეხვედრებში (მეტწილად სასწავლო წლის დასაწყისში). ამ სკოლის დირექტორთან ცალკეულ მშობელთან შეხვედრა, რაიმე საჭიროების საფუძველზე, არ არის შეზღუდული და მშობლები ამ საშუალებით სარგებლობენ. საგულისხმოა სკოლა C-ს დირექტორის განმარტება კლასის დამრიგებლებთან დაკავშირებით:

„ზოგადად სკოლებში ერთი რამ სჩვევიათ კლასის დამრიგებლებს – პრობლემის დამალვა და მშობელი შენამდე არ უნდა მოუშვას. რას ამბობ, მე რისთვის ვარ აქ, მე ვერ მოვაგვარებ?! აი, ასეთი დამოკიდებულება არის, სამწუხაროდ. სულ მინევს იმაზე საუბარი, რომ პრობლემა უნდა იყოს გახსნილი. ერთად უნდა დავსახოთ გადაჭრის გზები. ეს იციან ჩემმა მშობლებმა და მოდიან ხოლმე ხანდახან ჩემთან“.

აღსანიშნავია, რომ სკოლა A-ს დირექტორიც აღწერს მშობელთა კლუბის ინსტიტუტს, როგორც დამაკავშირებელ რგოლს. ასევე ისიც ხაზს უსვამს კლასის დამრიგებელთა მნიშვნელოვან ნაწილში სტერეოტიპულ აზროვნებას მშობლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ის ერთი მხრივ აღწერს დირექციის მაღალ მოტივაციას მშობლებთან ჯანსაღი, ორმხრივი კომუნიკაციისა და თანამონაწილეობის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ. მეორე მხრივ იგივე დირექტორი, აღნიშნული ჩანაფიქრის რეალიზაციაში დაბრკოლებად მიიჩნევს ამ საქმიანობის დიდ მოცულობას (2020 მოსწავლე), მშობელთა დიდი ნაწილის ინერტულობასა და ზემოხსენებულ სტერეოტიპულ დამრიგებლებს. თუმცა, დირექტორი აღნიშნავს მშობელთა გაზრდილ დაინტერესებას სასკოლო რეგულაციებით მიმდინარე სასწავლო წელს, წინასთან შედარებით. ამას იგი უკავშირებს COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს სასწავლო პროცესში, რამაც ოჯახების თანამონაწილეობა და პასუხისმგებლობა გაზარდა.

სკოლა B-ს დირექტორი, დანარჩენი ორი კოლეგის მსგავსად არ არის დარწმუნებული, რომ კლასის ყველა დამრიგებელი ერთნაირად ვარგად ართმევს თავს მშობლებთან კომუნიკაციის ამოცანას. ეს დირექტორი, მისი თქმით უფრო ხშირად მიმართავს მშობელთა გამოკითხვებს:

„ერთ-ერთი ბოლო კვლევისას, გამოიკვეთა, რომ მშობელთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ყურადღებას კლასებისთვის თანაბრად ვერ ვაწინააღმდეგებდი. ზოგს მეტად ვაქცევდი ყურადღებას, რის ხარჯზეც სხვებს აკლდებოდათ. მერე გადავწყვიტე, რომ ყველა კლასში თითო გაკვეთილი ჩამეტარებინა, მიუხედავად იმისა, ვასწავლიდი იმ კლასს თუ არა. დირექტორის გაკვეთილი დავარქვი და ვატარებდი ყველგან.“

აი, ეს ნაკლოვანება მენიშნა. მშობლებისგან კარგი სიგნალი იყო ნა-
მოსული. მე მეგონა, რომ ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი
ვიყავი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ასე არ იყო. მშობლების ნაწილი ასე
არ თვლიდა. მშობლებისგან მივიღე ეს სიგნალი და დავინყე მოქმე-
დება“.

სკოლა B-ს შემთხვევაშიც, მშობლის ინიციატივით დირექტორთან
უშუალო შეხვედრა შეუზღუდავია, თუმცა ეს საშუალება მშობლების
მხრიდან უფრო მეტად რაიმე პრეტენზიების განსახილველად გამო-
იყენება.

სამივე სკოლის დირექტორი სკოლის მხრიდან მშობლებთან პრო-
აქტიურ კომუნიკაციას ერთნაირად არასაკმარისად აფასებს, თუმცა
იქვე აღნიშნავენ მეორე მხარის დაბალ მოტივაციასაც. სამივე სკო-
ლის დირექტორი დადებითად აფასებს მათ მიერ განეულ საინფორ-
მაციო სამუშაოს სამეურვეო საბჭოების არჩევნების წინ, მშობელთა
უფლებებისა და სკოლის მართვაში მათი მონაწილეობის მნიშვნე-
ლობის შესახებ.

დირექტორები დადებითად აფასებენ სკოლის Facebook-გვერდის გა-
მოყენებას კომუნიკაციისათვის, თუმცა არაფერს ამბობენ ვებ-გვერდის
შესახებ.

გონაწილე სკოლების გზოგზით ანაკუთრება

მშობელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ 62%-სათვის
ბავშვის სასკოლო ცხოვრების შესახებ ძალიან ხშირად ინფორმაცი-
ის ძირითადი წყარო არის კლასი დამრიგებელი, 20%-თვის ბავშვი ან
მისი თანაკლასელი და მხოლოდ 10%-თვის საგნის მასწავლებელი.

- ▶ სკოლასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლის რეგულა-
რულ საშუალებებიდან ყველაზე მეტად კვლავ მშობელთა კრე-
ბებს, სატელეფონო კავშირსა და სოციალურ ქსელებს იყენებენ.
- ▶ სკოლიდან მიღებული ინფორმაციის შინაარსი, ძირითადად უკავ-
შირდება: მოსწავლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზ-

რუნველყოფას, ბავშვის უფლებების დაცვას, დისციპლინარული წესების დადგენასა და შეფასებას, მოსწავლის აკადემიურ შეფასებას.

- ▶ მშობელთა მხოლოდ 2%-ს აქვს დაბრკოლება პედაგოგებთან და სკოლის დირექციასთან ურთიერთობაში.
- ▶ გამოკითხულთა შეფასებით, სკოლიდან მიღებული ინფორმაციის ხასიათი უმეტესად დაბალანსებულია (დადებითი-უარყოფითი)
- ▶ მშობელთა უმეტესობისათვის სკოლასთან კომუნიკაციის ყველაზე მისაღები მეთოდებია პირისპირ ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კავშირი. ამასთან, მშობელთა უმრავლესობისათვის სასურველია, რომ მშობელთა კრებები ჩანაცვლდეს ინდივიდუალური შეხვედრებით.
- ▶ მშობელთა უმრავლესობა სკოლაში პრობლემების არსებობის შესახებ ინფორმაციას საწყის ეტაპზე იღებს (91.2%).
- ▶ გამოკითხულთა შეფასებით, სკოლასა და მათ შორის კომუნიკაციის ინიციატივა უმეტესწილად კლასის დამრიგებლებიდან მოდის.
- ▶ საგულისხმოა, რომ მშობელთა უმრავლესობა თავს არიდებს სკოლისათვის შეტყობინებას ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.
- ▶ იმავდროულად, სკოლისათვის გაზიარებული პრობლემების მოგვარების მაჩვენებელი მაღალია.
- ▶ გამოკითხულ მშობელთა 41.4%-მა არ იცის, სკოლაში მათ სიხარულით ელიან თუ არა.
- ▶ მშობლების უმეტესობა სკოლასთან კომუნიკაციით კმაყოფილია, მაგრამ გაუმჯობესებას სურს.

რეკომენდაციები

განხორციელებული კვლევის, მისი შედეგებისა და დასკვნების გათვალისწინებით რეკომენდებულია:

- ▶ საჯარო სკოლების დირექციებმა და სამეურვეო საბჭოებმა ერთობლივად დაიწყონ სკოლის ფუძემდებლური მარეგულირებელი დოკუმენტების (ნესდება, შინაგანანგისი და ხელშეკრულება) შემუშავების თანმიმდევრული და ფართო მონაწილეობითი პროცესი. ამ პროცესის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს სასკოლო საზოგადოების წევრთა ყველა კანონიერი უფლების რეალიზაციის ავთენტური დამაზუსტებელი პირობები და მექანიზმები. ეს ერთი მხრივ, უნდა გახდეს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ინფორმირებული და შედეგიანი ჩართულობის ფუძემდებლური პრაქტიკა. მეორე მხრივ, საბოლოოდ ჩამოყალიბებული ურთიერთქმედების შინაარსი და მექანიზმები იქნება კონკრეტული სკოლისა და მისი საზოგადოების ავთენტური ასახვა. მესამე მხრივ, ამ პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა უზრუნველყოფს მისი შედეგებისადმი სასკოლო საზოგადოების ნდობას.
- ▶ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა შედეგიანი ჩართულობის გასაზრდელად, სკოლის დირექციამ, სამეურვეო საბჭომ და პედაგოგიურმა საბჭომ ერთობლივად უნდა შეიმუშავონ: მშობელთა პროაქტიური რეგულარული და სრულფასოვანი ინფორმირების მექანიზმები, ასევე მშობლებთან ორმხრივი და პერსონალიზებული კომუნიკაციის მექანიზმები.
- ▶ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კარგი პრაქტიკის გავრცელების, დანერგვისა და ინსტიტუციონალიზაციის ხელშესაწყობად, ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ შექმნას გამოცდილების რეგულარული გაზიარების პლატფორმა. ამგვარი ინიციატივის მხარდაჭერისა, ეფექტიანობისა და მდგრადობისათვის უკეთესი იქნება სხვა მოტივირებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (მაგ: სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია, სახალხო დამცველის ოფისი და სხვა).

სკოლებში გოგებთან ჩართულობის გერმანული გამოცდილება

შესწავლის არეალის გახასიათებლები და თავისებურებები

გერმანიის ყველა მინაზე განათლების საკითხებს ადგილობრივი სენატი არეგულირებს. სკოლის არდადეგები, მშობლებთან ურთიერთობის ნორმები და ფორმები, სახელმძღვანელოები და ზოგიერთ შემთხვევაში, სასკოლო საგნებიც კი, სხვადასხვა მინაზე განსხვავებულია.

შესწავლის არეალი ბერლინია, სადაც სკოლისა და მშობლების ურთიერთობას, პირველ რიგში, ბერლინის სკოლის კანონი არეგულირებს. აღნიშნული კანონი ბერლინის სენატმა 2004 წელს მიიღო. კანონის რამდენიმე თავი ეძღვნება სკოლებისა და მშობლების ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის ვალდებულებას. კანონში წერია, რომ მშობელი ვალდებულია, ჩართული იყოს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში და თავის მხრივ, სკოლამ მათი ჩართულობა უნდა უზრუნველყოს.



მომოქმედებელი ჩართულობის სამი საფეხური



საკლასო შეკრება, არჩევნები

- ▶ სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სკოლის ყველა კლასის მშობელი იკრიბება და ირჩევს წარმომადგენლებს ე.წ. საკლასო შეკრებებისთვის. ეს შეგვიძლია გავიგოთ, როგორც მშობელთა კრება, ოღონდ ნიშნების და ბავშვების ქცევების განხილვის გარეშე თემებით.
- ▶ კლასის წარმომადგენელი ორი მშობლის ასარჩევად ტარდება ფარული არჩევნები, ხმის ორი მესამედით მშობლები ირჩევენ მათ წარმომადგენელს.
- ▶ ორი მშობელი ვინც არჩევნებში მხარდაჭერას მიიღებს, მათი შვილების კლასის ინტერესებს ავტომატურად წარმოადგენს მშობლების სასკოლო შეკრებებზე. მათი საკონტაქტო ინფორმაცია აქვს ყველას და ისინი ვალდებული არიან სხვა მშობლებს მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია კლასის ინტერესებზე, ან თავად ჩაეკითხოთ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და მოუსმინონ მათ. ეს ორი მშობელი წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს სკოლასა და მშობლებს შორის.

- ▶ არჩევნებისას ყველა მშობელს აქვს ორი ხმა, მათ ნაცვლად ხმის მიცემა შეუძლია ოჯახის სხვა სრულწლოვან წევრს მინდობილობის საფუძველზე.
- ▶ საკლასო შეკრება, რომელსაც მშობლები და მათი სურვილის შემთხვევაში, მასწავლებლები ან სხვა სტუმრები ესწრებიან ტარდება წელიწადში სამჯერ. პირველ სემესტრში ორჯერ, მეორე სემესტრში ერთხელ. კრების თემა თავისუფალია.
- ▶ არჩევნები წელიწადში ერთხელაა. საკლასო და სასკოლო შეხვედრებისთვის არჩეულ მშობელთაგან რომელიმეს თუ სურვილი აქვს დარჩეს ამავე პოზიციაზე, მხარდაჭერის შემთხვევაში შეუძლია მომავალ წელსაც იყოს კლასის წარმომადგენელი.

წარმოგადგინეთ გეოგრაფიულ რაიონი:

- ▶ კლასის შეკრებების მომზადება – თარიღის შერჩევა, დღის წესრიგის განსაზღვრა, მაგ. რაიმე ღონისძიებების დაგეგმვაზე, ბავშვების მხარდაჭერის პროგრამებზე, სკოლის დასახმარებლად, გასალამაზებლად და ა. შ. (მათ მინიმუმ ორი კვირით ადრე უნდა აცნობონ სხვა მშობლებს შეხვედრის შესახებ);
- ▶ დღის წესრიგის წინასწარ გაგზავნა სკოლის ადმინისტრაციაში, რომელიც თავის მხრივ მის გავრცელებას უზრუნველყოფს (შეიძლება დოკუმენტის ელექტრონულად გავრცელება);
- ▶ დაგეგმილ შეხვედრაზე მიწვევა: გარე პირის, სტუმრის (მხოლოდ სხვა მშობლებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ), მასწავლებლების ან კონკრეტული მასწავლებლის (მასწავლებლები ვალდებული არიან ამ შეხვედრას დაესწრონ), ასევე სპეციალური მასწავლებლის, სოცმასწავლებლის, ფსიქოლოგის (ფსიქოლოგი/ები ყველა სკოლას ჰყავს. ისინი ბავშვებს, მასწავლებლებს და მშობლებს ეხმარებიან პრობლემების დაძლევაში, რაც სკოლას, მეგობრებს, ოჯახს, ბუღინგს უკავშირდება).
- ▶ სკოლის კონფერენციების დროს, თანამშრომლობის მიზნით, პარალელური კლასის მშობლების ჩართვა. შეკრების თემა შეიძლება იყოს მარტივი საკითხი, კონცერტი, სტუმრის მოწვევა ერთდროულად ორი კლასისთვის და ასევე – განათლების საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე დისკუსია. მაგ. სენატმა

პირობითად, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მეცხრეკლასელებს, მაშინ მთელი მეცხრეკლასელების მშობლები იღებენ გადაწყვეტილებას იმსჯელონ ამაზე, ხოლო წარმომადგენელი მშობლები გადაწყვეტილებას გაიტანენ სენატის სხდომაზე.

- ▶ კლასის შეხვედრის წარმართვა
- ▶ შეხვედრის შემაჯამებელი ტექსტის/რეპორტის გაგზავნა სხვა მშობლებთან
- ▶ მონაწილეობა სკოლის შეხვედრებში
- ▶ თანამშრომლობა სხვა მშობლებთან, თუ რაიმე პრობლემა ან ინიციატივა აქვთ, რომელიც არ ეხება უშუალოდ ბავშვის აკადემიურ მოსწრებას და მის მიერ ქცევის წესების დარღვევას, და საკითხის დაყენება საკლასო/სასკოლო შეხვედრაზე
- ▶ სხვა მშობლების მოტივაციაზე ზრუნვა

კლასის წარმომადგენელი კარგავს სტატუსს და ხმის უფლებას, თუ მისი შვილი კლასს ტოვებს ან თავად აღარ ენდომება გააგრძელოს ეს საქმე.

სხვა გეოგრაფიკული გეოლოგიის ზრუნვა გეოლოგებზე:

- ▶ ამომწურავი დღის წესრიგის შედგენით
- ▶ გამომწვევებთან ახლოს მყოფი საკითხების წამოჭრით
- ▶ პროცესში მასწავლებლების ჩართულობის გაზრდით
- ▶ სურვილით მშობლებმა უკეთ გაიგონ ერთმანეთი – ისინი შეიძლება სკოლის გარეთაც შეხვედნენ ერთმანეთს, ხდება ხოლმე, რომ ერთმანეთს ეპატიჟებიან გასაცნობად ან ყავას სვამენ ერთად. განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. ბერლინში, ხშირად, ბავშვები ერთმანეთის სახლში რჩებიან და ამიტომ მშობლებს ამის გამოც ურჩევნიათ უკეთ იცნობდნენ ერთმანეთს.
- ▶ საინტერესო მოკლე მოხსენების მომზადებით – ვრცელი მოხსენება შეიძლება ეხებოდეს ბავშვის აღზრდის, განვითარების, კვების, უსაფრთხოების, სკოლის ან სხვა თემებს. ჩართული მშობლები ახალ კვლევებზე აკეთებენ პატარა მოხსენებებს. ან თუ მშობელი პროფესიით პირობითად კვების სპეციალისტია, შეიძლება მას

სახელმწიფო რაიონი კონკრეტული საკითხის შესწავლა, მოხსენების წარდგენა, პრეზენტაცია.

- ▶ პირადი მაგალითისა და გამოცდილების წამოწვევა
- ▶ სასიამოვნო, მეგობრული ატმოსფეროს შექმნით
- ▶ დროის სწორად მართვით

სკოლის მხრიდან პასუხისმგებლობა: საუკეთესო შემთხვევაში შეხვედრების დროს იზრუნოს ბავშვებზე. შესაძლებელია, გამოეყოფიერეთ ან ორი ადამიანი, ვინც ბავშვებზე იზრუნებს, თუ მშობლებს კლასის/სკოლის შეხვედრების დროს მათი სახლში დატოვება არ შეუძლიათ.

საკლასო შეკრების მოწყობა და დაჯილდოება

- ▶ საკლასო შეკრებების მიზანია ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლა მშობლებსა და პედაგოგებს შორის, რომლის საშუალებითაც, ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, მშობლების ჩართულობა, ამ პროცესში, უნდა გაძლიერდეს.
- ▶ შეკრებების დროს არავის აქვს ე,ნ „იმპერატიული მანდატი“, მათ შორის არც მშობლების მიერ არჩეულ ორ წარმომადგენელს, რაც ნიშნავს, რომ დისკუსია და გადაწყვეტილებების მიღება ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს – წინასწარი დათქმით, ან ხმების უმრავლესობა ან ხმების 2/3. იმაზე, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები მშობლების არჩევის დღესვე თანხმდებიან.
- ▶ მსჯელობის თემები არის მრავალფეროვანი. მაგ. შეკითხვები გავითვალისწინებთ, დავალებების რაოდენობა, ექსპერსიების დაგეგმვა და ხმის მიცემა, თუ სად შეიძლება გაკეთდეს ექსპერსია და ა.შ.
- ▶ მშობლებს შორის, ასევე მშობლებსა და სკოლას შორის ნდობის განმტკიცება (მაგ. სკოლას აქვს მშობლების რეგულარული გამოკითხვის მეთოდი, საიდანაც უკუკავშირს იღებს. კითხვების ნაწილი ასეთია:



- ამ ერთი წლის განმავლობაში როგორ შეაფასებდით სკოლასთან თანამშრომლობას (0-10)
 - კომუნიკაციის რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას (ჩამოთვლილია – მასწავლებლის მიღების საათები, სატელეფონო საუბარი, წერილი, ელ. ფოსტა). მოკლედ, არსებობს სხვადასხვა ფორმის გამოკითხვა, თუმცა ეს პრაქტიკა ყველა სკოლას არ აქვს.)
- ▶ ბავშვებისთვის სკოლაში და მის გარეთ სოციალური გარემოს უზრუნველყოფა

სასკოლო შეკრების ამოცანები და დავალებები

სასკოლო შეკრება მიიჩნევა, როგორც მშობლების ინტერესების გაფორმებისა და ამ ინტერესების დაცვის საუკეთესო ადგილი/საშუალება. ამ შეკრებაზე განიხილება ზოგადი და კონკრეტული, აქტუალური სასკოლო საკითხები, შესაბამისად, შეხვედრას უძღვება და ამავე დროს მოპასუხე მხარეა სკოლის დირექტორი.

სასკოლო შეკრება აუცილებელია წელიწადში მინიმუმ სამჯერ ჩატარდეს.

პირველი შეხვედრა ტარდება სემესტრის დაწყებიდან ექვს კვირაში ანუ სასკოლო წარმომადგენლების არჩევიდან ორი კვირის შემდეგ. შეხვედრაზე დასასწრებად სკოლის ადმინისტრაცია დირექტორის ხელმოწერითა და ამ შეხვედრის დღის წესრიგით აგზავნის ინფორმაციას კლასის წარმომადგენელ ყველა მშობელთან. სკოლის ხელმძღვანელობას შეუძლია ამ შეხვედრაზე დაპატიჟოს გარეშე სტუმრები, მაგალითად ადგილობრივი ხელისუფლების ან რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, რომელიც განათლების საკითხებზე მუშაობს ან აქტუალურ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლია. ექსპერტი ან მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი (დაახლოებით მასწავლებელთა სახლის ტიპის ორგანიზაცია, რომელსაც არანაირი ანგარიშვალდებულება არ აქვს სკოლებთან. ისინი მასწავლებელთა დამოუკიდებელი გაერთიანებებია, მაგრამ არა პროფკავშირები. ეს სახლები/გაერთიანებები ორიენტირებულნი არიან მათ პროფესიულ განვითარებაზე, საგნის დაცვაზე და ა. შ.).

სასკოლო შეკრებაზე ძირითადად მშობლების მიერ დაყენებული საკითხები განიხილება, ის რაც მათ აინტერესებთ სკოლის ადმინისტრაციისგან ან აქვთ რაიმე ინიციატივა, რომლის გაცნობასაც აპირებენ. თუკი ეს იდეები ლოკალური ხასიათისაა და ორივე მხარე თანახმაა, სკოლის ადმინისტრაცია იქვე ადასტურებს მის თანხმობას ამ ინიციატივის შესრულებაზე, ან პასუხობს მშობლების მიერ წამოყენებულ საკითხს ან პრობლემას. ამ შეხვედრაზე ხმის მიცემა არ ხდება და გადანაცვლებები მიიღება ან არ მიიღება ზეპირი მსჯელობის საფუძველზე. თუკი საკითხი მასშტაბურია და ცვლის ან განსაზღვრავს სკოლის განათლების პოლიტიკას, ის გადაინაცვლებს სკოლის კონფერენციაზე.

სასკოლო კონფერენცია

კონფერენციაში მონაწილეობენ:

- ▶ სკოლის დირექტორი, ოთხი არჩეული მშობელი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ვალდებულია კონფერენციას დაესწროს და ხმის უფლება გამოიყენოს (ამ მშობლების ასარჩევად ტარდება დამატებითი არჩევნები), ოთხი არჩეული აღმზრდელი ან მასწავლებელი (დამოკიდებულია სკოლის ტიპზე), ოთხი არჩეული მოსწავლე მეშვიდე კლასის ზემოთ.
- ▶ კლასების წარმომადგენელი მშობლები;

სკოლის ადმინისტრაციიდან გადაწყვეტილება მიიღება ხმების ორი მესამედით.

გადასაწყვეტი თემები შეიძლება იყოს:

- ▶ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებთან დაკავშირებული თემები
- ▶ აღზრდისა და განათლების შეჯერების საუკეთესო გზების გამოსავლენი საკითხები
- ▶ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები
- ▶ პედაგოგების სწავლებისა და უნარების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა (ძირითადად ეს ეყრდნობა მოსწავლეების აკადემიურ შედეგებს, მაღალ კლასებში მათ რეფლექსიებს. გერმანიაში სკოლებსა და ყველა უნივერსიტეტში არის სემესტრის შემდეგი გამოკითხვა, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლების სწავლების „ხარისხს“ და არა მხოლოდ მას. ეს არის ძალიან დეტალური კითხვები, წვრილმანით დანყებული მასწავლებლის თავიანთობით დამთავრებული. ფასდება ყველაფერი, – საკლასო გარემო, მონდომება, ახსნის მანერა, ხმის ტემბრი, დავალებები საინტერესოა თუ არა, ბევრია თუ არა და ამ კითხვარს ავსებენ ბავშვები და სტუდენტები. ასევე ქვეყნის ან მიწის მასშტაბით ხში-

რად ტარდება სხვადასხვა კვლევა მასწავლებლების კომპენტენციებსა და უნარებზე – ზოგი გარკვეული სისტემატურობით, ზოგი – ერთჯერადად.)

- ▶ საკლასო დავალებების შეფასებების კრიტერიუმები
- ▶ უკუკავშირისა და სწავლების შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების სტანდარტის განსაზღვრა
- ▶ სკოლის დამატებითი სახელმძღვანელოების არჩევა ან არსებულზე მსჯელობა
- ▶ სკოლის წესრიგის დადგენა/ გადახედვა
- ▶ სხვა სკოლასთან თანამშრომლობა (შეიძლება მასწავლებლებმა ერთად დაგეგმონ კონფერენცია, ამ სკოლების ბავშვებს შორის საფეხბურთო თამაში დაიგეგმოს ან ერთად წავიდნენ ბანაკში და სხვ.)
- ▶ სკოლის ფართის დროებით სხვისთვის დათმობა/იჯარით გაცემა

სასკოლო შეხვედრებისგან განსხვავებით ამ შეხვედრის შესახებ დგება ოქმი და პროტოკოლის შესაბამისად ყველა ფორმალური წესის დაცვით კონფერენციის შესახებ კეთდება ჩანაწერი. ეს ჩანაწერი და გადანყვეტილებები არ რჩება სკოლაში, არამედ მიაქვთ სენატში და შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ცნობილი ხდება სკოლის, რომელიც მოიცავს მშობლებსაც, გადანყვეტილებები და მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე ან ახალი ინიციატივები, რომელიც განათლების პოლიტიკის ცვლილებებს უკავშირდება.

მშობლებს, კონფერენციაზე დასწრების უფლება არ აქვთ, თუ ატესტატების, დიპლომების ან მსგავსი ტიპის დოკუმენტების შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა.

ყველა რესურსისთვის, რომელიც საკლასო, სასკოლო შეხვედრებისა და კონფერენციისთვისაა საჭირო, მაგალითად ასლების გადაღება, საბუთების ფოსტით გაგზავნა და სხვ. ფინანსებს გამოყოფს სკოლა.

შეხვედრების დროს დაუშვებელია:

- ▶ კონკრეტული ბავშვის, მშობლის, ან მასწავლებლის საკითხის, ქცევის, რეპლიკის განხილვა. საერთო პრობლემის შემთხვევაში საუბარი უნდა წარიმართოს კონკრეტული პირების დასახელების გარეშე.
- ▶ დღის წესრიგიდან გადახვევა
- ▶ წინასწარ განსაზღვრული დროის გადაცდენა
- ▶ ამ შეხვედრის ფოტოგრაფირება/გადაღება

ვინ გაიტაცებს სკოლაში გეოგრაფიას

ურთიერთობას?

სკოლაში მშობელთან ურთიერთობას აგვარებს სკოლის სამდივნო. ყველა წინასწარ დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ბავშვების წარმომადგენლები იღებენ ინფორმაციას ადმინისტრაციისგან. ზოგიერთ სკოლაში საგანგებოდ არის გამოყოფილი პოზიცია, რომელიც მშობლების წერილებს ან ზარებს პასუხობს.

კონკრეტული მასწავლებელი (არა მხოლოდ კლასის დამრიგებელი) სემესტრის დაწყებისთანავე აქვეყნებს მისი „შეხვედრის საათებს“. ეს შეიძლება იყოს პირობითად თვეში ორჯერ, ორშაბათს 15-17 საათამდე.

შეხვედრის საათები დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკსა და რაოდენობაზე. ინდივიდუალური საუბრისთვის, მათ შორის ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზე, მშობელი ვალდებული არ არის წინასწარ გააფრთხილოს მასწავლებელი, მაგრამ როგორც წესი, ისინი წინასწარ ელექტრონულად ატყობინებენ.

თუკი მშობელი ვერ ახერხებს მისვლას, შეუძლია ტელეფონით ესაუბროს მასწავლებელს. კოვიდ პანდემიის დროს კი მასწავლებლებ-

თან მიღება აკრძალულია და ტარდება მხოლოდ ონლაინ შეხვედრა იმავე საათებში.

მშობელი მხოლოდ ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე, მის შეფასებაზე ან პრობლემებზე არ მიდის მასწავლებელთან სასაუბროდ. ძალიან ხშირად მშობლებს უნდათ მიაწოდონ ინფორმაცია მათი შვილის პროგრესის, რაიმე უნარის გაუმჯობესების, ინტერესების გამოკვეთის ან ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

მშობლებთან ურთიერთობის ფორმები განსხვავდება მისი საჭიროებიდან გამომდინარე. თუკი სკოლა ყველა მშობელს აწვდის ინფორმაციას, მაშინ მათ უგზავნის საერთო შინაარსის ელექტრონულ წერილს. თუ ინფორმაცია ადმინისტრაციისგან უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი კლასის მშობლებს, ასევე იგზავნება ელ. წერილები, სმს, ან მშობლებთან ურთიერთობის პასუხისმგებელი პირი რეკავს მშობლებთან.

თუ მასწავლებელს, ინდივიდუალურად, კონკრეტული ბავშვის მშობელთან სურს საუბარი, ის რეკავს და უთანხმდება ვიზიტის დროზე, დამრიგებელთან ერთად.

მოკლე დროში სკოლა მშობელს უკავშირდება, როდესაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, მაგალითად ცვლის გაკვეთილების დაწყების დროს, ან პანდემიის დროს რაიმე ღონისძიებებს ატარებს, ან სხვა რაიმე შემთხვევის გამო სკოლაში დემინფექცია ტარდება და საგაკვეთილო პროცესი გარკვეული ხნით წყდება. სხვა შემთხვევაში სკოლა მშობელს წინასწარ დაგეგმილ გრაფიკს აძლევს, რომელზეც ჩანიშნულია სასკოლო შეხვედრები ან კონფერენცია ან სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება.

მასწავლებელი მშობელს ინდივიდუალურად უკავშირდება, თუ ბავშვს რამე შეემთხვევა, ან სურს მის აკადემიურ მოსწრებაზე საუბარი ან ამჩნევს ჩამორჩენას, ან მიაჩნია, რომ ბავშვს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება, ან როცა ბულინგის ნიშნები ჩანს.

მშობელთან ურთიერთობა ევალება სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია მხოლოდ მშობლებთან ურთიერთობაზე, თუმცა ყველა სკოლაში არ არის ეს პოზიცია. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელი ითავსებს ამ საქმეს.

ამიტომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე მშობლებთან ურთიერთობენ ან ადმინისტრაციის, სამდივნოს წარმომადგენლები ან მასწავლებლები.

შეხვედრებისთვის და თანამშრომლობისთვის ყველა სკოლას აქვს წინასწარ შედგენილი კომუნიკაციის გეგმა და თარიღები.

გერმანიისთვის დამახასიათებელია მთელი წლის მნიშვნელოვანი თარიღების წინასწარ განსაზღვრა. შესაბამისად, მშობელი კალენდარულ გეგმას წინასწარ იღებს.

ეს ეხება არა მხოლოდ კომუნიკაციას, არამედ რაიმე ცვლილებებს. პირობითად, თუკი რომელიმე კლასი იცვლის ოთახს 1 დეკემბერს, ან ბავშვების რაიმე ღონისძიება უნდა ჩატარდეს 1 თებერვალს. ან 1 მარტს დაგეგმილია გამწვანება. აბსოლუტურად ყველა თარიღი რომელიც სკოლას უკავშირდება წინასწარაა შეთანხმებული.

ზუსტად ასეთივე პრინციპით იღებს კალენდარულ გეგმას თითოეული კლასი.

სკოლის ნებართვით მშობელს უფლება აქვს რომელიმე გაკვეთილში მონაწილეობა მიიღოს და ასისტენტობა გაუწიოს მასწავლებელს. ეს ხდება იშვიათად და წინასწარ, ძალიან კარგად შეთანხმებული სამუშაო გეგმით. ასისტენტობა შეიძლება იყოს შინაარსის გაზიარება ან მხოლოდ ფურცლების დარიგებაც კი.

კანონი, სკოლებს, მშობლებთან თანამშრომლობას ავალდებულებს, რაც ნიშნავს, რომ სკოლა ვალდებულია და მზადაა, მოუსმინოს კრიტიკულ აზრსაც.

მშობლების პედაგოგიური კომპეტენციების გასაზრდელად სკოლებს საგანგებო პროგრამა არ აქვთ, მაგრამ ყოველდღიურ ურთიერთობისა და თანამშრომლობის დროს მშობლებს ეს კომპეტენციები უუმჯობესდებათ. თუ მშობლებს სურთ, რომ პროექტი გააკეთონ, ან ხანგრძლივად იმსჯელონ ამაზე, ან შეისწავლონ საერთაშორისო გამოცდილება და ა. შ. შეუძლიათ, ამ ინიციატივით, მიმართონ სკოლას და ერთობლივად დაგეგმონ სხვადასხვა აქტივობები.

ყველა სკოლას აქვს ოჯახის სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია. გერმანიაში, სკოლებს, საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდათ, მას შემდეგ რაც ლტოლვილების ნაკადის მიღება დაიწყო და სკოლებში ლტოლვილი ბავშვებისთვის სხვადასხვა პროექტები შეიქმნა. მათი ინტეგრაციის, განათლების და სხვა შესაძლებლობების შესახებ, სკოლების ადმინისტრაციას ინფორმაცია აქვთ ოჯახებისგან ან შესაბამისი საჯარო უწყებებისგან.

მაგ.კომუნიკაციის გამართივებისთვის, 2015 წელს, სკოლებში დაიმატეს კადრები, რომლებიც არაბულ ენაზე საუბრობდნენ.

აღსანიშნავია, რომ მშობლებთან თანამშრომლობისას, თავაზიანობა არის კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილი: თქვენობით საუბარი, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მადლობის წერილი და ა. შ.



გეოგრაფიის რეკონსტრუქცია და გეოლოგიის კარტოგრაფიის რეკონსტრუქცია

სკოლების დიდ ნაწილში გამოყოფილია „მშობლების ოთახი“, რომელიც მუდმივად ღიაა. ეს არ არის მოსაცდელი ოთახი, სადაც მშობლები გაკვეთილების დასრულებას და ბავშვებს ელიან. ეს სივრცე არის მათი აქტივობებისა და შეხვედრების დასაგეგმად, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია არ ესწრება.

მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ურთიერთობა მკაცრად საქმიანი, მაგრამ ამავე დროს მეგობრულია.

სკოლაში სხვადასხვა ტიპის დაგეგმილ ღონისძიებებზე, ცვლილებებზე, გადამწყვეტილებებზე ინფორმაციას მშობლები ელექტრონულად იღებენ, საჭიროების შემთხვევაში, – წინასწარ კალენდარული გეგმით შეხვედრების დროსაც.

წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ეწყობა მშობლების საღამოები. ეს არის შეხვედრა სკოლაში, რა დროსაც მშობლები მასწავლებლებთან ერთად მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გამოკლებით. მაგ. მომავალ წელს, სკოლას სურს შეცვალოს კონკრეტული საკლასო ოთახის ინტერიერი, სურს რაიმე პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, სჭირდება მშობლების ჩართულობა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, მხარდაჭერა. ასევე, თუ იმ პერიოდში, განათლების სისტემაში რაიმე შეიცვალა, ამოქმედდა ახალი საკანონმდებლო ცვლილება ან სენატმა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღო, და ეს ეხება მათი შვილების ასაკის მოსწავლეებს, ესეც შეიძლება იყოს მსჯელობის თემა.

გეოგრაფიკული და სოციალური ურთიერთობის კრიტიკული და გარდასახვა

პატარა/უმნიშვნელო კონფლიქტის დროს ორივე მხარე, ამ შემთხვევაში მასწავლებელი/ადმინისტრაციის თანამშრომელი და მშობელი, ვალდებულია პირდაპირი კომუნიკაციით გადაჭრან ეს პრობლემა და არ გახდეს საყოველთაო მსჯელობის საგანი.

პრობლემა სხვებთან ერთად განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი არ ამოიწურა და იგი აზიანებს ბავშვის ინტერესებს, და/ან როცა მისი გადაჭრა ავტომატურად გააუმჯობესებს სკოლაში რაიმე ადმინისტრაციულ ან შინაარსობრივ საკითხს.

სხვებთან ერთად განიხილვა გულისხმობს კლასის წარმომადგენელი მშობლებისა და ადმინისტრაციის დასწრებას, სადაც ორივე მხარე თავზიანად, ტაქტიკურად, საკუთარ პოზიციას გამოხატავს. ამ შემთხვევაში მოდერატორის ფუნქცია აქვთ დამსწრეებს, რომლებმაც მხარეები შეთანხმებამდე უნდა მიიყვანონ. უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტების მართვა დამოკიდებულია მის სიმძიმეზე. რადგან მოზარდები არიან ჩართულები, მიიჩნევა, რომ ისინი შეძლებენ შეთანხმებას.

მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში თითქმის ყველა სკოლაში დაუწერელი წესია, რომ ეს მოსწავლეები საერთო პროექტზე უნდა დასაქმდნენ, გარკვეული ხნის განმავლობაში გააკეთონ საერთო საქმე, მაგალითად, ორგანიზება გაუწიონ ექსკურსიას და გამოიკითხონ სხვა ბავშვების აზრი, დაეხმარონ სპეციალურ მოსწავლეებს სხვა ბავშვებთან მუშაობის დროს, გამოაცხონ ნამცხვარი კლასის საღამოსთვის, თუ ეს დღე შემთხვევა და ა.შ.

ამ ღონისძიებას არ უნდა ჰქონდეს დასჯის სახე და არ უნდა მიანოდონ ბავშვებს ეს დავალება, თითქოს მათ სჯიან. უნდა აუხსნან, რომ იმ დროის მანძილზე, რასაც ერთად გაატარებენ, ისინი უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს და თან გააკეთებენ სასარგებლო საქმეს.

ცხადია, ბავშვებს შორის კონფლიქტების შესახებ სკოლა დაუყოვნებლივ აცნობებს მშობლებს და მათთან ათანხმებს თანმდევ ღონისძიებებს.

გეოგრაფიის რეკონსტრუქცია

გეოგრაფიის რეკონსტრუქციის მეთოდები

გეოგრაფიის რეკონსტრუქციის მეთოდები სკოლას ცხრილი აქვს, რომელიც მუდმივად განსაზღვრავს მშობლებისა და სკოლის ურთიერთობას. მთლიანი დოკუმენტი შედგება რამდენიმე ნაწილისგან.

1. მშობლების უფლებები:
2. მშობლების და მასწავლებლების მოვალეობები
3. საერთო საორგანიზაციო საკითხები
4. დათქმა, რომ პრობლემების განხილვა დაუშვებელია საკლასო კარებთან ან დერეფანში

ამ დოკუმენტს არცერთი მხარე ხელს არ აწერს, მიუხედავად ამისა, მას ორივე მხარე იცავს. მათი დარღვევის შემთხვევაში, საკითხის განხილვა გრძელდება კლასის შეკრებაზე.

სკოლა ვალდებულია მშობლებს დროულად შეატყობინოს ინფორმაცია:	სკოლას უფლება არ აქვს:
<ul style="list-style-type: none"> ▶ სექსუალური განათლების შესახებ ▶ ორგანიზაციული საკითხების შესახებ ▶ აღმზრდელით პროცესში რაიმე შინაარსობრივი ცვლილების შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> ▶ აკრიტიკოს მშობელი მისი აღმზრდელით მეთოდების გამო ▶ შევიდეს დისკუსიაში ამ საკითხზე ▶ მოსწავლის თანდასწრებით ნეგატიურად ისაუბროს მშობლებზე
მშობელს უფლება აქვს	მშობელს უფლება არ აქვს
<ul style="list-style-type: none"> ▶ მასწავლებლებს სთხოვოს შეცვალოს დამოკიდებულება ბავშვთან დაკავშირებით. ▶ იკითხოოს და მოისმინოს არგუმენტები მისი შვილის დაბალი ნიშნის გამო ▶ ჩაერიოს ექსკურსიებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვაში და ფინანსური საკითხების მოგვარებაში ▶ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მხარდამჭერ პროგრამებში 	<ul style="list-style-type: none"> ▶ შეცვალოს სკოლის წიგნები ▶ შეცვალოს სასწავლო საათები ▶ ჩაერიოს სხვა ბავშვის აღზრდის პროცესში ▶ შეარჩიოს და მოითხოვოს გაკვეთილების თემის შეცვლა ▶ უგულვებელყოს საშინაო დავალებები

სანაპირო უსუსუს სპონს გეოლოგიური კომუნიკაციის ფორმა

მასწავლებელს და სკოლას მშობელთან მრავალი გზით, ყოველდღიურად აქვს კონტაქტი. გამოიყენება კომუნიკაციის შემდეგი ფორმები:

- ▶ სამდინოდან – ელ. წერილის გაგზავნა, დარეკვა.
- ▶ გახანგრძლივებულიდან – ელ. წერილის გაგზავნა, დარეკვა, პირადი გასაუბრება.
- ▶ მასწავლებლის მიერ – ელ. წერილის გაგზავნა, დარეკვა, პირადი გასაუბრება და ყოველდღიური მიმოწერა სპეციალურ დავალებათა რეგულში (მაგალითად – დარჩა საშუალები, კალიგრაფიაში სავარჯიშოა)
- ▶ მშობლების მხრიდანაც ამ რეგულში კეთდება ჩანაწერი მასწავლებლის მისამართით. მაგ: დღეს ნინოს ადამის დედა წაიყვანს, ან გუშინ ცუდად იყო და სკოლაში ვერ გამოვუშვით, რისთვისაც ვიხდით ბოდიშს. ბოდიშის მოხდა აუცილებელია და დიდაქტიკური დატვირთვა აქვს.

სკოლიდან მშობელს აწვდიან, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ინფორმაციას. მაგრამ მასწავლებლებს, სწავლისთვის, ძალიან ბევრი წამახალისებელი მეთოდი აქვთ შემუშავებული: პატარა საჩუქრები, ტკბილეული...

მაგ. მეორე კლასელმა ბავშვმა ყოველდღე სულ მცირე 10 წუთი უნდა იკითხოს წიგნი. მასწავლებელი აძლევს პატარა თვითნაკვეთ წიგნაკს, სადაც იმ დღეს, როდესაც ბავშვი წიგნს კითხულობს, მშობელი ხელს უწერს. როცა გაივსება წიგნაკი მშობლის ხელმოწერებით, ბავშვი იღებს მასწავლებლისგან საჩუქარს. ასევე – მათემატიკაშიც.

მშობელთა კრებაზე განიხილება საერთო პრობლემები, ახალი ინფორმაციები და არასოდეს კონკრეტული ბავშვების აკადემიური მოსწრების ან ქცევის შესახებ საკითხი. ამისთვის ცალკე შეხვედრები მშობლებთან.

ყოველ დღილას სწავლის დაწყების წინ მშობლები უსაფრთხოების მიზნით სკოლამდე მისასვლელ გზაზე პატრულირებენ – შექნიშან-თან, სამანქანო გზასთან. რადგან ზოგიერთი სკოლა ცენტრალური გზის პირას მდებარეობს, ყურადღება ექცევა ბავშვების უსაფრთხოდ მოძრაობას. ამისთვის სკოლას სიები აქვს შექმნილი და წლის განმავლობაში თითქმის ყველა მშობელს შეუძლია იმორიგეოს.

და ბოლოს, რა არის განსაკუთრებული ამ სკოლაში?

ლადი ურთიერთობები – მოსწავლეს-მასწავლებელს-მშობელს შორის.

ცილეს სახელოგის დაწყებითი სკოლის გზოგზალთა თანაგზოგზალთა სქემა

ცილეს სახელოგის დაწყებითი სკოლის მაგალითზე, სადაც მშობლების ოთახები და მათთან სამუშაო ფორმატი არსებობს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის ადმინისტრაციისთვის მშობელი სრულფასოვანი პარტნიორია და ამიტომ მისი მოტივაციისთვის აქტიურად მუშაობს.

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დროს მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მათ კეთილგანწყობას ღიმილით და თავაზიანობით მუდმივად ადასტურებენ.

ამ პროცესში სირთულე შეიძლება აღმოჩნდეს დრო, რადგან არ არსებობს შემთხვევა, როცა მშობელი პირდაპირ, შეთანხმების გარეშე ან სკონტანურად მიდის მასწავლებელთან ან ურეკავს მას. მშობელი ვალდებულია, იფიქროს და პატივი სცეს მასწავლებლის დროს, შეძლებისდაგვარად ადრე მისწეროს წერილი და შეათანხმოს ვიზიტი.

ასევე სცემს პატივს მასწავლებელი მშობელს და შეხვედრაზე სპონტანურად არ იბარებს, გადაუდებელი სიტუაციის გარდა. ეს ერთი მხრივ შეიძლება მოუქნელ, ბიუროკრატიულ ფორმალობად ჩანდეს, თუმცა ასეთი წესების დაცვა ყველას მხრიდან სავალდებულოა, რაც ამ ურთიერთობას საქმიან ჩარჩოში სვამს.

გამონაკლისია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია პირდაპირ ურევავს მშობელს ან ბავშვზე პასუხისმგებელ სხვა პირს და მშობელი ხვდება მასწავლებელს ან სკოლის სხვა წარმომადგენლებს.

წყაროები:

<https://deutsches-schulportal.de/bildungswesen/gruendlich-aufraeu-men-bitte/>

<https://www.berlin.de/familie/de/informationen/mitbestimmung-von-eltern-in-der-schule-309>

<https://st.hildegard-grundschule.de/1/cms/upload/Elternrechte-.pdf>

https://www.youtube.com/watch?v=M6bJ4wj546Q&feature=emb_title

<https://st.hildegard-grundschule.de/>

<https://www.tagesspiegel.de/wissen/eltern-lehrer-beziehung-wie-die-schule-ein-ort-des-miteinanders-wird/8047024.html>

<https://www.schulgesetz-berlin.de/berlin/schulgesetz.php>

file:///C:/Users/mike/Downloads/web_leitfaden_elternvertreter.pdf

<https://berliner-elternvideos.de/>

სკოლეზი გოგელთა ჩართულობის ავსტრიული გამოცდილება

შენსავლის არააღის გახასნიათეზლები და თაჰისეჰურეჰეჰი

ავსტრიის კონსტიტუციაში 2005 წელს შევიდა შესწორება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად- პარტნიორული თანამშრომლობით მშობლებმა და სკოლამ ბავშვებსა და მოზარდებს უნდა მისცენ საუკეთესო შესაძლებლობები მათი ფსიქოლოგიური, სულიერი და ფიზიკური განვითარებისთვის, რათა ისინი ჯანრთელები, ბედნიერები, სწავლაზე ორიენტირებულები, საკუთარი მოვალეობებისადმი პასუხისმგებლები, მუსიკალურები და კრეატიული ადამიანები გახდნენ, იყვნენ ორიენტირებულნი სოციალურ, რელიგიურ და მორალურ ღირებულებებზე, ადამიანობაზე, გარემოსა და მომავალ თაობებზე.



მოსწავლეთა მშობლების უფლება-მოვალეობები

კანონი განათლების შესახებ ავსტრიის ყველა სკოლაში ყველა კლასის მშობლებს ავალდებულებს აირჩიონ ორი წარმომადგენელი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული სკოლის ცხოვრებაში. ისინი აგვარებენ საორგანიზაციო საკითხებს და ასევე ესწრებიან განათლების კომიტეტის სხდომებს, იცავენ მშობლების პოზიციებს.

სკოლის კანონის ერთ-ერთი მუხლი არეგულირებს სკოლის ფარგლებში მშობელთა გაერთიანებების მხარდაჭერას. **თუკი სკოლაში რამდენიმე მშობელს სურს დააფუძნოს გაერთიანება და აქტიურად მონაწილეობდეს სკოლის საკითხებში, კანონის თანახმად, რომ სკოლამ და მასწავლებლებმა მათთან აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ, მოუსმინონ, განიხილონ მათი საჩივრები ან ინიციატივები.** მშობელთა გაერთიანებები, პირველ რიგში წესის მიხედვით, საქმეს ორ წარმომადგენელ მშობელს აცნობენ და მათთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, რა ფორმა ჰქონდეს მათ კონკრეტულ აქტიურობას.



ავსტრიის საჯარო სკოლები მუდმივად მუშაობენ და ავრცელებენ ინფორმაციას მშობლებში მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის კანონში თითქმის არაფერი წერია, მშობლების ჩართულობის ვალდებულებაზე, თავად სკოლები მუდმივად ამზადებენ სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის ბროშურებს, რომელსაც მშობლები პერიოდულად იღებენ. მაგალითად ასეთია „ მშობლები და სკოლა – პარტნიორები“ და ეხება ჯანდაცვისა და სწორად კვების საკითხებს, ბროშურაში დეტალურადაა აღწერილი ბავშვების ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ეტაპები და ამ ეტაპებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები ან ჯანმრთელობის პოტენციური პრობლემები, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას უკავშირდება.

ავსტრიაში ხშირი პრაქტიკაა მშობელთა დამოუკიდებელი გაერთიანებების, რომლებიც მათი ინიციატივით ფუნქციონირებენ და მოქმედებს. ეს გაერთიანება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სკოლის ან სხვადასხვა სკოლის მშობლების, ან ერთი უბნის მშობლების გაერთიანება. ეს გაერთიანებები არ არიან სკოლების ოფიციალური პარტნიორები, თუმცა მათი აქტიურობის გამო ხშირად მონაწილეობენ და ახმოვანებენ ახალ იდეებს, რაც შეიძლება ქვეყნის მასშტაბის განათლების პოლიტიკასთან იყოს კავშირში.

გეოგეოლოგია ჩართულობის რეალური პრაქტიკა

მოსწავლის ცუდი აკადემიური მოსწრების დროს სკოლები განსაკუთრებით ააქტიურებენ მშობლებთან ურთიერთობას, გაიდლაინების მიხედვით ისინი მშობლებთან ერთად განიხილავენ ამ შედეგების გაუმჯობესების გზებს და სთავაზობენ მხარდაჭერას. პირველ რიგში საქმიან და თავაზიან გარემოში განიხილება მიზეზები, აქვს თუ არა მოსწავლეს განვითარების ჩამორჩენა, აკლია თუ არა მას დრო მშობლების მხრიდან, აკლია თუ არა მორალური მხარდაჭერა, აკრიტიკებენ თუ არა მას მუდმივად, იღებს თუ არა წამახალისებელ რეკომენდაციებს, უყვარს თუ არა სკოლაში სიარული, ამბობს თუ არა სახლში,

რომ ეს გაკვეთილი ვერ გაიგო, ახსენებს თუ არა ამ კონკრეტული საგნის მასწავლებელს, ხშირად ტირის თუ არა და ა.შ. საუბრისა და ანალიზის შემდეგ ერთობლივად იგეგმება ღონისძიება და ეს ხდება ძირითადად ფსიქოლოგის ჩართულობით.

მშობელთა ჩართულობა პირველი კლასის პირველივე დღიდან მათი აუცილებელი ვალდებულებაა.

პირველივე დღეს ყველა მშობელი იღებს სკოლისგან სპეციალურ რვეულს, რომელსაც მშობელი და მასწავლებელი ერთობლივად აწარმოებენ. მასწავლებელი ყოველდღე წერს, რაიმე ინფორმაციას ბავშვის შესახებ. თუკი იმ დღეს განსაკუთრებული არაფერი ხდება, მასწავლებელი ამონაშებს რვეულს და აწერს ხელს ამ თარიღზე.



მშობელიც ასევე აუცილებლად აწერს ხელს და ამონხმებს ყოველ-
დღე რვეულს. მათ შორის კომუნიკაციის ძირითადი ფორმა არის ეს
რვეული.

მშობელი ამ ფორმით ატყობინებს მასწავლებელს, რომ უახლოეს
ხანში მისი ნახვა სურს და თუ შეუძლია მას დაუკავშირდეს.

ეს რვეული მოქმედებს მეექვსე კლასამდე ანუ დაწყებითი კლასის
დასრულების შემდეგ კომუნიკაცია გრძელდება სხვადასხვანაირად.

თითოეულ მასწავლებელს აქვს მისაღები საათები, რა დროსაც
მშობლებს მათთან გასაუბრების საშუალება აქვთ.

ე. წ მშობელთა დღიურის პრაქტიკა საუკეთესო საშუალებაა იმაზე
დასაკვირვებლად, ჩართულია თუ არა მშობელი ბავშვის ყოველ-
დღიურ სასკოლო ცხოვრებაში და პირდაპირ ავალდებულებს მშობ-
ლებს ამისკენ. თუკი მშობელი რამდენიმე დღის განმავლობაში დღი-
ურში ხელს არ აწერს, მას უკავშირდებიან სკოლის სამდივნოდან და
იბარებენ გასაუბრებაზე. თუკი ამის მიუხედავად მშობელი ისევ დიდი
ხნის მანძილზე აიგნორებს დღიურს და სკოლას, ეს სკოლისთვის სიგ-
ნაღია და მოსწავლის საქმით ინტერესდება სოციალური სამსახური.

ზუსტად ასეთივე კონტროლის მექანიზმია დღიური მშობლების ხელ-
შიც, თუმცა მასწავლებელი, თითქმის არასდროს აიგნორებს ურთი-
ერთობის ამ ფორმას.

**მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობისთვის საგანგებო აპ-
ლიკაცია SchooFox შეიქნა, რომელშიც 5 000 -ზე მეტი სკოლაა
ჩართული.**

ეს აპლიკაცია არის ალტერნატივა ყველა სხვა სოციალური ქსელის
და თავს უყრის ყველა ტიპის ინფორმაციას. იგეგმება, რომ სამომავ-
ლოდ app-ში საბავშვო ბალებიც ჩაერთვებიან.

რა უპირატესობა აქვს აპლიკაციას?

- ▶ აპლიკაცია სხვადასხვა ენაზე მოქმედებს
- ▶ ყველა ინფორმაცია ერთ სივრცეშია თავმოყრილი
- ▶ მასწავლებლებს და მშობლებს უზოგავს დროს
- ▶ უმარტივებს დროის მართვას.
- ▶ აქვს ინფორმაციის დაცული არქივის ფუნქცია
- ▶ დაცულია პერსონალური მონაცემები
- ▶ აქვს გადამონმების საშუალება, ნახა თუ არა ადრესატმა შეტყობინება ან სხვა რაიმე ტიპის ინფორმაცია.
- ▶ აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია დოკუმენტების და ფოტოების გაცვლა. გამოკითხვების ჩატარება
- ▶ იზოგება ქალაქი და სხვა რესურსი, რომლის გაფრთხილებაც მნიშვნელოვანია გარემოსთვის, თუმცა სმარტფონებს სჭირდებათ ელ. ენერჯია.
- ▶ ამცირებს ბიუროკრატიას
- ▶ აქვს სასკოლო ვალენდრის ეფექტიანად მართვის ფუნქცია.
- ▶ მარტივია საშინაო დავალებების გადაგზავნა.
- ▶ აპლიკაციით სარგებლობა მარტივი და უფასოა.

როგორც ავსტრიაში განათლების სპეციალისტები ამბობენ, ეს არის მასწავლებლის ციფრული ასისტენტი, რომელიც მალე წარმატებით ჩაანაცვლებს საკლასო კრებებს ან მშობლების დღეურს.

აპლიკაციისთვის ყველა ჩართული პირი იღებს ინდივიდუალურ კოდს, რომლის მეშვეობითაც მართავს სისტემას.

ეს აპლიკაცია სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, თუმცა დიდი ნაწილი დაფინანსების მოდის ფონდებზე. თავის მხრივ განათლების სამინისტრო, კომიტეტები მუდმივად ცდილობენ მათი მხარდაჭერა დაადასტურონ და პოპულარობა გაუწიონ.

მშობლები შეფასების დროს ხაზს უსმევენ, რომ ეს აპლიკაცია მათ დროს ზოგავს და ამასთან არაფერი ყურადღების მიღმა არ რჩებათ.

მასწავლებლები მუდმივად იღებენ უკუკავშირს მშობლებისგან, უფრო სწრაფად ახერხებენ მათთან კომუნიკაციას და ავრცელებენ დავალებებს ბავშვებისთვის, რომლებმაც სკოლა გააცდინეს.

მოსწავლეები (მშობლების სურვილის შემთხვევაში) ასევე ჩართულები არიან აპლიკაციაში და თვალს ადევნებენ თითქმის ყველა პროცესს და პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ მასწავლებლებთან.

! მიუხედავად იმისა, რომ ეს აპლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომია და მშობლებს და ბავშვებს სულ თან აქვთ, ისინი პატივს სცემენ მასწავლებლების დროს და ცდილობენ არასამუშაო საათებში მათთან კონტაქტი არ ჰქონდეთ.

მშობლებისა და სკოლის კომუნიკაციაში მნიშვნელოვანს როლს ასრულებს ვებგვერდი <https://www.eltern-bildung.at/> მას ჰქვია მშობლები-განათლება და შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორც მშობელთა სკოლა. საიტს მართავს მშობელთა დამოუკიდებელი ორგანიზაცია. საიტზე განთავსებული თემები მოიცავს ბავშვთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს: განათლება, ოჯახი, ჯანმრთელობა, პირადი ინფორმაცია, ბავშვთა უფლებები და ასე შემდეგ. საინტერესოა, რომ აღმზრდელობითი კომპეტენციების გასაუმჯობესებლად მშობლებს ამ რესურსის გამოყენებას ყველა სკოლა ურჩევს.



სკოლებში გოგებთან ჩართულობის ესტონური გამოცდილება

შესწავლის არაქალის აღზერა

ესტონეთი ბალტიისპირა პატარა სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობაც 1.3 მილიონ მაცხოვრებელს შეადგენს. ქვეყანა საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ 50 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1991 წლიდან ესტონეთმა პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ტრანსფორმაცია განიცადა.

საგანმანათლებლო სფეროში გატარებული რეფორმებისა და პოლიტიკიდან გამომდინარე ესტონეთი OECD-ის მიერ წარმატებულ ქვეყანადაა აღიარებული. PISA 2018-ის შედეგებმა აჩვენა, რომ ესტონელი მოსწავლეები პირველ ადგილს იკავებენ ევროპაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლაში. ესტონური განათლების სისტემა ყველა ახალგაზრდას თანაბარ შესაძლებლობას აძლევს, რათა ისწავლონ და საგანმანათლებლო რესურსებიც თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპითაა გადანაწილებული.

სახელმწიფო თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ის ინვესტიციას ახერხებს განათლების სექტორში. სკოლის ხარჯებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ფარავენ. სკოლის დირექტორებს საკმაოდ მაღალი ხარისხის ავტონომია აქვთ, რათა მართონ სკოლის ბიუჯეტი და განიონ სასწავლო დანესებულებისთვის აუცილებელი ხარჯები.

განათლების სამინისტროს ძირითადი სამუშაო დოკუმენტია „სტრატეგია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის“ რომელშიც 5 ძირითადი მიზანია გამოყოფილი:

1. სასწავლო მიდგომების ცვლილება
2. კომპეტენტური და მოტივირებული მასწავლებლები და სკოლის ლიდერები
3. სასწავლო შესაძლებლობებისა და სამუშაო ბაზრის შესატყვისობა
4. ციფრული უნარები
5. თანაბარი შესაძლებლობები და ჩართულობის ზრდა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესში.

გეოგრაფიის ფორმალური უფლებამოსილება და კანონის კონსტიტუცია

„კანონი საბაზო და საშუალო სკოლების შესახებ“ არეგულირებს მშობელთა უფლება-მოვალეობებს.

სკოლა მოვალეა ხარისხიანი ზოგადი განათლება მიანოდოს ყველას, განურჩევლად მათი სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობისა, ეროვნების, გენდერის, საცხოვრებელი ადგილის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა. საზოგადოების მოლოდინები ეროვნულ სასწავლო გეგმაშია ასახული, რომლის საფუძველზეც სკოლა წარმართავს თავის აქტივობებს; ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, ასევე ყურად იღებს მოსწავლეთა და მშობელთა შემოთავაზებებს საცხოვრებელი რეგიონის თავისებურებებთან ერთად.

ამავე კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს მშობელთა მოვალეობებს: 1) მშობელმა სახლსა და სკოლაში უნდა შექმნას სწავლის პროცესში მონაწილეობისთვის აუცილებელი წინაპირობები; 2) მიანოდოს სკოლას თავისი საკონტაქტო დეტალები და ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეატყობინოს; 3) წაიკითხოს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელი დოკუმენტაცია; 4) ითანამშრომლოს სკოლასთან მოცემული კანონისა და ზოგადი კანონმდებლობის მიხედვით; 5) გაატაროს სკოლის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/საცხოვრებელი ქალაქის თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული ზომები; 6) მიმართოს საკონსულტაციო საბჭოს სკოლის შემოთავაზების საფუძველზე; 7) საჭიროების მიხედვით, მოითხოვოს სკოლისგან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/საცხოვრებელი ქალაქის თვითმმართველობისგან შესაბამისი ზომების გატარება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს დაესწროს სკოლის გაკვეთილებს.

თუკი მშობელი ამ მოვალეობებს ვერ შეასრულებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტს/საცხოვრებელი ქალაქის თვითმმართველობას შეუძლია ბავშვის უფლებების დასაცავად საჭირო ზომების მიღება. მუნიციპალიტეტს ან ქალაქს უფლება აქვს: 1) შეიტყოს, რატომ ვერ

ახერხებს მოსწავლე სკოლაში დასწრებას; 2) როცა შესაძლებელია, მონაცოს ტრენინგები იმ მშობელთათვის, რომელთა შვილებიც ვერ ასრულებენ სწავლის წინაშე დაკისრებულ მოვალეობებს. 3) არასრულწლოვანთა სანქციების აქტის თანახმად, შესაბამის კომიტეტს მიმართოს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი შემთხვევების განსახილველად.

სწავლის წინაშე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო მშობელი შეიძლება დაჯარიმდეს 200 ჯვრის ოდენობით, თუკი მისი შვილი არც ერთ სკოლაში არ აღირიცხება ან გაკვეთილების 20%-ზე მეტი უმიზეზოდ გააცდინა 10 კვირის განმავლობაში. ჯარიმა შეიძლება შეიცვალოს მშობლის თანხმობის საფუძველზე საზოგადოებრივი შრომით, საგანმანათლებლო ტრენინგით ან ბავშვთან ერთად ერთობლივი აქტივობით.

სკოლაში მოსწავლეთა მიღება

მშობელს უფლება აქვს აირჩიოს ნებისმიერი სკოლა ბავშვის ჩასარიცხად, თუკი სასურველ სკოლას აქვს თავისუფალი ადგილები მისაღებად.

გაცდენა

გაკვეთილის გაცდენის პირველივე დღეს მშობელმა უნდა შეატყობინოს სკოლას ამის შესახებ და დააკონკრეტოს გაცდენის მიზეზი. თუკი ინფორმირება არ მოხდა, სკოლამ უნდა შეატყობინოს მშობელს არა უგვიანეს მეორე დღისა. მშობელმა უნდა აცნობოს სკოლას გაცდენის ხანგრძლივობაც. თუკი სკოლის თანამშრომელს გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ მცდარი ინფორმაცია მიანოდეს მოსწავლის არ ყოფნის შესახებ, სკოლას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ახსნა-განმარტება მშობლისგან ან მუნიციპალიტეტს/ქალაქის მთავრობას მიმართოს და მათ დაადგინონ გაცდენის რეალური მიზეზები.

გეოგრაფიკული და გეოგრაფიკული

მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია და ახსნა-განმარტება სკოლის მიერ სწავლის ორგანიზებასა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებზე. სკოლას მოეთხოვება მშობელს მიაწოდოს მათ ხელთ არსებული ბავშვის სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის, გაკვეთილების განრიგი, ნიშნები (ელექტრონული, წერილობითი ფორმით).

მოსწავლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას მოიცავს სკოლის წესდება.

გეოგრაფიკული კრება

სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად სკოლის დირექტორს შეუძლია მშობელთა კრების მოწყობა, ამით ყველა მშობელს ეძლევა შესაძლებლობა, სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც დაესწროს შეხვედრას.

სამეურვეო საბჭო

მისი ფუნქციაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სკოლის მფლობელის, მოსწავლეთა მშობლების, სკოლის კურსდამთავრებულებისა და სკოლის მხარდამჭერი ორგანიზაციების ერთობლივი ღონისძიებების ხელშეწყობა. წებისმიერ მოსწავლესა და მშობელს აქვს უფლება, მიმართოს სამეურვეო საბჭოს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის განსახილველად.

მშობლებისა და სკოლის ზოგიერთი უფლება-მოვალეობების საილუსტრაციოდ ესტონეთის ერთ-ერთი ქალაქის, კურესაარეს გიმნაზიის წესდებიდან ნაწყვეტები აჩვენებს, რომ მოსწავლის მშობელი სკოლის დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციას იღებს ვებ-გვერდის მეშვეობით; გაკვეთილზე არ დასწრების შემთხვევაში იმავე დღეს მშობელი მასწავლებელს აცნობებს ელექტრონული პლატფორ-

მის მეშვეობით ან სხვა ფორმით; მოსწავლე ვალდებულია სკოლის ქონებას მოუფრთხილდეს და დაზიანების შემთხვევაში მშობელი ანაზღაურებს ზიანს.

გეოგრაფიის რეკონსტრუქციის რეალური პრაქტიკა

მშობელი სკოლის მართვაში მონაწილეობს სამეურვეო საბჭოს მეშვეობით, რომელსაც სხვადასხვა მოვალეობა აკისრია, მათ შორის: მისცეს რეკომენდაციები სკოლის მფლობელს, რათა უკეთესად წარმართოს სკოლასთან დაკავშირებული საქმეები, გასცეს უკუკავშირი ბიუჯეტსა და სკოლის სასწავლო გეგმაზე, საბჭო მონაწილეობს სკოლის განვითარების გეგმის მომზადების პროცესშიც. (1)

საარემოს გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს წევრები თვეში ერთხელ ან ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს, წამოჭრილ პრობლემებზე ღიად საუბრობენ და ცდილობენ იპოვონ გამოსავალი სკოლის დირექტორთან ერთად.

კურესაარეს გიმნაზიის შემთხვევაში სკოლის სამეურვეო საბჭო წელიწადში ოთხჯერ მართავს შეხვედრას ყველა კლასში, მშობლებს წინასწარ უგზავნიან მოსაწვევს. შეხვედრას აუცილებლად ესწრება საბჭოს წევრი მშობლები, დანარჩენების შემთხვევაში დასწრება ნებაყოფლობითია. აქ განიხილავენ სასკოლო საკითხებს, სვამენ შეკითხვებს და ხდება კენჭისყრა ხმის მიცემით რომელიმე წინადადებისათვის. საბჭო სკოლის ვებგვერდზე (<https://www.oesel.ee/kg/?s=66>) ტვირთავს შეხვედრის წერილობით ჩანაწერებს. მაგალითად, ერთ-ერთ შეხვედრაზე სამეურვეო საბჭოს წევრებმა განიხილეს, როგორ წარმოუდგენიათ სკოლა ორი წლის შემდგომ, რას შეცვლიდნენ და რას დატოვებდნენ. მშობლები სამუშაო ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი და ერთობლივად მუშაობდნენ იდეებზე.



სკოლაში არსებული პროცესების შესახებ უკუკავშირის და ნებისმიერ სახის კომენტარის მისაღებად, სამეურვეო საბჭო Google Forms-ის მეშვეობით მშობელთა პერსონალურ ელ. ფოსტაზე აგზავნის ანონიმურ კითხვარებს. ეს ხდება ნოემბრის თვეში. კითხვარის თემები დროდადრო იცვლება, ეხება ცხრილს, კვებას, სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურას, ბუღინგის თემატიკას და სხვ. კითხვარი დაახლოებით 10 დია ტიპის შეკითხვას მოიცავს. ყოველ გამაფხულზე სამეურვეო საბჭო მოსწავლეებს უგზავნის კითხვარს, რათა გაარკვიონ რამდენად კმაყოფილები არიან სწავლით, მასწავლებლებით. პედაგოგები პირადად იღებენ უკუკავშირს. კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია განიხილება სკოლის დირექტორთან. იმ შემთხვევაში, თუკი კითხვარში რომელიმე საკითხზე ჩანს უარყოფითი უკუკავშირი, ინფორმაციის მიწოდება დაუყოვნებლივ ხდება დირექტორის მისამართით და სამეურვეო საბჭო სთხოვს გადამოწმებას. უკუკავშირის შედეგები სკოლის გაზეთშიც იბეჭდება, აზიარებენ სკოლის ფეისბუქ გვერდზე, ვებსაიტსა და მშობელთა პერსონალურ ელ. ფოსტაზე.

დასკვნა: სკოლის მართვის პროცესში ესტონეთში ამჟამინდელი ბერკეტი სამეურვეო საბჭოა, მნიშვნელოვანია ის, რომ საბჭოს წარმომადგენლები არიან როგორც სკოლის მფლობელი, ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი, ასევე, დირექტორი, პედაგოგები, მშობლები(ყოველი კლასიდან თითოეული მშობელი მაინც) , მოსწავლეები, სკოლადამთავრებულები და ის ორგანიზაციები რომლებიც სკოლას ეხმარებიან. ამასთანავე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლების ნახევარზე მეტი მშობელია და სკოლა იყენებს მათ ცოდნასა და კომპეტენციას.

კურესაარეს გიმნაზიის მაგალითი აჩვენებს, რომ სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე ყველა მშობელს შეუძლია მონაწილეობა და თავისი მოსაზრების დაფიქსირება მიმდინარე საკითხებზე. მათ შეუძლიათ იპოვონ საკუთარი როლი და ინტერესის მიხედვით აირჩიონ საქმიანობა რომელშიც ჩაერთვებიან. საბჭოს წევრები მოხალისეობრივად ადგენენ ყოველ ჯერზე ახალ კითხვარებს, აგროვებენ, ამუშავებენ სკოლის მართვისთვის აუცილებელ ინფორმაციას და ამისთვის ნოემბრის თვეს ირჩევენ, რათა მომდევნო სემესტრის განმავლობაში ცვლილებების გატარება მოასწრონ. დირექტორი სრულ ნდობას უცხადებს საბჭოს, უსმენს პედაგოგებსა და მშობლებს, არ ეშინია ექსპერიმენტებისა და მუდმივად ცდილობს სკოლის სისტემის გაუმჯობესებას.

გეოგრაფიული ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

სკოლის მოსწავლეებზე (ზოგჯერ დირექტორიც) ურევავენ, ესაუბრებიან მოსწავლეთა მშობლებს; საუბრისას გამოხატავენ პატივისცემას და ცდილობენ, წაახალისონ სკოლის აქტივობებში (მაგალითად, ექსკურსიებში) ჩართულობისკენ, ცხადია, არ ხდება ძალდატანება.

მშობელთა მხრიდან ინიციატივების გამოჩენას და მოხალისეობას ხელს უწყობს ნდობის ფაქტორი: გამორჩეული სკოლების დირექტორები ცდილობენ მყარი, ნდობით სავსე ურთიერთობა ჰქონდეთ მოსწავლეთა მშობლებთან. ისინი ახერხებენ დელეგირებასა და მშობელთათვის გადანაცვლებების მიღების ბერკეტის მიცემას. ეს

დირექტორები და პედაგოგები მზად არიან მიიღონ წინადადებები მშობლებისგან, პირდაპირ აცხადებენ ღიაობას და დაინტერესებას სხვების მოსაზრებებისადმი, ითვალისწინებენ მშობელთა აზრებს და ეს ყველაფერი ქმედებებში გამოიხატება.

მშობელთა ინიციატივებსა და მოხალისეობას ერაზმუს +-ის პროგრამებიც უწყობს ხელს, ერთ-ერთი მათგანია სკოლის სამეურვეო საბჭოების გაძლიერების პროგრამა.

ზოგიერთ სკოლაში გავრცელებული პრაქტიკაა მშობლების ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ისინი მასწავლებელთა ნაცვლად გაკვეთილებს ატარებენ; მოსწავლეებს ესაუბრებიან თავიანთ პროფესიაზე, თუ რა სფერო და რატომ აირჩიეს და იწვევენ თავიანთ სამუშაო სივრცეებში.



ესტონეთის რეგიონული სკოლები უფრო გამოირჩევა მშობელთა აქტიურობით, მათ მიერ ინიცირებული ცვლილებები ხშირად სკოლის მენობას ეხება.

მშობელთა ინიციატივებისა და მოხალისეობის მაგალითები სხვადასხვა საგანმანათლებლო დანესებულებიდან:

- ▶ ერთ-ერთ სკოლაში მშობელთა ინიციატივით აღინერა სკოლის სასაწყობე ოთახი. გადაახარისხეს მასში არსებული ნივთები და შემდგომ გადაამუშავეს. მშობლებთან ერთად მოსწავლეებმა მიიღეს ოთახის დანიშნულების გადანყვეტილების პროცესში მონაწილეობა და სხვადასხვა მოსაზრების წარდგენის შემდგომ, ყოფილი საწყობი ხელოვნების ოთახად აქციეს. თავდაპირველად მათ დაფინანსება მუნიციპალიტეტს სთხოვეს, თუმცა ვერ მიიღეს; მშობელთა ნაწილი ამავე დროს მენარმეც იყო, თავიანთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით გარკვეული თანხა მოაგროვეს, მუნიციპალიტეტს კვლავ სთხოვეს თანადაფინანსება და ერთობლივი ძალებით სკოლაში ხელოვნების ოთახი შეიქმნა.
- ▶ სკოლის ბუფეტის გასაუმჯობესებლად მშობელთა სამუშაო ჯგუფებმა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული კითხვარი შეადგინეს და შედეგების მიხედვით ბუფეტის მენიუ შეცვალეს.
- ▶ მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით მშობლებმა ჩაატარეს პედაგოგთა ნაცვლად გაკვეთილები I-IV კლასისთვის.
- ▶ სკოლის ეზოსა და ბაღის მოსაწესრიგებლად მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები შეიკრიბნენ.
- ▶ მშობლები, რომლებიც არასამენარმეო ორგანიზაციის წევრები არიან, დაწერეს პროექტი, მოაწყვეს სალაშქრო ბილიკი ბავშვებისთვის, გააკეთეს საბავშვო მოედანი, ორგანიზება გაუწიეს სხვა სკოლაში ვიზიტს ერთმანეთთან გამოცდილების გაცვლის მიზნით.

გარდა ამისა, ზოგიერთ სკოლაში გავრცელებული პრაქტიკაა:

- ▶ მშობლები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად ანცობენ თეატრალურ სანახაობებს, სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებს; სკოლის ეზოში ზამთრის ბაზარს, სადაც ნივთების გაცვლა და ყიდვა-გაყიდვა შეუძლიათ.
- ▶ მშობლები სკოლებში ვიზიტისას მოსწავლეებს უყვებიან სამოტივაციო ისტორიებსა და ესაუბრებიან თავიანთ პროფესიაზე, თუ რა სფერო და რატომ აირჩიეს. მიჰყავთ ბავშვები თავიანთ სამსახურებში.
- ▶ მშობლები ორგანიზებას უწვევენ სასკოლო წვეულებებს.
- ▶ პედაგოგებთან ერთად მშობლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროექტებში, ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ექსკურსიებში, პიკნიკების მოწყობაში, სკოლის სამზარეულოში საერთო სადილების მოწყობაში.

დასკვნა: მშობელთა ინიციატივების ზრდას ხელს უწყობს დირექტორისა და მოსწავლეებელთა დაინტერესება, რომ მშობლები ჩართულები იყვნენ სკოლის მართვის პროცესებში. ამ პროცესზე მოქმედი ფაქტორებია: დირექტორის მხრიდან გამოცხადებული ნდობა, თანამშრომლობითი ურთიერთობის გამყარება მშობლებთან, არანაირი ძალდატანება და წნეხი, მშობლების მზაობა, რეალურად გადანყვეტილების მიღების და განხორციელების შესაძლებლობა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების სია შეიძლება გაერთიანდეს გაზიარებული ლიდერობის(Shared Leadership) კონცეფციაში, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება ინკლუზიური სასკოლო გარემო და ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას. ეს სტრატეგია განსხვავდება სკოლის ტრადიციული მართვის პრინციპისგან, სადაც დირექტორი ერთპიროვნულად იღებს გადანყვეტილებებს და უკუკავშირს, რჩევას ან სკოლის საზოგადოების წევრებისგან რაიმე სახის ჩართულობას არ მოელოს. გაზიარებული ლიდერობა გულისხმობს კომუნიკაციას, ურთიერთშეთანხმებებს სკოლის დირექტორს,

მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის და პასუხისმგებლობის განაწილებას მათი ფუნქციებისა და ცოდნის დონის მიხედვით (NEPC, 2018).

გეოგრაფიის კომუნიკაცია

ესტონური სკოლები მეტწილად ორ ვებ-აპლიკაციას იყენებენ, ესენია: eKool და Stuudium. ამ ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ორგანიზებას ახდენენ. ამ აპლიკაციებით მასწავლებელი უგზავნის მშობლებს შეტყობინებებს, რაც მათი შვილების განათლებას ეხება: საშინაო დავალებები, ნიშნები, მოსწავლის ყოფაქცევა, მასწავლებელთა ჩანაწერები და რაც მთავარია, მშობლებს პირდაპირი კავშირი აქვთ პედაგოგებთან. (ekool)

სკოლა უკავშირდება მშობელს, როდესაც საკითხი ეხება სწავლას, ყოფაქცევას, პროექტში ჩართულობას, რაიმე დონის ძიების მონყობას, საახალწლო-საშობაო საჩუქრებს, ექსკურსიებს. ყოველ გაზაფხულზე სკოლები მართავენ მოსწავლეთა კონცერტებს, სადაც მშობლები აუცილებლად ესწრებიან და ზოგჯერ იღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, მასწავლებელი ეკონტაქტება მშობლებს, როდესაც პროექტებში იღებენ მონაწილეობას.

წელიწადში ორჯერ დირექტორი, მოადგილე, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები და პედაგოგები ხვდებიან ყველა მშობელს. პირველ შეხვედრაზე ეცნობიან მთელი წლის გეგმას, მეორე შეხვედრაზე კი - როგორ მიმდინარეობს სასკოლო აქტივობები. ანვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას, განიხილავენ პრობლემებს. დამრიგებლები ცალკე ხვდებიან მშობლებს. პირველკლასელების შემთხვევაში ეს შეხვედრები აგვისტოს თვეში იმართება.

მაგალითად, საარემას გიმნაზიაში ყოველთვის ხვდებიან სკოლის დირექციის წარმომადგენლები I-III კლასის, შემდგომ IV-VII, VIII-IX და X-XIII კლასების მოსწავლეთა მშობლებს. საინფორმაციო სესიებზე მშობლებს სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა თემას აცნობენ.

მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ მისწერონ პედაგოგებს, მივიდნენ სკოლაში. შეხვედრებზე საუბრობენ ბავშვის განვითარებაზე, როგორ მიმდინარეობს სწავლა, რა მოსწონთ და არ მოსწონთ მოსწავლეებს. შეხვედრებს მოსწავლეებიც ესწრებიან.

მშობლებს, მასწავლებლებთან შეთანხმებით, ნებისმიერ დროს შეუძლიათ სკოლაში შესვლა, ასევე, ნებადართულია დაესწროს გაკვეთილებს და თავადაც მიიღოს მონაწილეობა.



ზოგიერთ სკოლაში არის წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის გეგმა. სკოლების ნაწილში მოსწავლეთა უნარების განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრები წელიწადში ორჯერ იმართება, ზოგან - ოთხჯერ.

სკოლის ბიუჯეტში ყოველთვის არის სემინარებისა და ტრენინგებისთვის გამოყოფილი თანხა, სკოლის/მშობლების მოწვევით ესტონელ მშობელთა ასოციაციაც ატარებს ტრენინგებს, ისეთ თემებზე, როგორცაა მშობელს, ბავშვსა და სკოლას შორის ურთიერთობები, მოსწავლეთა სამომავლო მიზნები და სხვ. რიგ შემთხვევებში სემინარის თანხას ფარავს მუნიციპალიტეტი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში - თავად მშობლები. მაგალითად, საარემას გიმნაზიაში სკოლა ორგანიზებას უწევს ლექციებს, რომელიც ეხება ბავშვის ზრდა-განვითარებას, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, პირველკლასელთა მშობლების მომზადებას; სკოლის ვებსაიტზეც განთავსებულია მრავალი, უფასო რესურსი (<https://www.syg.edu.ee/uus/syg/>).

როდესაც სკოლას უწევს უარყოფითი ხასიათის ინფორმაცია მიანოდოს მშობელს ბავშვის შესახებ, ცდილობენ არ ისაუბრონ სასჯელზე, არამედ ჩართონ მხარდაჭერის კათედრა (აქ მუშაობენ ლოგოპედები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, შემცვლელი მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სხვ.). ეს კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიკაციას. პირველ რიგში, ბავშვს ესაუბრებიან, ხოლო შემდეგ წერენ მშობელს Studium-ში ან ურეკავენ.

მიღებულია კომუნიკაციის თავაზიანი და ზრდილობიანი ფორმა, გამოიყენებენ ფრაზებს „ბოდიშს გიხდით“, „თუ არ ვცდები“, „რა შემოიძლია გავაკეთო“, „რისი გაკეთება შეგვიძლია ერთად“.

სკოლის ცხოვრების პირველივე ეტაპებს მშობლები გენერალურ და კლასის შეხვედრებზე ეცნობიან, შემდგომი კომუნიკაციაც მუდმივად ორგანიზებულ ხასიათს იღებს. კვლევა „მასწავლებელსა და მშობელს შორის არსებული კომუნიკაციის ციფრული არხები - ესტონეთის მაგალითი“ (პალცი & კალმუსი, 2015) აჩვენებს, რომ ესტონელი მასწავლებლების ციფრული კომპტენციები ერთ-ერთ ყველაზე მაღალ საფეხურზეა ევროპულ კონტექსტში და მშობლებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ eKool-ს, იმეილს, მობილურს (შეტყობინება, ზარი). eKool-ის მიმართ მეტწილად დადებითი დამოკიდებულებაა. მშობლები აღნიშნავენ, რომ აპლიკაციაში ეცნობიან სასწავლო მასალებს და განსაკუთრებით მაშინ ხდება გამოსადეგი, როდესაც ბავშვს გაკვეთილის გაცდენა უწევს. გარდა ამისა, eKool-ით თვალყურს ადევნებენ მოსწავლის აკადემიურ პროგრესს და მშობლები შეიძლება განიხილავენ სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასწავლებელსა და მშობელს შორის დიალოგს იმეილი უწყობს ხელს, მაგალითად, პედაგოგი აცნობს მშობელს, თუ რა აქტივობებით იყო დაკავებული ბავშვი სკოლაში, ხოლო მშობელი წერს ბავშვის საქმიანობაზე სკოლის მიღმა.

სკოლასა და მოსწავლის ოჯახს შორის კომუნიკაცია, მათ შორის ციფრული გზით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სოციალიზაციასა და აკადემიურ წარმატებაზე (პალცი & კალმუსი, 2015). კომუნიკაცია ხდება უმთავრესად დამრიგებლის, მასწავლებლის და ზოგჯერ დირექტორის მხრიდან. გამოიყენება ელექტრონული დღიური, ელ. ფოსტა, ზოგიერთი პედაგოგი ურეკავს მშობლებს, ზოგს კი წერილობითი კომუნიკაცია ურჩევნია, მშობელს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა შეხვედრის დრო და კომუნიკაციის ქსელი აირჩიოს, ეს დამოკიდებულია ურთიერთშეთანხმებაზე. სასწავლო დანესებულებები მზად არიან უკუკავშირის მისაღებად და შესაბამისი ცვლილებების გასატარებლად. სკოლები ზრუნავენ მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე და მოსწავლის საჭიროების დადგენა მათი უმთავრესი ამოცანაა.

აღსანიშნავია რომ მშობლის სკოლასთან ურთიერთობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორია ბავშვის კეთილდღეობისთვის, როგორც უმცროსი, ასევე უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვისაც, რადგან მათთვის აუცილებელია მშობლის მხრიდან დახმარება და ჩართულობა შვილების სასწავლო ცხოვრებაში; მშობლის ჩართულობაში კი იგულისხმება სკოლასთან კომუნიკაცია და სკოლაში ვიზიტები(რატნიკი & რუუტელი, 2017).

წყაროები:

<https://www.hm.ee/en/activities/statistics-and-analysis>

https://www.hm.ee/sites/default/files/pisa_2018_schoolresources_est.pdf

https://www.hm.ee/sites/default/files/htm_tulemusaruanne_2019_en.pdf

<https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/530102013042/consolide> https://www.oesel.ee/kg/bin/kodukord_2020.pdf

<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264251731-8-en.pdf?expires=1603570186&id=id&accname=guest&checksum=F43935910D4900A026E-CB24A59E3FEA0>

ინტერვიუ: აივარ ჰალერი, ესტონელ მშობელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ევროპელ მშობელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ინტერვიუ: მარის რებელი, კურესაარეს გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

ინტერვიუ: ანტონ ტერასი, საარემას გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს წევრი

ინტერვიუ: კერსტი ვალდმაე, ჰარეუმას რეგიონის მასწავლებელთა პროფკავშირის თავმჯდომარე

ინტერვიუ: კრისტი საარი, პიპტლას სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი

http://www.praxis.ee/wp-content/uploads/2018/05/Bravedu_analytical_report.pdf

<https://e-estonia.com/solutions/education/e-school/>

<https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1086652.pdf>

http://www.scientiasocialis.lt/pec/node/files/pdf/vol75/599-611.Ratnik_Vol.75-6_PEC.pdf



სკოლებში მოგვლათა ჩართულობის ამერიკული გამოცდილება

შესწავლის არეალის აღწერა

შესწავლის არეალს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების არიზონას შტატი. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების საკითხებს ძირითადად შტატის ხელისუფლება არეგულირებს. შესაბამისად, არიზონას შტატში ფუნქციონირებს განათლების დეპარტამენტი (Arizona Department of Education - ADE), რომელიც ერთ-ერთი მთავარი აქტორია შტატში ზოგადი განათლების საკითხებში.

ზოგადი განათლების სისტემა აღნიშნულ შტატში წარმოდგენილია რამდენიმე ტიპის სკოლით:

1. საჯარო სკოლები
 - 1.1 ტრადიციული საოლქო სკოლები (traditional district)
 - 1.2 ქარტიის სკოლა (charter school)
2. კერძო სკოლები
 - 2.1 ავტორიზებული კერძო სკოლები (approved private schools)
 - 2.2 კერძო სკოლები
3. შინ სწავლება (home schools)

ტრადიციულ საოლქო სკოლებს ზედამხედველობას უწევს არიზონას განათლების დეპარტამენტი და ასეთი სკოლები სრულად ფინანსდება შტატის ხელისუფლების მიერ. არსებობს დაწყებითი (elementary district schools მე-8 კლასამდე), უმაღლესი (union high district schools - მე-9 - მე-12 კლასი) და გაერთიანებული ტიპის სკოლები (unified district schools), რომლებიც ყველა დონეს მოიცავს. საოლქო სკოლები ძირითადად გათვლილია კონკრეტულ ოლქში მცხოვრები მოსწავლეებისათვის და ჩარიცხვა სწორედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება.

ქარტიის სკოლები წარმოადგენენ ნახევრად ავტონომიურ სკოლებს, რომლებიც ფინანსდება შტატისაგან, იყენებენ სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ კურიკულუმს და მათი მართვა ეფუძნება შტატთან, ოლქთან ან სხვა ტიპის გაერთიანებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. ასეთი სკოლები, როგორც წესი, დაარსებულია მასწავლებლების, მშობლების ან სხვა ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ. ქარტიის სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა არ არის შეზღუდული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აქ მთავარი მოთხოვნაა, რომ მოსწავლის ასაკი იყოს შესაფერისი და არსებობდეს ვაკანტური ადგილი სკოლაში.

ავტორიზებული კერძო სკოლები მიეკუთვნებიან ავტონომიურ დაწესებულებებს, თუმცა ისინი კონტროლდება შტატის განათლების დეპარტამენტის მიერ, იყენებენ სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ კურიკულუმს და ისინი შეიძლება ვაუჩერული სისტემით ფინანსდებოდეს. მათგან განსხვავებით, კერძო სკოლები წარმოადგენენ სრულიად ავტონომიურ დაწესებულებებს სწავლა-სწავლებისა და მართვის ყველა ასპექტში.

არიზონას შტატში ყველა სასკოლო უბანში არის მმართველი საბჭო (governing board), რომლის პასუხისმგებლობები საკმაოდ ფართოა. როგორც წესი, აღნიშნულ საბჭოს ირჩევენ საოლქო სკოლებში, ხოლო ქარტიის და კერძო სკოლებში მათი დანიშვნა ხდება. სასკოლო უბნებს ასევე ჰყავს აღმასრულებელი დირექტორი, რომლის ძირითადი ფუნქცია არის ზედამხედველობა. უშუალოდ ყოველდღიური ოპერაციებისა და სასკოლო ცხოვრების წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი (principal).

გეოგრაფიის ფორმალური უფლებამოსილებები და კანონისგვერდობა

არიზონას შტატში მოქმედებს შტატის მიერ მიღებული 1061 ბილი, რომელიც ერთი მხრივ, არიზონას განათლების დეპარტამენტს ავალდებულებს შეიმუშაოს სახელმძღვანელო მშობელთა უფლებების შესახებ და მეორე მხრივ, საოლქო და ქარტიის სკოლებს აკისრებს ვალდებულებას, რომ განათავსონ აღნიშნული სახელმძღვანელო საკუთარ ვებ-გვერდებზე და უზრუნველყონ მისი ხელმისაწვდომობა ყველა მშობლისათვის.

აღნიშნული ბილის #15-102 სექციას წარმოადგენს „მშობლების ჩართულობა სკოლაში“, რომლის მიხედვითაც თითოეული სკოლის მართველმა საბჭომ, მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ერთად უნდა შეიმუშაოს სკოლის პოლიტიკა მშობელთა ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით.

ამავე კანონის მიხედვით, პოლიტიკა უნდა მოიცავდეს:

- ▶ გეგმას თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს მშობლებისა და მასწავლებლების კოოპერაცია მოსწავლეების მიერ საშინაო დავალებების მომზადების, დასწრებისა და ზოგადი დისციპლინის მიმართულებით;
- ▶ მშობლების ინფორმირების პროცედურებს მათი შვილების სასწავლო კურსების, ძირითადი და დამხმარე მასალების შესახებ;
- ▶ პროცედურებს თუ როგორ შეუძლიათ მშობლებს მოსწავლეების გათავისუფლება ამა თუ იმ კურსიდან ან გაკვეთილიდან, ან მათთვის კონკრეტული სასწავლო რესურსის მიწოდების შემღებდა თუკი ისინი ხედავენ საფრთხეს მათი შვილებისათვის (ეს შეიძლება იყოს საფრთხე სექსუალური, მორალური, რელიგიური პერსპექტივიდან, რა დროსაც მშობელს შეუძლია მოითხოვოს მისი შვილის გათავისუფლება ამა თუ იმ კურსიდან/გაკვეთილიდან);

- ▶ კლასგარეშე და ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ მშობლების ინფორმირების პროცედურებს;
- ▶ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მშობელთა ინფორმირების მექანიზმებს;

დასკვნა იმის გამო, რომ შტატში მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის საკითხი სახელმწიფოებრივ, სისტემურ დონეზე რეგულირდება, ყველა საჯარო სკოლას უნევს უნიფიცირებული მიდგომის დანერგვა, რაც გამორიცხავს რომელიმე სკოლის მიერ ამ საკითხის უგულვებელყოფას. შტატის ხელისუფლებისათვის მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია, რადგანაც აღნიშნულ მაჩვენებელს პირდაპირ აკავშირებენ მოსწავლეთა მიღწევებთან. შესაბამისად, მშობელთა ჩართულობა სისტემურად არის მხარდაჭერილი. კანონის არსებობა უზრუნველყოფს, რომ ყველა საჯარო სკოლამ სათანადო ყურადღება დაუთმოს მშობელთა ჩართულობის საკითხს.

გეოგრაფიული ჩართულობის რეალური პრაქტიკა

აშშ-ს განათლების სისტემის სპეციფიკის მიხედვით, სკოლის მმართველი საბჭო, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი რგოლია, მართავს საჯარო შეხვედრებს, წინასწარ განერილი განრიგის მიხედვით. მშობლებს საშუალება აქვთ დაესწონ ალნიშნულ შეხვედრებს (თუ შეხვედრა არ არის დახურული სპეციფიური საკითხის განხილვის გამო) და გააჟღერონ საკუთარი ინიციატივები, წამოაყენონ წინადადებები, ისაუბრონ არსებულ გამოწვევებზე. მშობლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით მიეწოდებათ ინფორმაცია აღნიშნული შეხვედრის შესახებ ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისში.

საჯარო სკოლების (district, charter) მშობლებთან ჩატარებულმა სირღმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სკოლის მმართველ საბჭოში სათანადო ხმის უფლებით შედის მშობელი/მშობლები, რაც უზრუნველყოფს მშობელთა ინტერესების გათვალისწინებას გადაწყ-

ვეტილებების მიღების დროს. აღნიშნული წევრის/წევრების შესარჩევად ცხადდება კონკურსი, რის შესახებაც ეცნობება ყველა მშობელს და მათ უფლება აქვთ წარადგინონ საკუთარი კანდიდატურა. ასევე, სასკოლო ოლქის ხელმძღვანელის ან საბჭოს წევრის არჩევის დროს, კანდიდატები მართავენ რეგულარულ შეხვედრებს მშობლებთან, აცნობენ საკუთარ ხედვას, ასევე იღებენ ინფორმაციას მშობლების ინიციატივებისა და სურვილების შესახებ.

თუმცა, სკოლის მართვაში რეალურ მონაწილეობას მშობელთა გაერთიანებები იღებენ. როგორც ვერძო, ისე საჯარო სკოლებში შექმნილია მშობელთა ასოციაციები. ხშირად, სწორედ აღნიშნული ასოციაციების წარმომადგენლები შედიან სკოლის მმართველ საბჭოში. მშობლები ინფორმირებული არიან სკოლაში არსებული მშობელთა გაერთიანებების შესახებ და მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეუერთდნენ აღნიშნულ გაერთიანებებს.

მშობელთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით გავრცელებულია კვლევების ჩატარების პრაქტიკა. ხელმძღვანელობის მიერ გადამწვეტილების მიღებამდე, სკოლა აგზავნის კითხვარებს მშობლებთან და ცდილობს მათგან მიღებული ანალიზის საფუძველზე იქნას გადამწვეტილებები მიღებული.

დასკვნა: არიზონას შტატში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მშობელთა წარმომადგენელი/წარმომადგენლები უშუალოდ არიან ჩართულნი გადამწვეტილების მიღების პროცესში, როგორც სკოლის მმართველი საბჭოს წევრები. ასევე, მშობელთა ასოციაციები გვევლინება ეფექტურ ინსტრუმენტად, რომელსაც რეალურად შეუძლია გადამწვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა. თუ ვისაუბრებთ არა მცირე წარმომადგენლობით, არამედ ფართომასშტაბურ მონაწილეობაზე გადამწვეტილების მიღების პროცესში, მაშინ მშობლები პასიურად არიან ჩართულნი. ისინი ისმენენ სიახლეებს, ეცნობიან კანდიდატების, უკვე არჩეული ხელმძღვანელების, საბჭოს წევრების ხედვას, უზიარებენ ინიციატივებს, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს სხვადასხვა გზით, თუმცა უშუალოდ არ წარმომადგენენ გადამწვეტილებათა მიმღებებს.

გეოგრაფია ინიციატივისა და გეოლოგიის პრაქტიკა

შტატის სკოლებში ნებისმიერ მშობელს აქვს პირდაპირი კომუნიკაცია სკოლის დირექციასთან/ადმინისტრაციასთან სხვადასხვა არხების საშუალებით. მათ შეუძლიათ პორტალის, ელექტრონული ფოსტის, ვიზიტის დაჯავშნის, სატელეფონო საუბრის საშუალებით მიანოდონ სკოლას საკუთარი ინიციატივები, თუმცა როგორც რეალური პრაქტიკა აჩვენებს მშობელთა ინიციატივების მხარდაჭერა და მათ სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა მშობელთა ასოციაციების დახმარებით ხდება.

გეოგრაფია გეოლოგიისთვის

არიზონას შტატში ფუნქციონირებს მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (Arizona PTA), როგორც მშობელთა და მასწავლებელთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლობა. ეს არის მოხალისეობრივი ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს, ეხმარება და ავითარებს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნულ ორგანიზაციას თითქმის ყველა სკოლაში ჰყავს საკუთარი ადგილობრივი წარმომადგენლები და ხშირად სწორედ ეს ორგანიზაციაა მშობელთა გაერთიანებების ძირითადი სახე. მასში განევრიანების უფლება ნებისმიერ მშობელს აქვს.

აშშ-ში ასევე შექმნილია ნიჭიერი ბავშვების ეროვნული ასოციაცია (National association for gifted children), რომელსაც ყველა შტატში აქვს თავისი ადგილობრივი წარმომადგენლობა (მათ შორის არიზონაშიც). აღნიშნულ ასოციაციაში ერთიანდებიან „ნიჭიერ და ნარჩინებულ“ (gifted and talented) მოსწავლეთა მშობლები. ასოციაცია ეხმარება მშობლებს გაერკვნენ მათი შვილების სპეციფიურ საჭიროებებში, ხელს უწყობს ინიციატივების წახალისებას, მშობელთა შორის მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას და მათ სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას.

გეოლოგიის კვალი

არსებობს როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში ფართოდაა გავრცელებული მშობელთა მოხალისეობრივი აქტივობები. თითოეულ სკოლას თავისი მიდგომა გააჩნია ამ საკითხთან მიმართებით, თუმცა სკოლის მხრიდან მოხალისეობის ხელშეწყობა ყველგან შეინიშნება. მოხალისეობის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია სპორტულ აქტივობებზე დახმარება, სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებზე დახმარება – იქნება ეს რიგების მართვა, ბილეთების გაყიდვა და ა.შ. ექსკურსიებზე დახმარება, საგაკვეთილო პროცესისათვის სხვადასხვა საჭირო ნივთების მომზადება, მაგ. პლაკატები, მკვეთები და ა.შ. გაკვეთილზე გამოსაყენებელი საკანცელარიო ნივთების შეძენა მშობლის მიერ, სხვადასხვა კლუბების მუშაობის პროცესში მონაწილეობა და სხვ.

ზოგიერთ ქარტიის სკოლაში სავალდებულოა მშობლების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში, ეს შეიძლება იყოს ექსკურსიაზე დახმარება, ღონისძიების დადგენაში მონაწილეობა, საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ან რაიმე მატერიალური დახმარება, იქნება ეს მოსწავლეებისათვის საჭირო ნივთების შეძენა(სამუშაო ნივთები, წამახალისებელი საშუალებები) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ტიპის მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვა, რომლებიც მოითხოვს მოსწავლეებთან კომუნიკაციას, მკაცრად კონტროლდება სკოლის მიერ. სკოლა წინასწარ აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოხალისეობის პრაქტიკების შესახებ და თუ ისინი გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს, სკოლა ამოწმებს ინფორმაციას მათ შესახებ და რწმუნდება, რომ მათი მოსწავლეებთან დაშვება უსაფრთხოა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლისთვის და ნებისმიერ მსურველს არ ეძლევა მოსწავლეებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. თუმცა, არის ისეთი ტიპის აქტივობები, რომლებშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩართვა. სკოლა, როგორც წესი, მინიმუმ ორი კვირით ადრე აგზავნის ინფორმაციას თუ რა ტიპის მოხალისეობრივი დახმარება ესაჭიროება მშობლების მხრიდან. მშობლები ავსებენ შესაბამის ფორმას ელექტრონულად და აფიქსირებენ საკუთარ მზაობას.

ზოგიერთ სკოლაში გავრცელებულია კლასის მშობლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ კლასს ჰყავს ორი მოხალისე მშობელი, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებში იღებენ მონაწილეობას. ასევე, გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, წლის დასაწყისში მშობლებს ეგზავნებათ სარეგისტრაციო ბმული პორტალის საშუალებით და ისინი აფიქსირებენ თუ რა ტიპის მოხალისეობრივ აქტივობებში სურთ ჩართვა. ეს შეიძლება იყოს სპორტული, თეატრალური, სახელოვნებო, მუსიკალური, შემეცნებითი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მოხალისეობრივი აქტივობები ასევე ხშირად იგეგმება მშობელთა გაერთიანებების მიერ, რომლებიც ყველა სკოლაში არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ გაერთიანებებში ძირითადად ერთიანდებიან აქტიური და სკოლის ცხოვრებაში ჩართული მშობლები, ისინი ვარგად იცნობენ როგორც სკოლის, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობას. ასევე, გავრცელებულია მშობელთა გაერთიანებების მიერ საქველმოქმედო ღონისძიებების/კამპანიების დაგეგმვა, ოლქის მასშტაბით მნიშვნელოვან ღონისძიებებში ჩართულობა და სხვ.

დასკვნა: მშობელთა მოხალისეობრივი აქტივობები როგორც ხელისუფლების, ისე თითოეული სკოლის მიერ აღიქმება, როგორც მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი. სკოლა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მშობლების წინასწარ ინფორმირებას შესაძლო მოხალისეობრივი პროექტების შესახებ, ითვალისწინებს და სწავლობს მათ ინტერესებს და სწორედ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სთავაზობს ამა თუ იმ აქტივობაში ჩართვას. როგორც დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, სკოლა პატივს სცემს და ითვალისწინებს მშობლების დროის დეფიციტს და მათ მოხალისეობრივი აქტივობების იმდენად მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს, რომ მშობლების დათანხმება და ჩართულობის მიღწევა შესაძლებელი ხდება. ასევე, აღსანიშნავია, მშობლებთან დროული და ეფექტური კომუნიკაციის პოლიტიკა, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ წინასწარ დაგეგმონ თუ რა დოზითა და ფორმით ჩაერთვებიან მსგავს პროექტებში.

გეოგრაფიკული გეოგრაფიკის

სკოლის შერჩევა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი Greatshools.org – ეს არის არამომგებიანი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება მშობლებს სკოლის შერჩევაში. სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში მცხოვრები მშობლების 50%-ზე მეტი სწორედ ამ პორტალს იყენებს სკოლის შესარჩევად. ვებ-გვერდი იძლევა ინფორმაციას სკოლებში ხარისხის შესახებ, რაც მოიცავს ცნობებს სკოლის რეიტინგის, რესურსების, სტუდენტების შედეგების და ა.შ. შესახებ. მშობლებს საშუალება აქვთ შეადარონ სკოლები და შეარჩიონ საუკეთესო მათი შვილებისათვის. ვებ-გვერდზე მოცემულია სკოლის შემატყობველი რეიტინგი, რომელიც ოთხი ცვლადის გათვალისწინებით მიიღება – ეს არის მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი, უნივერსიტეტსა და კოლეჯში სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი, თანასწორობის მაჩვენებელი და ტესტირებების შედეგები. შესაბამისად, მშობლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეუძლიათ, რადგანაც ისინი ფართო სახის ინფორმაციას იღებენ აღნიშნული პლატფორმიდან. გარდა ამისა, მშობლებისათვის შეთავაზებულია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც თითქმის 10000-მდე სტატიას, ვიდეოს, პოდკასტს, სახელმძღვანელოს, ინფოგრაფიკასა და სხვადასხვა ინტერაქციულ საკომუნიკაციო მექანიზმს აერთიანებს, რასაც ყოველწლიურად 10 მილიონამდე მშობელი იყენებს.

გარდა ამისა, სკოლების შესარჩევად ფართოდ გამოიყენება კიდევ ერთი პორტალი Niche.com, რომელიც აშშ-ს მასშტაბით არსებული სკოლების შედარებისა და მათი რეიტინგის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. მშობლებს შეუძლიათ შეადარონ სკოლები მასწავლებლების, მოსწავლეთა კონტინენტის, მრავალფეროვნების, მოსწავლეთა მიერ სახელმწიფო ტესტირებებში მიღებული ქულების მიხედვით.

საინტერესოა, რომ თუ მშობელს გადანყვეტილი აქვს მოსწავლის შეყვანა ტრადიციულ, საოლქო სკოლაში აქ არჩევანის შესაძლებლობა არ არსებობს, რადგანაც მსგავსი ტიპის სკოლაში ჩარიცხვა

მკაცრად განისაზღვრება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და, როგორც წესი, მშობლებს მხოლოდ ერთი ალტერნატივა აქვთ.

რატიონალური უსაბუხო და პირველი კომუნიკაციის სკოლაში

აშშ-ს სკოლებში მოსწავლეთა თითოეული წლის ნაკადს ჰყავს სპეციალურად დანიშნული კონსულტანტი (counsellor), რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია მშობლებთან ურთიერთობაზე. სწორედ ის ხვდება სკოლაში ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტებსა და მათ მშობლებს, აწვდის დეტალურ ინფორმაციას სკოლის, სწავლების სისტემის, მოსწავლისა და მშობლის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, ეხმარება მოსწავლეებს სასწავლო წლის სწორად დაგეგმვაში, ხვდება მშობლებს და მაქსიმალურად ზრუნავს მათ ინფორმირებაზე ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

სკოლა მშობელს უგზავნის გზამკვლევეს, სადაც დეტალურად და ლაკონურადაა ახსნილი მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია გზები თუ როგორ და რა ფორმით შეუძლია მშობელს მასწავლებელთან ან ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია, შეხვედრის დაჯავშნა, სკოლაში ვიზიტი. აქვე თავმოყრილია ყველა შესაძლო საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მშობელს წლის განმავლობაში დასჭირდეს. ამასთანავე, სკოლა მშობელს უგზავნის წლის კალენდარს, სადაც წინასწარაა გაწერილი დაგეგმილი აქტივობები, ეს იქნება შეხვედრები, პროექტები, კონფერენციები, რომლებშიც ჩართვა შეუძლია.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე სკოლაში ტარდება გაფართოებული შეხვედრა/ღია კარის დღე, სადაც მიწვეულია ყველა მშობელი. აქ ისინი ხვდებიან სკოლის ხელმძღვანელობას, მასწავლებლებს, იღებენ ინფორმაციას სიახლეების, დაგეგმილი აქტივობების, მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. მშობლები იქმნიან ზოგად წარმოდგენას თუ როგორ წარიმართება სასწავლო წელი. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრებზე არ ხდება მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გაზიარება მშობელსა და მასწავლებელს შორის. მოსწავლის შესახებ მასწავ-



ლებლის მიერ ინფორმაციას გაცემა მხოლოდ მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს ხდება. თუ მოსწავლე უკვე სასწავლო წლის მიმდინარეობისას გადადის სკოლაში, მაშინ მისთვის და მისი მშობლებისათვის ინდივიდუალურად ტარდება ღია კარის დღე, რა დროსაც მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია.

საინტერესოა, რომ სკოლა არ აგროვებს ინფორმაციას მშობლების/მოსწავლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს ინფორმაცია საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რისი დაფიქსირებაც აუცილებელია, რადგან საოლქო სკოლებში მოსწავლეები სწორედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ირიცხებიან. საინტერესოა, რომ თუ მშობელს სურვილი აქვს მიიღოს ფინანსური შეღავათები სკოლისაგან მოსწავლის ლანჩზე და ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობაზე, მაშინ ის ვალდებულია მიანოდოს სკოლას ინფორმაცია ოჯახის წლიური შემოსავლის შესახებ. მოსწავლეებს, რომლებიც დაბალი შემოსავლის ოჯახებში ცხოვრობენ, უფასო საუზმე და სადილი აქვთ. აქვე, სკოლა აუცილებლად ინტერესდება

მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობით, ჩატარებული აცრებებით, დაზღვევის საკითხით და იღებს ინფორმაციას აქვს თუ არა მოსწავლეს დაზღვევა.

ასევე, სკოლა იღებს ინფორმაციას მოსწავლის ინგლისური ენის ცოდნის დონისა და ზოგადი აკადემიური დონის შესახებ, რადგანაც სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე ხდება მოსწავლის გადანაწილება ამა თუ იმ სიძლიერის კლასში.

სკოლა წინასწარ განიხილავს კონფიდენციალურობის საკითხს თითოეულ მშობელთან და იღებს მისგან ნებართვას მოსწავლის ფოტო-სურათების, ვიდეო/აუდიო ჩანაწერების, მისი სხვა მონაცემების სხვადასხვა კვლევაში გამოყენების შესახებ. თუკი მშობელი არ განაცხადებს თანხმობას, მაშინ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ რაიმე ინფორმაციის გამოყენება.

კომუნიკაცია გენჯალეგელთან

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები იღებენ ინფორმაციას მასწავლებლებთან კომუნიკაციის გზებისა და ფორმების შესახებ. მასწავლებელთან ინტენსიური და ყოველდღიური კომუნიკაციისათვის გამოიყენება სხვადასხვა აპლიკაციები, ელექტრონული ფოსტა და სკოლების მიერ შექმნილი სპეციალური პორტალი, სადაც მშობლებს საკუთარი ანგარიში გააჩნიათ. აღნიშნული პორტალის საშუალებით გარდა იმისა, რომ მშობელს შეუძლია დაუკავშირდეს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებელს, ასევე, ის თვალს ადევნებს შვილის აკადემიურ მოსწრებას, ყოველდღიურად მიღებულ ნიშნებს, შესრულებულ დავალებებს, ეცნობა მასწავლებლის დახასიათებებს, შენიშვნებს, რეკომენდაციებს, იღებს ინფორმაციას შესასრულებელი დავალებების შესახებ.. მსგავსი სახის პორტალი ფუნქციონირებს ყველა სახის საჯარო სკოლაში.

ამასთანავე, სკოლა წინასწარ ადგენს მშობლისა და მასწავლებლების შეხვედრის განრიგს. კერძოდ, წლის განმავლობაში სამჯერ მშობელი ხვდება ყველა საგნის მასწავლებელს ინდივიდუალურად, სადაც იღებს დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას მისი შვილის



მიღწევების, ძლიერი და სუსტი მხარეების, აკადემიური მოსწრების შესახებ. მსგავსი სახის შეხვედრები საკმაოდ მოწინილია, მშობელი თავად ირჩევს რამდენიმე ალტერნატივიდან რომელი დროა მისთვის უფრო მისაღები, რადგანაც დასაქმებულმა მშობლებმაც შეძლონ შეხვედრაზე დასწრება. ასეთი ინდივიდუალური კონფერენციები 15-20 წუთს გრძელდება თითოეულ მასწავლებელთან. შეხვედრაზე შესაძლებელია მოსწავლის დასწრებაც. საინტერესოა, რომ მსგავსი პრაქტიკა აღარ გამოიყენება უმაღლეს სკოლაში.

იმ შემთხვევაში თუ მშობელს დამატებით სურს მასწავლებელთან შეხვედრა, მას შეუძლია პირადად დაუკავშირდეს მასწავლებელს და შეათანხმოს ვიზიტი ან დატოვოს ინფორმაცია ადმინისტრაციაში და მასწავლებელი თავად დაუკავშირდება შეხვედრის დაგეგმვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ მშობლისა და მასწავლებლის შეხვედრებს არ აქვს ქაოტური ხასიათი. მსგავსი შეხვედრები არ ხდება წინასწარი შეთანხმების გარეშე და როგორც წესი, მასწავლებლებს კონკრეტული დღე აქვთ გამოყოფილი მშობლებთან შეხვედრებისათვის.

კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან

სკოლის ადმინისტრაცია მშობლებთან კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა სახის საშუალებებს. ეს შეიძლება იყოს ინფორმაციის გამოქვეყნება ვებ-გვერდზე, მშობლებისათვის ინფორმაციის გაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ასევე პორტალზე, ტელეფონით დაკავშირება და საინფორმაციო საქაღალდის გაგზავნა, რომელსაც მშობელი ხელს აწერს და ადასტურებს, რომ ნამდვილად გაეცნო ინფორმაციას. ძირითადი პრინციპი მდგომარეობს ინფორმაციის რეალურ მინოდებაში ანუ ნებისმიერი მშობელი უნდა იყოს ინფორმირებული სიახლეების შესახებ და რადგანაც კომუნიკაციის ესა თუ ის მეთოდი შეიძლება მხოლოდ გარკვეულ ჯგუფთან იყოს ეფექტური, სკოლის მიერ გამოიყენება მაქსიმალურად მრავალფეროვანი საშუალებები.

მშობლები ესწრებიან სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამართულ შეხვედრებს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ დაუკავშირდნენ შესაბამის სამსახურს და მოითხოვონ შეხვედრა ნებისმიერ პირთან, მათ შორის სკოლის ხელმძღვანელობასთან. მათთან კომუნიკაციისათვის ასევე აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, რისი საშუალებითაც მშობელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიაწვდინოს ხმა სკოლის მმართველ რგოლს. გავრცელებულია სკოლის შიდა ნომერზე დარეკვა და ხმოვანი შეტყობინების დატოვება ან სკოლის ცხელ ხაზთან დაკავშირება, საიდანაც მშობელს გადაამისამართებენ შესაბამის სამსახურთან.

მომავლის ინფორმირება სასკოლო პერიოდის შესახებ

სკოლა ზრუნავს მშობლების მაქსიმალურ ინფორმირებაზე და ცდილობს მარტივი და ლაკონური ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შესახებ. ამისათვის, როგორც წესი, გამოიყენება გზამკვლევები, სადაც მშობლებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციაა თავმოყრილი მიმდინარე სასწავლო წლის, შეფასებების, ზოგადად კურიკულუმისა და საგანმანათლებლო სისტემის შესახებ. აღნიშნული საკითხის განხილვა ასევე ხდება მშობლებთან გაფარ-

თოვულ შეხვედრებზე და სკოლები სხვადასხვა დამხმარე რესურსებს აქვეყნებენ საკუთარ ვებ-გვერდზე.

წლის დასაწყისში გამართულ გაფართოებულ შეხვედრებზე თითოეული მასწავლებელი აცნობს მშობლებს სასწავლო გეგმას და აწვდის ინფორმაციას თუ როგორ წარიმართება სწავლება მის საგანში, როგორ მოხდება შეფასება, რა მიდგომებს გამოიყენებს სწავლების პროცესში და ა.შ.

როდესაც მოსწავლეს შესასრულებელი აქვს სპეციფიური დავალება, რაც მოითხოვს რაიმე დამატებითი წიგნის, წიგნის შექმნას ან ოჯახის წევრების ჩართულობას, მშობელს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია ამის შესახებ. სხვა შემთხვევებში, მშობლები არ არიან ჩართულნი საშინაო დავალებების მომზადებაში, რადგანაც მიიჩნევა, რომ ამ პროცესს მოსწავლე დამოუკიდებლად უნდა გაუმკლავდეს. რაც შეეხება დაწყებით სკოლას, აქ მოსწავლეებს საერთოდ არ აქვთ საშინაო დავალებები.

საკუთარი სკოლის პრაქტიკები გზოგზით ჩართულობის მიზნით

საოლქო სკოლები

CATALINA FOOTHILLS SCHOOL DISTRICT – სკოლაში შექმნილია ფაკულტეტისა და ოჯახის ორგანიზაცია (family-faculty organization), რომელიც წარმოადგენს მასწავლებლებისა და მშობლების მხარდამჭერ ჯგუფს, ხელს უწყობს მშობლების ჩართულობის ზრდას, აქტიურ კოოპერაციას. თითოეულ სკოლას იქნება ეს დაწყებითი თუ საშუალო სკოლა აქვს საკუთარი FF ორგანიზაცია. გარდა ამისა, სკოლა იყენებს სპეციალურ ონლაინ აპლიკაციას, რომელზედაც პირადი ანგარიში აქვს თითოეული მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნულ პლატფორმაზე მშობლები ნებისმიერ დროს ამოწმებენ მათი შვილების აკადემიურ მოსწრებას, ყოველდღიურად მიღებულ შეფასებებს, დავალებებს, მიღწევებს, ასევე საშუალება აქვთ დაუკავშირდნენ მასწავლებლებს და ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია მათთან. მშობელთა ინფორმირებისათვის სკოლა იყენებს

SCHOOL MESSENGER სისტემას – ეს არის Online აპლიკაცია, რომელშიც მშობელი თავად ირჩევს თუ რა სახით სურს სკოლისაგან ინფორმაციის მიღება, იქნება ეს მოკლევადიანი შეტყობინებები, ხმოვანი შეტყობინებები და ა.შ. სკოლა მშობელს უგზავნის ინფორმაციას ნებისმიერი სიახლის, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

Chandler Unified School District – სკოლის ვებ-გვერდზე ცალკე განყოფილება ეთმობა მშობლებისათვის განკუთვნილ რესურსებს, სადაც თითოეული საფეხურის მიხედვით მომზადებული და ატვირთულია როგორც კურსების კატალოგები, ასევე სახელმძღვანელო/გზამკვლევეები მშობლებისათვის. სკოლა მშობელთა ინფორმირებისათვის იყენებს SCHOOL MESSENGER სისტემას, რომლითაც აუდიო და ტექსტური შეტყობინებებით, ელექტრონული ფოსტისა და ვიდეო-აუდიო ზარების გამოყენებით ატყობინებს მშობლებს სიახლეების შესახებ. მშობლები online პორტალის მეშვეობით აკონტროლებენ საკუთარი შვილების ყოველდღიურ მიღწევებს.

ქართვის სკოლები

Legacy Traditional School – ეს არის ერთ-ერთი ნამყვანი სკოლა არიზონას შტატში. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური სახელმძღვანელო მშობლებისათვის, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია მშობელთა უფლება-მოვალეობების, სასწავლო პროცესის, სასწავლო მასალების, ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ. სკოლა, შტატის სხვა ნამყვანი სკოლების მსგავსად, იყენებს მრავალფეროვან საშუალებებს მშობლებთან კომუნიკაციისათვის, ისინი საკუთარ პორტალზე ეცნობიან ინფორმაციას მოსწავლის ყოველდღიური მიღწევების შესახებ. საინტერესოა, რომ სკოლაში დანერგილია მშობელთა მოხალისეობის პრაქტიკა. კერძოდ, წელიწადში 12 საათის განმავლობაში თითოეული მშობელი უნდა ჩაერთოს მოხალისეობრივ აქტივობებში, ეს იქნება გაკვეთილებზე დახმარება, კურიკულუმს მიღმა აქტივობები, კარნავალისათვის მომზადება, სასკოლო მასალების დამზადება სახლში და ა.შ. ამ გზით სკოლა ცდილობს, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მშობლების სასკოლო გარემოსთან ინტეგრაციას. სკოლის პოლიტიკის მიხედ-

ვით, რეკომენდირებულია, რომ ყოველ დღე ერთი მშობელი მაინც ასრულებდეს კლასში მოხალისეობრივ სამუშაოს. შესაბამისად, მშობლებს, რომელთაც აქვთ სურვილი და საკმარისი თავისუფალი დრო, შეუძლიათ ბევრად მეტი დრო დაუთმონ მოხალისეობას. რა თქმა უნდა, საკლასო ოთახში შესვლამდე, მშობლები იღებენ სპეციალურ მითითებებს, ეძლევათ მასალები, რომლებსაც უნდა გავცნონ და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევენ სკოლის ადმინისტრაცია მათ მეცადინეობაზე დასწრების უფლებას. მშობლებს ასევე შეუძლიათ შეუერთდნენ შვილებს ლანჩის დროს და მათთან ერთად ისადილონ სკოლის კაფეტერიაში, რითიც სკოლა ცდილობს მაქსიმალურად შეუნყოს ხელი მშობლების მოსწავლის სოციალურ ინტეგრაციას. რაც შეეხება მასწავლებელთან კომუნიკაციას, ამისათვის მშობლებს შეუძლიათ გამოიყენონ ელექტრონული ფოსტა ან პორტალი. მასწავლებელთან პირისპირ შეხვედრა შეზღუდულია, რადგანაც მიიჩნევა რომ საგაკვეთილო პერიოდში მასწავლებელი მხოლოდ სწავლებისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის საკითხებით უნდა იყოს დაკავებული. და ბოლოს, მშობელს შეუძლია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გააკეთოს უკუკავშირი, გააუფეროს საკუთარი პრეტენციები ან რეკომენდაციები, რისთვისაც სპეციალური ელექტრონული პლატფორმაა შექმნილი.

Leman academy of excellence – სკოლა რეგულარულად აწვდის მშობლებს ანგარიშს მოსწავლის მიღწევების, შედეგების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებლებისა და მშობლების შეხვედრის კალენდარი, რომელიც წლის დასაწყისშივეა ცნობილი მშობლებისათვის. სკოლა მხარს უჭერს მშობლების მოხალისეობრივ საქმიანობას, როგორცაა კითხვის კლუბებში მონაწილეობა, ექსკურსიებზე დახმარება, საკლასო ოთახში მასწავლებლის დახმარება და ა.შ.

კერძო სკოლები

Phoenix country day school – სკოლაში შექმნილია მშობელთა ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებულია ყველა მშობელი. ასოციაციის მიზანია დაეხმაროს მშობლებს სკოლასთან უკეთეს კომუნიკაცია-

ში, იდეებისა და ინიციატივების გაზიარებასა და განხორციელებაში. ასოციაცია ზრუნავს მშობელსა და სკოლას/მასწავლებელს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაზე, აწვდის მშობლებს ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა მათ წარმატებით შეძლონ მოსწავლეების მხარდაჭერა საშინაო დავალებებსა თუ სხვა საგანმანათლებლო, სოციალურ აქტივობებში. ასოციაციის დახმარებით, მშობლები მონაწილეობენ სკოლის მართვაში.

Arizona cultural academy & college pre – სკოლაში შექმნილია მშობლების ასოციაცია და მოქმედებს მშობელთა მხარდაჭერის პროგრამა. სკოლის მმართველ საბჭოში მშობლებს ჰყავთ საკუთარი წარმომადგენლები. საინტერესოა, რომ სკოლის მიერ მშობლების ჩართულობა მაქსიმალურად არის წახალისებული. საბჭოს შეხვედრებზე დასრულებაში მშობლებს შეუძლიათ 25\$ ფასდაკლება მიიღონ სწავლის წლიურ გადასახადზე.

დასკვნა: მშობელს მინიმალური ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს საკუთარი შვილის მდგომარეობის/ მიღწევების, ასევე ზოგადად სასკოლო ცხოვრების შესახებ. კომუნიკაციის საშუალებები მაქსიმალურად მრავალფეროვანია და არ რჩება არც ერთი კატეგორიის მშობელი სიახლეების მიღმა. აღსანიშნავია, რომ სკოლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლების დროულად და წინსწრებით ინფორმირებას, რადგანაც ითვალისწინებენ მათი დროის დეფიციტს და საშუალებას აძლევენ, რომ მათ დროის არქონის გამო არ მოუწიოთ ამა თუ იმ მიმართულებით ჩართულობაზე უარის თქმა. სკოლები ხედავენ, თუ რამდენადაც მრავალფეროვანია მოსწავლეთა კონტინგენტი, ასევე მრავალფეროვანი არიან მათი მშობლები და მიდგომები უნდა იყოს განსხვავებული. სკოლები რეალურად ზრუნავენ და ხელს უწყობენ მშობელთა ინფორმირებისა და ჩართულობის ზრდას, რაც კოზმითურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

წყაროები:

2016 Arizona Revised Statutes. Title 15 – Education. § 15-102 Parental involvement in the school; definition ; *JUSTIA US law* <https://law.justia.com/codes/arizona/2016/title-15/section-15-102/>;

Arizona Department of Education Parental Rights Handbook; Last Updated: September 10, 2020 <https://www.academyoftucson.com/Downloads/Parental%20Rights%20Handbook.pdf>

Arizona Department of Education <https://www.azed.gov/>

Arizona PRA <http://www.azpta.org/>

Greatschools; Parent power <https://www.greatschools.org/gk/parent-power/>

National Association for Gifted Children <https://www.nagc.org/>

Arizona Department of Education <https://www.azed.gov/>

Arizona PRA <http://www.azpta.org/>

Greatschools; Parent power <https://www.greatschools.org/gk/parent-power/>

National Association for Gifted Children <https://www.nagc.org/>

CATALINA FOOTHILLS SCHOOL DISTRICT <https://www.cfsd16.org/>;

Chandler Unified School District <https://www.cusd80.com/SaferStrongerTogether>

Legacy traditional school – <https://legacytraditional.org/>

Leman academy of excellence – <https://lemanacademy.com/>

Phoenix country day school – <https://www.pcds.org/community/parents-association>

Arizona cultural academy & college pre – <https://www.azacademy.org/>

Great schools' portal <https://www.greatschools.org/>

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები